# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 31 ივლისი 2001 №142 (1415) | ფასი 50 თეთრი


# ჩემპიონატი დაიწყო, შილაკაძემ დაამთავრა, კობიაშვილმა გახსნა

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი

## 1 ტური

28 ივლისი, შაბათი

| | |
|---|---|
| ტორპედო | 2 |
| ლოკომოტივი | 0 |
| კოლხეთი | 6 |
| სამგურალი | 0 |
| გურია | 1 |
| მერანი | 1 |
| დინამო | 2 |
| სიონი | 0 |
| გორდა | 3 |
| ვიტ ჯორჯია | 2 |
| ბათუმი | 3 |
| მეტალურგი | 1 |


გორდა — ვიტ ჯორჯია. რუსთაველებმა სერგო ჭურაძეს კარიდან ბურთი სამჯერ გამოატანინეს

მეცამეტე ეროვნულის პირველი ტური გოლხვავიანი და მასპინძლებისა გამოდგა. სტუმართაგან მხოლოდ „მერანმა“ წამოიღო ქულა. უმაღლესში ალზევებულმა წყალტუბოელებმა კი ფოთში თავი შეირცხვინეს, „კოლხეთს“ ექვსი უპასუხო გოლი გაატანინეს. ბევრისთვის მოულოდნელად რუსთავში დამარცხდა ჯანი კარნევალის „ვიტ ჯორჯია“, „გორდას“ გამარჯვებაში ლომის წილი, ცხადია, ვარლამ კილასონიამ დაიდო. ვეტერინართა იტალიელი მწვრთნელი კი მსაჯ პაატა დოგრაშვილს შემოსწყრა, ასპროცენტიანი პენალტი არ დაგვინიშნაო.

მსაჯზე ჩამოვარდა სიტყვა და ტურის მთავარ ამბავსაც მივადექით. „ტორპედო“ — „ლოკომოტივის“ მატჩის არბიტრ ალექსანდრე შილაკაძის საქმიანობას სფფ-მ გუშინ წერტილი დაუსვა.

ქუთაისურ მატჩში დაშვებული უხეში შეცდომის გამო შილაკაძეს მსაჯობა აუკრძალეს.

ქართველებმა ბუნდესლიგაშიც დაიწყეს.

ფრაიბურგელებმა ახლახან ვიცე-კაპიტნად არჩეულ ლევან კობიაშვილს „ვერდერთან“ შეხვედრის 50-ე წუთზე პენალტის დარტყმაც ანდეს და სწორედ ქართველის გოლით დაიწყო ბრემენელთა განადგურება.

იხილეთ მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე გვერდები


ფრაიბურგი — ვერდერი 3:0. „ფრაიბურგი“ ლევან კობიაშვილმა (№10) დააწინაურა

# გაფრენა არის ისე ადვილი... სიკვდილი ჰოკენჰაიმში არ გაჩერდა



FORMULA 1

მადლობა ღმერთს, ფორმულა 1-ში მრბოლთა უსაფრთხოების დაცვა ისე გაუმჯობესდა, რომ ასეთი ყირამალაც კი მათ ვერაფერს ავნებს.

კვირას „ჰოკენჰაიმრინგზე“ გერმანიის 49-ე დიდი პრიზი გათამაშდა. რბოლა რამდენიმე წამის დაწყებული იყო, როცა ლუჩანო ბურტის „პროსტი“ უკნიდან მთელი ძალით ეძგერა სტარტზე შეფერხებულ მიხაელ შუმახერის „ფერარის“. ბურტის ბოლიდი ბურთივით ავარდა ჰაერში, ამოყირავდა და ძირს დაცემისას კინაღამ იოს ფერსტაპენის „ეროუსი“ მოიყოლა ქვეშ. საბედნიეროდ, ლუჩანო უვნებლად გადარჩა, მიხაელსაც არაფერი დაშავებია.

იხილეთ მეცამეტე გვერდი

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი
13
# 1 ტური

# რუსთაველი ქილერი ასიანს უმიზნებს

რუსთავი. 28 ივლისი. 19 საათი. ცენტრალური. 3 000 (ტევადობა 10 700)

## გორდა 3:2 ვიტ ჯორჯია

1:0 კილასონია (20), 2:0 გოცირიძე (39), 2:1 წუწუნავა (47), 2:2 გოგობერიშვილი (63პ), 3:2 კილასონია (81პ)




**შეცვლა:** ინწკირველი — 10. გოჩაშვილი (62), ჯელაძე — 16. კაპანაძე (66), ადამია — 19. სულთანიშვილი (72), ზ. ლაბაძე — 15. მიშველიძე (80), წუწუნავა — 6. ფეიქრიშვილი (82), მელაძე — 38. ბექაური (89)

**გაფრთხილება:** სილაგაძე (50), მელქაძე (55), კ. ალადაშვილი (65), კორომინაძე (69), ბურნაძე (70)

**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი; ლ. ფანიაშვილი (სამივე თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

| | | |
|---|---|---|
| 26 | ჯარიმა | 20 |
| 3 | კუთხური | 3 |
| 2 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 3 | კარში დარტყმა | 3 |
| 3 | თამაშგარე | 5 |

**კახა შალამბერიძე რუსთავიდან**

**მეცამეტე** ეროვნულ ჩემპიონატს საკმაოდ სახეშეცვლილი შეხვდა რუსთაული კლუბი — კოსმეტიკურად შელამაზებული სტადიონით დაწყებული, განათებული ტაბლოთი დამთავრებული.

გუნდები მოედანზე ათი წუთით ადრე გავიდნენ. მატჩის მონაწილეებს და გულშემატკივრებს სიტყვით მიმართა რუსთავის მერმა ლაშა მინდელმა. შემდეგ კი კაპიტნებმა — ვარლამ კილასონიამ და ლევან მელქაძემ „დიდების" თანხლებით საქართველოს დროშა აღმართეს. ჩემპიონატიც გაიხსნა...

დოგრაშვილმა მატჩის დაწყება ბრძანა, თუმცა კი წუთის შემდეგ შეხვედრა თავადვე შეაჩერა და ყოფილ „ფოლადზე", აწ უკვე რუსთავის ცენტრალურ სტადიონზე შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გიორგი სანაიას, მურმან გოგოლაძისა და ქობულეთის „შუქურის" ვიცე-პრეზიდენტ ვახტანგ გოგიტიძის ხსოვნას.

შეხვედრა დაბალ ტემპში დაიწყო. ორივე გუნდი საკმაოდ ფრთხილობდა. პირველი საშიში მომენტი მეტოქის კართან „ვიტ ჯორჯიამ" შექმნა, მოედნის ცენტრში გოგობერიშვილ-მელქაძის ორსვლიანი კომბინაციის შემდგომ წუწუნავა ხელსაყრელ პოზიციაში დარჩა, თუმცა დარტყმა დააგვიანა და მანაც ქარს გაატანა. მოგვიანებით „ვიტ-ჯორჯიის" საჯარიმოს სიახლოვეს მეტად საშიში ჯარიმა დაინიშნა — ინწკირველს ბურთი ხელზე მოხვდა. ჯარიმის შესრულება [illegible]ლიერ გუნდში დაბრუნებულმა ვარლამ კილასონიამ იკისრა და დაბალი დარტყმით ბურთი ჭურაძისგან მოშორებულ კუთხეში გაიტანა. მეკარე არც განძრეულა.

გოლმა „ვიტ ჯორჯია" გამოაფხიზლა. ვეტერინარებმა ორი მეტ-ნაკლებად საშიში მომენტი შექმნეს „გორდის" კართან, თუმცა საზეიროს ვერაფერს გამორჩნენ.

39-ე წუთზე კი საქმეს ისევ ვარლამ კილასონიამ მოჰკიდა ხელი. მისი მშვენიერი გადაცემის შემდეგ „ვიტ ჯორჯიადან" იჯარით აყვანილი რევაზ გოცირიძე მეკარესთან პირისპირ დარჩა და ანგარიშიც გააორმაგა — 2:0.

ტაიმის ბოლოს გოგობერიშვილის ჯუმარისებური დარტყმა გახლდათ გამოსარჩევი, რომელიც, მისდა სამწუხაროდ, „გორდის" კარს ასცდა.

მეორე ნახევარი სტუმართა იერიშებით დაიწყო. 47-ე წუთზე მოედანი მატჩის განმავლობაში აქტიურმა გოგობერიშვილმა შორეულ დიაგონალური გადაცემით წუწუნავა კარიდანაცდის შეატოვა — 2:1. ვეტერინარებმა შეტევები განაგრძეს. „გორდამ" ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყო ფიქრი და საკუთარ საჯარიმოსთან გამაგრდა. 55-ე წუთზე მელქაძე მცველთან ჭიდილში წაიქცა. „ვიტ ჯორჯიამ" თერთმეტმეტრიანი მოითხოვა, მაგრამ დოგრაშვილმა თამაშის გაგრძელება ანიშნა. მაინც არბიტრს პენალტის დანიშვნა მაინც მოუხდა — 63-ე წუთზე მოედანზე წუთის გამოსული კონაშვილი მცველმა ხელით დაიჭირა და დოგრაშვილმაც უყოყმანოდ გაიშვირა ხელი თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ. გოგობერიშვილმა მეკარე ერთ კუთხეში გადააქცია, ბურთი კი მეორეში გაგზავნა და ანგარიში გაათანაბრა — 2:2.

რაც დრო გადიოდა, მასპინძლებს უფრო მეტად უჭირდათ მეტოქის შეტევების მოგერიება.

მეორე ტაიმის შუაგულს გოგობერიშვილმა შეასრულა მშვენიერი საჯარიმო დარტყმა — ბურთი ხარიხას მოხვდა. ორიოდ წუთში კი მელქაძემ გაიყვანა ნოზაძე კარგ პოზიციაში, თუმცა ამ უკანასკნელს წინ საჯარიმოს გარეთ გამოსული კორომინაძე გადაეღობა. მეკარემ მეტოქეს ბურთი ხელით აცალა. მატჩის არბიტრმა მას მხოლოდ ყვითელი ბარათი აჩვენა.

ცოტა ხანში ბერნაძეს ხელზე მოხვდა ბურთი საჯარიმოში. ვეტერანებმა პენალტი ითხოვეს, თუმცა ამაოდ.

81-ე წუთზე შეცვლაზე შესული აბალაძე კაპანაძე მცველთან ჭიდილში წაიქცა და პენალტი „გორდის" სასარგებლოდ დაინიშნა. დარტყმა კილასონიამ შეასრულა — 3:2. შეხვედრაც, ფაქტობრივად, აქ დამთავრდა. კილასონიამ „გორდის" გამარჯვება და თავისი სამი ქულა მოუტანა. თავად კი 86-ე გოლი გაიტანა ეროვნულ ჩემპიონატებში და თუ ასე გააგრძელა, ამ სეზონშივე გახდება ასიანთა კლუბის წევრი.

დასასრულ აღვნიშნოთ ისიც, რომ უკვე ზედიზედ მეორე წელია, რაც ჯანი კარნევალის გუნდი ჩემპიონატის პირველ ტურში რუსთავში მარცხდება. შეგახსენებთ, რომ შარშან XII ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში კარნევალის „ბათუმი" რუსთავში „გორდასთან" 1:3 დამარცხდა. სხვათა შორის, იმ მატჩსაც ქუთაისელი პაატა დოგრაშვილი ხელძღვანელობდა.

***ჯანი კარნევალი:*** „რა უნდა ვთქვა, არ ვიცი. ჩვენი მარცხი მსაჯების სინდისზე იყოს. მათ ვერ გაართვეს თავი ამოცანას. ჩვენ ასპროცენტიანი პენალტი არ დაგვინიშნეს, „გორდის" თერთმეტმეტრიანზე კი ლაპარაკიც არ მსურს.

დღეს რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა — ყიფიანი [illegible] კლუბშია, საჯაია კი მოსკოვის „ლოკომოტივში". მალე, ალბათ, გოგობერიშვილი და მელქაძე დაგვტოვებენ. ამ ფეხბურთელებით იტალიური სერია B-ს კლუბი „სიენა" დაინტერესებულა. თუმცა უკან დახევას არ ვაპირებთ. „ვიტ ჯორჯია" მომავლის კლუბია".

***იასონ ალადაშვილი:*** „შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. საწყენი კი მხოლოდ ის მაქვს, რომ პირველი ტაიმის შემდეგ თამაში უკვე მოგებული ეგონათ და ყურადღება მოადუნეს. კმაყოფილი ვარ მსაჯობით. ასეთი კარგი მსაჯობა დიდი ხანია, აღარ მინახავს. ვეცდებით, კიდევ ბევრჯერ გავახაროთ გულშემატკივრები".

ნუკრი მარდანიძის ფოტო



გიორგი ადამიას „ვიტ ჯორჯიას" ამირან კედელაშვილის „გორდა" ემძიმა

ნუკრი მარდანიძის ფოტო



შაბათს ვიტელებმა ვარლამ კილასონიის შეჩერება ვერ შეძლეს

ქუთაისი. ტორპედო. 28 ივლისი. 21 საათი

## ტორპედო 2:0 ლოკომოტივი

**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ი. შალამბერიძე (თბილისი); ა. ორდინძე (ონი); **სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

### საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადება

სფფ-ის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტთან არსებულმა საექსპერტო-სადისციპლინო კომისიამ გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ სფფ-ის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია, ვიდეოფირის ნახვის შემდეგ განიხილა და შეაფასა მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტურის, 28 ივლისის კალენდარული შეხვედრის „ტორპედო" — „ლოკომოტივის" მთავარი არბიტრის ალექსანდრე შილაკაძის მსაჯობა და დაადგინა, რომ მატჩის მთავარმა მსაჯმა შილაკაძემ შეხვედრის მსვლელობისას დაუშვა უხეში შეცდომა, რაც გამოიხატა 39-ე წუთზე „ლოკომოტივის" ფეხბურთელის დავით ბაქრაძის არასწორ გაძევებაში ბოლო იმედის ჯარიმისთვის, რამაც გავლენა იქონია მატჩის მსვლელობაზე, რაც დასტურდება მატჩის ინსპექტორის გია ფირცხალავას პატაკით.

მატჩის მთავარ მსაჯს ალექსანდრე შილაკაძეს აეკრძალა ყველა ლიგის მატჩების მსაჯობა ეროვნულ ჩემპიონატებში.

*სფფ-ის პრესცენტრი*
*30.07.01*

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იუწყება ქობულეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის და „ქობულეთის" ვიცე პრეზიდენტის

**ვახტანგ გოგიტიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

### გერმანია
მეორე ბუნდესლიგა
I ტური
უნიონი 1:1 ჰანოვერი

### დანია
II ტური
ოდენსე 3:1 სილკებორგი

### ამხანაგური მატჩი
მალიორკა 0:2 არსენალი

### შვედეთი
XV ტური
ჰამარბი 4:1 ტრელებორგი
ელფსბორგი 0:0 იორგრიტე
იორებრო 3:3 ჰელსინგბორგი

### ფინეთი
XXII ტური
იოკერიტი 0:2 მიუპა

თბილისი. 28 ივლისი. 20 საათი. ეროვნული. 700 (ტევადობა 70 900)

## დინამო 2:0 სიონი

1:0 მიქაძე (14), 2:0 ბობოხიძე (84)

1 გრიშიკაშვილი

მწვრთნელი: გივი ნოდია

4 ვაშაკიძე, 5 შაშიაშვილი, 3 კანდელაკი

7 მაზიაშვილი, 11 ამისულაშვილი

2 სვანაძე, 6 სახვაძე

8 ბურდული, 9 დარასელია

10 გ. გ. მიქაძე

10 ისიანი

6 ამბიძე

11 მოსეშვილი, 5 ბარნოვი, 13 სვანიძე, 16 ბ. შენგელია

7 მინდიაშვილი, 3 ირემაშვილი, 2 პაპიძე

9 სიდამონიძე

1 ვოლკოვი

მწვრთნელი: ფირუზ რეხვიაშვილი

შეცვლა: კანდელაკი — 15. მანწკავა (55), მაზიაშვილი — 17. ბობოხიძე (61), მიქაძე — 16. იაგორაშვილი (68), მოსეშვილი — 15. დაუშვილი (73), სვანიძე — 17. გლუნჩაძე (81)

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. მალაღურაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

| | | |
|---|---|---|
| 8 | ჯარიმა | 13 |
| 2 | კუთხური | 7 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 7 |
| 6 | კარში დარტყმა | 2 |
| 0 | თამაშგარე | 2 |

# იაგორა მზორგალი

## ვის და როგორ დაეყრდნობა დინამო?

დავით თავართქილაძე

**ალბათ** არ ეწყინებათ ქვემოქართლელებს, თუ ვიტყვით, რომ ბორისოვის „ბატე" „სიონზე" გაცილებით ძლიერი გუნდია...

ჰოდა, არც დინამოელებს უნდა ეწყინოთ ის, რომ ნახევარდაცვის ცენტრში მთავარმა მწვრთნელმა ჯერ არ იცის, თუ ვის და როგორ დაეყრდნოს, ათ დღეში კი ასეთ გუნდს უეფას თასზე უწევს თამაში...

არც იმის უთქმელობა ეგების, რომ „დინამო" მართლაც ცდილობს თანამედროვე ფეხბურთი ითამაშოს, თუმც ჯერ მხოლოდ ცალკეულ ეპიზოდებში გამოსდის ეს...

ახლებური, მოდური განლაგებით ითამაშა „დინამომ", მაგრამ საყრდენი ნახევარმცველების უნიათო მოქმედება დაღს ასვამდა გუნდის გარჯას. სწორედ ამის გამო ვერ ხერხდებოდა სინქრონული პრესინგი, ბურთის ამოტანა დაცვიდან ნახევარდაცვაში, შეტევის ორგანიზებაშიც მოიკოჭლებდა გუნდი და სამკაციანი დაცვაც ჯებირის გარეშე რჩებოდა. შედეგად ბოლნისელები მოედნის ცენტრში კარგად აკონტროლებდნენ ბურთს, ტერიტორიულ უპირატესობასაც ფლობდნენ, მაგრამ სისწრაფეში თამაშის უუნარობა მათ ამ უპირატესობას აქარწყლებდა. „სიონი" იმანაც დააღალატა, რომ ფორვარდები შემოაკლდა — დავითაშვილმა და გაბისონიამ ხომ გუნდი დატოვეს და, ფაქტობრივად, მხოლოდ „ტორპედოდან" მობრუნებული შალვა ისიანის ამარა დარჩა. ბოლნისელები კვლავ უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის იბრძოლებენ და „დინამოსთან" თამაშის შემყურეს, მოგახსენებთ, საამისოდ საკმაოდ კარგი შანსი აქვთ.

სახვაძე-ამისულაშვილმა მარცხენა ფლანგზე კარგად გაითამაშეს ბურთი, კარის გასწვრივ ჩაწოდებულს ვოლკოვი კი დაუხვდა, მაგრამ ისე უხეიროდ, რომ გიორგი მიქაძემ ლამის ცარიელ კარში ახლოდან გაიტანა გოლი.

სტუმრებმა ბესიკ შენგელიას ძლიერი, შორეული და ოდნავ არაზუსტი დარტყმით უპასუხეს.

„დინამოს" თითქმის ყველა შეტევა ლადო ბურდულის აქტიურობით ვითარდებოდა. კარგი იყო ბურდულ-დარასელია-მიქაძის კომბინაცია, რომელიც ვოლკოვმა გააუვნებლა. „სიონის" მეკარემ დარასელიასაც აულო მოჭრილი ცაცია. სოსო გრიშიკაშვილს კი ბევრი საქმე არ ჰქონია — „სიონი" ბოლო ფაზაში აშკარად სცოდავდა.

ბურთის ფლობის ხანგრძლივობის მხრივ „დინამო" ვერც მეორე 45 წუთში მოიწონებდა თავს. ბოლნისელმა შენგელიამ კი ერთობ კარგი რეიდი განახორციელა, მაგრამ ვერ დააგვირგვინა. არა უშავდა დარასელიას სოლოსაც, რომელიც გადამეტებული „მატაობით" დამთავრდა. უმცროსი ვიტალი ცაციით ბურთს მშვენივრად ფლობს და კარში დარტყმებიც ეხერხება, თუმც „დინამოს" ერთ-ერთ ლიდერად რომ იქცეს, საკმაო გარჯა მოუწევს.

„სიონს" ერთხელ მიეცა რეალური შანსი — მოსეშვილმა კარგად მოძებნა „დინამოს" საჯარიმოში მცველთაგან უმეთვალყურეოდ მიტოვებული ისიანი, სტუმართა ფორვარდმა ოსტატურად დაამუშავა ბურთი, მაგრამ სუსტად და ხელებში დაურტყა გრიშიკაშვილს.

„დინამო" კონტრშეტევებზე ცდილობდა თამაშის აგებას — გინდა არ გინდა, ასე იყო. ბურდული ველარ აქტიურობდა, სამაგიეროდ, საპირისპირო ფლანგზე სახვაძე გამოცოცხლდა და ერთი-ორჯერ თავისი საფირმო ჩაწოდებებიც მოახერხა.

გივი ნოდიამ შეცვლებით სცადა საყრდენთა რგოლის გაძლიერება. მანწკავას შემოსვლას ამისულაშვილის დაცვაში დახევა მოჰყვა, ბობოხიძემ დარასელიას ადგილი დაიკავა, ვიტალიმ კი საყრდენი ნახევარმცველის. შემდეგ ბობოხიძე ცენტრფორვარდი შეიქნა, იაგორაშვილი კი მარცხენა ინსაიდი. ნოდია საყრდენი ლევან შავგულიძის შემოყვანას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა.

...იაგორაშვილი ჯერ კიდევ პირველ ტაიმში ემზადებოდა მოედანზე გასვლისთვის, რაღაცნაირად ბორგავდა, თამაში ძალიან ეწადა და ბოლო, მესამე შეცვლაზე მოუწია ეს. იაგორაშვილმა ბურთი დაიჭირა, აჭრილი ნახევარდაცვა დაალაგა და საგოლე პასიც მშვენივრად შეასრულა — კონტრშეტევაზე გაიჭრა, ბობოხიძე ეგულებოდა კარგ პოზიციაში, მაგრამ დინამოელთა ახალწვეულმა ცოტა იჩქარა და მცველების უკან, თამაშგარეში შეტოპა. იაგორაშვილმა კი პაუზა გააკეთა, ბურთიანად მოტრიალდა (ამასობაში ბობოხიძემაც დააღწია თავი ოფსაიდს) და მერე ლამის ლარნაკით მიართვა საგოლე გადაცემა ბობოხიძეს.

***ფირუზ რეხვიაშვილი:***

— ახალგაზრდული „დინამო" ძალიან მომეწონა, კარგადაა მომზადებული. ჩემი გუნდის მზადყოფნა და პოტენცია კი მომდევნო თამაშებში გამოჩნდება. „დინამოსთან" იმანაც შეგვიშალა ხელი, რომ მურმან გოგოლაძე ტრავმირებულია.

***გივი ნოდია:***

— საყრდენთა რგოლი ჯერ მართლაც ვერ ჩამოვაყალიბეთ. ამაში ჯონი შალამბერიძის ტრავმამაც შეგვიშალა ხელი. ჩემი გუნდის თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ, მხოლოდ ფრაგმენტებში შევძელით რაღაც კარგის ჩვენება და ეს ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს. შეკრებიდან ახალდაბრუნებულები ვართ და ფეხბურთელებს დრო სჭირდებათ. ასე რომ, „დინამოს" რეზერვი აქვს.



დინამოელმა გიორგი მიქაძემ (№10) ბოლნისელ გიორგი ირემაშვილს ჰაერში აჯობა

ფოთი. 28 ივლისი. 19 საათი. ფაზისი. 700 (ტევადობა 7 000)

## კოლხეთი 6:0 სამგურალი

1:0 ფანჩულიძე (12), 2:0 ე. გვასალია (16), 3:0 მუმლაძე (25), 4:0 ე. გვასალია (34), 5:0, 6:0 წივწივაძე (56, 70)

1 მ. გვასალია

მწვრთნელი: სოსო ფილია

3 ტორჩინავა

2 გოროზია

4 მიქელთაძე, 10 ფანჩულიძე

5 მ. ქობულაძე, 11 კვირკველია

20 ე. გვასალია

17 მუმლაძე, 8 წივწივაძე

9 ახვლედიანი

15 ვაჩიბერაძე

22 კოპალიანი

10 დარსაძე, 23 ღონღაძე, 18 ჯინჭარაძე, 16 კიკვიძე

2 ბერაძე, 24 ბანძელაძე, 3 ფრანგიშვილი, 21 ლ. ქობულაძე

მწვრთნელი: გია გიგატაძე

1 ვარდანიძე

შეცვლა: ახვლედიანი — 18. ყურაშვილი (46), ე. გვასალია — 7. კრასოვსკი (46), ლ. ქობულაძე — 19. დ. ჯიქია (46), ვარდანიძე — 12. ბოდოკია (46), გოროზია — 19. ნარსია (57), კიკვიძე — 20. კ. ჯანაშია (71)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), მ. ელიკაშვილი; ა. მეშკოვი (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

| | | |
|---|---|---|
| 16 | ჯარიმა | 18 |
| 4 | კუთხური | 6 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 6 | კარში დარტყმა | 5 |
| 6 | თამაშგარე | 5 |

# რაც დაარტყეს, გაიტანეს

მამუკა კვანტალიანი ფოთიდან

**შთამბეჭდავად** დაიწყო ფოთის „კოლხეთმა" მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატი. ნებისმიერი მეტოქის 6:0 ძლევა მართლაც ეფექტურია, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ერთობ სუსტი მოწინააღმდეგე ჰყავდათ კოლხებს. აშკარაა, წყალტუბოელები მოუმზადებელნი შეხვდნენ ჩემპიონატს და, ფაქტობრივად, სეზონის უმთავრესი მიზანი დებიუტშივე გამოკვეთეს — „სამგურალს" დიდი ძალისხმევა დასჭირდება რჩეულთა შორის დასარჩენად.

იქნებ ბევრს ნაჩქარევად მოეჩვენოს ამგვარი დასკვნა, მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ „სამგურალი" რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა და ჩემპიონატსაც, ფაქტობრივად, შეკრებაგაუვლელი შეხვდა.

„კოლხეთს" მეთექვსმეტე წუთისთვის უკვე მოთავებული ჰქონდა საქმე. ჯერ ფანჩულიძემ გაისროლა ჩვეულად 27 მეტრიდან, აქედან ოთხ წუთში კი მასპინძელთა რამდენიმესვლიანი კომბინაცია გვასალიის ორი მეტრიდან დარტყმულით და მეორე გოლით დასრულდა.

„სამგურალს" უკვე დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა და როგორც შეეძლო, ისე შეუტია. წყალტუბოელთაგან ყველაზე აქტიურმა ვაჩიბერაძემ ორწუთიან მონაკვეთში ორი საგოლე მომენტი გაანიავა. ჯერ ხუთიოდე მეტრიდან მცირედით ააცილა კარს, მერე კი მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ვერ ივარგა. ეს იყო და „კოლხეთმა" სამამდე გაზარდა ანგარიში. მარჯვენა ფრთაზე კარგად მოთამაშე ახვლედიანის ფლანგურ ჩაწოდებას პირველი მუმლაძე დაუხვდა და ბურთი მიწაზე დაუშვებლად ეფექტურად გაგზავნა ვარდანიძის კარში.

ამის შემდეგ სტუმრები საბოლოოდ დანებდნენ, ინტერესიც განელდა. საკითხავი მატჩის საბოლოო ანგარიშიღა იყო.

შესვენებამდე ელდარ გვასალიამ დუბლი გააფორმა ახვლედიანის გამოზომილი პასით.

51-ე წუთზე მატჩის საუკეთესო მოთამაშემ, გელა ფანჩულიძემ წივწივაძე გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ბოდოკიამ იმარჯვა. ხუთ წუთში კი წივწივაძემ შეცდომა გამოასწორა და უკვე კრასოვსკის პასით ერთი-ერთზე დარჩენილს აღარ გასჭირვებია მეკარის მოტყუება და ამ მატჩის კიდევ ერთი დუბლისთვის საფუძვლის ჩაყრა.

მერე კი იყო ათწუთიანი მონაკვეთი, როცა სტუმრებმა დარჩენილი ძალა მოიკრიბეს და რამდენჯერმე შეუტიეს ფოთელთა კარს. ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდისას ვაჩიბერიძეს მოედანზე მოულოდნელად შევარდნილი ძაღლიც წაეხმარა მეურვის მოტყუებაში, თუმც ექსტორპედოელის ათი მეტრიდან დარტყმული ბურთი მამუკა გვასალიამ კუთხურზე გადააგდო.

მატჩის დამთავრებამდე ოცი წუთით ადრე წივწივაძემ დუბლი მიითვალა. ჰამლეტმა ოსტატურად ითამაშა, გზიდან სამი მეტოქე ჩამოიცილა და თხუთმეტიოდე მეტრიდან ძლიერი დარტყმით მატჩს საბოლოო წერტილი დაუსვა.

მოკლედ, „კოლხეთს" ერთი გამარჯვება აკლია და 200 მოგება დაუგროვდება ეროვნულ ჩემპიონატებში, „სამგურალმა" კი უკვე უწია მრგვალ რიცხვს და დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში 150-ედ დამარცხდა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „კოლხეთის" თავკაცმა **სოსო ფილიამ** თავისი გუნდის მარგი ქმედების კოეფიციენტს ილაპარაკა. ვერც შეედავები, მასპინძლებმა ზუსტად ექვსჯერ დაარტყეს წყალტუბოელთა კარში. სტუმართა მწვრთნელ **გია გიგატაძეს** კი დანა პირს არ უხსნიდა. ფილიას ნათქვამზე, მატჩის წინ ფეხბურთელებს ერთი საათიც არ უძინიათ, სიცხემ და კოღოებმა გააწამესო, გიგატაძემ ნაღვლიანად ჩაილაპარაკა, მე რაღა ვთქვა, მთელი მოსამზადებელი ეტაპი გატანჯულები ვართო.

# ძველი დროება

ლანჩხუთი
28 ივლისი
19 საათი
ივგრაფი შევარდნაძე
2 500 (ტევადობა 22 000)

## გურია 1:1 მერანი

1:0 კაციაშვილი (68), 1:1 დევიძე (82)
გურია: დოლიძე, კაციაშვილი, გაბრიჭიძე, ორბელაძე (კუკულაძე 90), ფაცურია, პატარიძე (ქოქავა 82), მარლიშვილი (განევი 71), სულაკაძე, ხუჭუა, ოდიკაძე, ენდელაძე
სათადარიგონი: ჩომახიძე, პატარაია, ლორია
მერანი: ნაჭყეპია, გოგიტაძე, ზ. კვეკვესკირი, ცქიფურიშვილი, დევიძე, ბაჟელიძე (ი. შენგელია 54), ქინქარაული, კოშკაძე, ბოლქვაძე (მუხინი 73), გაგუა (ილურიძე 88), დავითაშვილი
სათადარიგონი: გაბელია, ხიზანიშვილი, ნათობიძე, თ. ჩხაიძე
გაფრთხილება: დავითაშვილი (17), გაბრიჭიძე (30), ცქიფურიშვილი (39)
გაძევება: გაბელია („მერანის" მწვრთნელი, 15)
მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); ბ. ბრეგვაძე, ჯ. ბუიშვილი (ორივე ჭიათურა); ზ. ანიაშვილი (გორი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

| | | |
|---|---|---|
| 17 | ჯარიმა | 25 |
| 6 | კუთხური | 6 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 1 |
| 4 | კარში დარტყმა | 3 |
| 2 | თამაშგარე | 4 |

**გოჩა ჟანაშია ლანჩხუთიდან**

**უმაღლეს** ლიგაში დაბრუნებული „გურია" შაბათს ლანჩხუთში ოდენ ქულას გამორჩა. არადა, დიდი შანსი იყო, მოეგო კიდეც, მაგრამ მატჩის დასრულებამდე 8 წუთით ადრე „მერანმა" გაუთანაბრა.

სეზონის გახსნის ჩვეული ცერემონიალის დასრულება და ფიცხელი ბრძოლის გაჩაღება ერთი იყო. პირველი წუთებიდანვე ცხადი გახდა, ორივე გუნდისთვის პირველ თამაშს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს უფრო გურულებზე ითქმის, რადგან სადებიუტო მატჩის მოგება მათ სამომავლოდ გამოსადეგ ფსიქოლოგიურ ფონს შეუქმნიდა.

ამის დასტური ისიც იყო, რომ პირველივე წუთზე მასპინძელთა ახალწვეულმა ოდიკაძემ კინაღამ ანგარიში გახსნა.

„მერანმა" ამ ჩხვლეტას თამაშის დალაგება მოაყოლა და მეტოქეს სათამაშო არეები შეუზღუდა. შედეგად ბრძოლა ძირითადად მოედნის ცენტრში გაჩაღდა, რასაც თამაშის გათანაბრება მოჰყვა.

აშკარად ჩანდა, რომ სეზონის დასაწყისში ორივე გუნდი სასურველ კონდიციებამდე შორს იყო და სათამაშო წუნიც ბლომად შეინიშნებოდა. სანახაობრივი მხარეც სწორედ ამან დაჩრდილა და პირველ ტაიმში საინტერესო ეპიზოდები ნაკლებად შეინიშნებოდა. აქედან სამს თუ გამოარჩევს კაცი.

პირველად იყო სტუმართა საკმაოდ სახიფათო მომენტი, როცა სულიკო დავითაშვილმა სამი მეტოქე სისწრაფეში დაჯაბნა და დოლიძესთან პირისპირ შეყრილი მინდორზე დაეცა. მსაჯმა სავსებით სამართლიანად მოიერიშეს სიმულაციისთვის ყვითელი ბარათი აჩვენა.

დანარჩენი ორი ეპიზოდი ტაიმის ბოლო ხუთ წუთზე მოდის და ორჯერვე ენდელაძე დაემუქრა მეტოქის კარს. ჯერ მისი თავური ოდნავ არაზუსტი გამოდგა, ორ წუთში კი საჯარიმო დარტყმისას ბურთმა ხარიხას მილიმეტრებში გაუზუზუნა.

თამაშის განახლებისთანავე სტუმრებმა ჩინებული მომენტი შექმნეს. ისევ დავითაშვილმა ივარგა გაგუას პასის შემდეგ და ახლო კუთხეში დაბალი დაარტყა. დოლიძე ყოჩაღად დაუხვდა და ძნელი ბურთი კუთხურზე მოიგერია.

„გურია" გოლს გადაურჩა და გააქტიურდა კიდეც. ათ წუთში გატანაც შეეძლო, როცა ოდიკაძემ გონივრული პასით ენდელაძე გაიყვანა კარგ პოზიციაზე, თუმცა ვეტერანს დარტყმა მთლად კარგად ვერ გამოუვიდა.

ერთ წუთში ხუჭუას თავგამოდებას იმავე ენდელაძემ საკმაოდ ძლიერი დარტყმა მიაყოლა, ოღონდ ბურთი ჯვარედინს გაარტყა.

ამასობაში მასპინძელთა აქტიურობამ შედეგი გამოიღო — დაახლოებით 30 მეტრიდან გენადი კაციაშვილმა საჯარიმოთი ისეთი გაისროლა, ცოცხალი კედელიც გაარღვია და ნაჭყეპიასაც ბურთი ხელებშუა გაუტარა.

გოლმა რატომღაც გურულები დააშვიდა, თანაც მათ დაღლა დაეტყოთ, სტუმრებმა კი თამაშის გადასარჩენად დაიწყეს ბრძოლა, მასპინძელ ორკესტრს კონტრშეტევაზე რომ ევარგა, ფუჭად ჩაივლიდა ყველაფერი. მან სამი მცველი ბრძოლაში ჩამოიტოვა და მეკარესთანაც პირისპირ აღმოჩნდა. ივარგა ნაჭყეპიამ და არ გაატანინა.

„გურია" ხუთ წუთში დაისაჯა კიდეც. სოსო დევიძემ ბურთი საჯარიმოს წინა ხაზთან მარჯვენა კუთხეში მიიღო, გაისწორა და მარცხენა ცხრიანში ისეთი ჩახვეული დაარტყა, თქვენი მოწონებული. გოლი მართლაც ულამაზესი გამოდგა.

ეს იყო და არია მონასტერი. მასპინძლები ნირწამხდარნი ჩანდნენ და „მერანს" ცოტა დააკლდა, რომ მოეგო. დემორალიზებულ გურულთა უკანა ხაზს ყველაზე უფრო დავითაშვილი აწიოკებდა. ბოლო წუთებში მას უცილობლად გატანა მართებდა, მაგრამ დარტყმა დააყოვნა და ფეხებში ჩავარდნილმა დოლიძემ სიტუაცია განმუხტა.

საბოლოო შედეგმა — ფრემ „მერანი" დიდად გაახარა. აშკარაა, რომ ეს გუნდი თუნდაც შარშანდელის აჩრდილია და ლანჩხუთური ქულა მისთვის უდავოდ მიღწევა იყო.

ბათუმი. 28 ივლისი. 19 საათი. დინამო. 1 000 (ტევადობა 18 000)

## ბათუმი 3:1 მეტალურგი

1:0 ხუჯაძე (7), 1:1 ფირცხალაიშვილი (14), 2:1 მაჭუტაძე (83), 3:1 აფხაზავა (85)




შეცვლა: ქაცარავა — 13. კობიძე (46), ხმალაძე — 15. ცუცქირიძე (64), ფირცხალაიშვილი — 19. ორმოცაძე (73), ჩხაიძე — 14. რომანაძე (82), ტულუში — 17. გვაზავა (86)
გაფრთხილება: თავბერიძე (35), მინდაძე (44), კობიძე (47), ამაშუკელი (47), მაჭუტაძე (51), ლურსმანაშვილი (53)
მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე; ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი), დ. სანაია (სოხუმი)
სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

| | | |
|---|---|---|
| 16 | ჯარიმა | 18 |
| 6 | კუთხური | 3 |
| 8 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 5 | კარში დარტყმა | 3 |
| 3 | თამაშგარე | 2 |

# აშკარა, დასაჯერებელი

**ვაჟა ხუციშვილი ბათუმიდან**

**ეს** მატჩი ნამდვილი ბრძოლა იყო დრამატული ფინალით. პირველი წამებიდანვე მეტოქეები ისე ეკვეთნენ ერთმანეთს, თითქოს ძველი ანგარიშები ჰქონდათ გასასწორებელი და ამ დღეს დიდ ხანს ელოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ გუნდები მაყურებლის წინაშე გადახალისებული შემადგენლობებით წარსდგნენ, შეუთამაშებლობის მომენტები თითქმის არ შეიმჩნეოდა. ფეხბურთელები მთელი 90 წუთის მანძილზე თავდაუზოგავად იბრძოდნენ მოედნის ნებისმიერ წერტილში. ერთი სიტყვით, საქართველოს ჩემპიონატისთვის უჩვეულო ფეხბურთი გაჩაღდა, რაც სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა. ერთ მომენტში უნებლიედ შოტლანდიის ჩემპიონატიც გამახსენდა, თუმცა ვიფიქრე, ასეთი ტემპი დიდხანს ვერ გასტანს-მეთქი. საბოლოოდ გაირკვა, რომ ვცდებოდი. ამ მატჩის ნახვა ერთ რამედ ღირდა. მერე რა, რომ საშემსრულებლო ოსტატობა და აქედან გამომდინარე ხარისხი, არცთუ ისე მაღალი იყო? ისიც ხომ მთავარია, მწვრთნელებმა ყოველი შეხვედრის წინ თავისი შეგირდები ბრძოლის ჟინით დამუხტონ. ასლან ბალაძემ და ვასილ ჭეიშვილმა ეს შეძლეს — მოედანზე არავინ დასეირნობდა. სტადიონიდან გამოსულს არ უნდა გეუფლებოდეს ისეთი გრძნობა, თითქოს ერთბაშად ოცდაორმა კაცმა მოგატყუა. ამ შემთხვევაში ყველა მოთამაშე ბოლომდე დაიხარჯა და მატჩის ბოლოს წამოსული თავსხმა რომ არა, დარწმუნებული ვარ, გულშემატკივრები ფეხბურთელებს ფეხზე ადგომით და ტაშით გააცილებდნენ.

მასპინძელთა რიგებში რამდენიმე ახალწვეულის დებიუტი შედგა. ყოფილი „ტორპედოელი" ზურაბ არჩვაძე ლიბეროდ იქნა გამწესებული, რომელმაც მოვალეობას კარგად გაართვა თავი შეტევის მარცხენა ფლანგზე. დაცვის ცენტრში „მერანიდან" ბათუმს ჩასული ჩხაიძე და ხუჯაძე ირჯებოდნენ. მაჭუტაძე-აფხაზავას დუეტის პასებით მომარაგება კი ტულუშს ევალებოდა.

ერთი მერანელი ზესტაფონელებსაც ჰყავთ — ზვიად კრავეიშვილი, ტანმორჩილი, მაგრამ უაღრესად სახიფათო და სწრაფი ფეხბურთელი. მისი მეწყვილე წინა ხაზზე დიმიტრი ფირცხალაიშვილი იყო. ეს ორი თავდამსხმელი მთელი შეხვედრის მანძილზე ბათუმელ მცველებს მოსვენებას არ აძლევდა, თუმცა მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლეს.

უკვე მატჩის დებიუტში საჯარიმოს მარცხენა ხაზთან აფხაზავა-ტულუშის მიერ გათამაშებული კომბინაციის დაგვირგვინება მაჭუტაძეს შეეძლო, მაგრამ ბურთის დამორჩილება ვერ შეძლო. ცოტა ხანში ამას კუთხური და „მერანული" კომბინაცია მოჰყვა — ჩხაიძის მოწოდებულს ხუჯაძემ დაჰკრა თავი და პირველი ზღვისპირული გოლი ჩაიწერა.

კარგად ერთვებოდა მარჯვენა ფლანგიდან შეტევებში „იბერიადან" „მეტალურგში" გადასული ლაშა ხმალაძე. იგი გამათამაშებელ ამაშუკელს თავდამსხმელების პასებით მომარაგებაში ეხმარებოდა. მე-14 წუთზე ამაშუკელი ცენტრიდან ბურთიანად დაიძრა, მინდორზე ერთგვარი რკალი მოხაზა და ბათუმელთა საჯარიმოში მარცხენა ფლანგიდან შეჭრილმა მოპირდაპირე მხარეს მყოფ ფირცხალაიშვილს ბურთი ზედ თავზე დაასვა, რომლის დარტყმაც უნაკლო აღმოჩნდა — 1:1. აქედან მოყოლებული მოვლენები ხან ერთი და ხანაც მეორე გუნდის საჯარიმოს მისადგომებთან ვითარდებოდა. ორივეს შეეძლო ანგარიშის გაზრდა, თუმცა ბოლო მომენტში ფეხბურთელები სცოდავდნენ. სამაგიეროდ, ეს გადადი-გადმოდი და თანაც აზრიანი ორმხრივი შეტევები საამო იყო საცქერლად. ბათუმელები ტულუშის ირგვლივ ცდილობდნენ თამაშის აწყობას, მაგრამ დარჩიძემ ქაცარავასთან ერთად კაპიტანს მხარი ვერ აუბა. აი, სტუმრები კი ბურთის პირველი შემთხვევისთანავე აგზავნიდნენ წინ. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ტანმორჩილი ზესტაფონელი ფორვარდები ჩიჩუასთან და მინდაძესთან ორთაბრძოლებში ხშირად გამარჯვებულნი გამოდიოდნენ. ამასობაში პირველი ნახევარიც მიილია. ცხადია, მასპინძლები მეორე ტაიმში შინ სამი ქულის აღებას შეეცდებოდნენ. ამიტომ ასლან ბალაძემ პასიური კახა ქაცარავა კობიძით შეცვალა. ტულუშმა მარჯვენა ფლანგზე გადაინაცვლა, კობიძე ცენტრში დამკვიდრდა და ბესიკ ამაშუკელის მოთოკვა სცადა. შესაბამისად, ამ ჯაჯგურში ორივე გააფრთხილეს. ბათუმელთა კაპიტნის მარჯვნიდან განხორციელებულმა რეიდებმა მეტი სიმწვავე შეიტანა შეტევებში, მაგრამ „მეტალურგის" მცველები თითქმის არ ცდებოდნენ. თავის მხრივ ლიდერის ფუნქცია ზესტაფონელთა რიგებში გიორგი სუხიაშვილმა იკისრა და შეძლებისდაგვარად თავდამსხმელებს პასებით ამარაგებდა. 73-ე წუთზე ალბათ ყველაზე აქტიური ფირცხალაიშვილი შეცვალეს, რამაც ბათუმელებს ხელ-ფეხი გაუხსნა, თუმცა კი რეალურ საგოლე მომენტამდე საქმე არ მიდიოდა. ამასობაში სტუმართათვის საბედისწერო 83-ე წუთიც დადგა. ჩხაიძის რომანაძით შეცვლის მომენტში „მეტალურგის" ფეხბურთელებმა ყურადღება ოდნავ მოადუნეს. მარჯვენა ფლანგიდან ტულუშმა საჯარიმოში დაბალი ბურთი გაგზავნა, სადაც მხოლოდ თავბერიძე, ლურსმანაშვილი და მათ შორის ჩამდგარი მაჭუტაძე იმყოფებოდნენ. მცველთა წამიერი მოდუნება საკმარისი აღმოჩნდა ბათუმელი ფორვარდისთვის, რათა ერთი შეხებით მეორე გოლი გაეტანა მეკარე მერკვილიშვილისთვის. ორიოდ წუთში მთელი გუნდით წინ წასულ ზესტაფონელებს კონტრშეტევა გაეპარათ და აფხაზავამ შეხვედრას წერტილი დაუსვა. აღსანიშნავია, რომ „მეტალურგის" ფეხბურთელები არ გამტყდარან და იმ ბოლო 5 წუთის განმავლობაში, როცა გემრიელად წვიმდა, გემრიელადვე უტევდნენ, მათდა სამწუხაროდ, უშედეგოდ. სტუმრებმა მეტად დასანანი მარცხი განიცადეს, გამოცდილებამ თავისი გაიტანა.



ბათუმელი პაატა მაჭუტაძე ზესტაფონელ მცველებზე მაღლა ახტა

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია
(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით
თსსუ ცენტრალური კლინიკა (ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფო).
I სართული ტელეფონი: 38-67-56; 8 99 107 109

რეკლამა სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# ესეც პირველი, ესეც მაიერი...




REUTERS

გლადბახი — ბაიერნი. ბერნდ კორჟინეცმა (№19) და მისმა თანაგუნდელებმა ბავარიელებს ცივი შხაპი მიაღებინეს

## გერმანია

### ფრაიბურგი 3:0 ვერდერი

1:0 კობიაშვილი (50 პ), 2:0 ტანკო (87), 3:0 კულიბალი (90)

ფრაიბურგი: გოლცი, მიულერი, დიარა, კელი, ვილი (ცქიტიშვილი 61), ცაიერი, კობიაშვილი, კულიბალი, ბუტი (კონდე 77), ტანკო, რამდანე (იაშვილი 69)

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

ვერდერი: როსტი, ბაუმანი, ვერლაატი, კრისტაიჩი, ფრინგსი, აილტსი (სილვა 74), ერნსტი (კლასნიჩი 66), ბოდე, ჰერცოგი, აილტონი, შტალტერი

მწვრთნელი: თომას შააფი

25000 მაყურებელი

გაფრთხილება: კელი, აილტონი, ფრინგსი

გაძევება: შტალტერი (83)

### შტუტგარტი 0:0 კიოლნი

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მარკესი, ბორდონი, ვენცელი, სოლდო, ტოდტი (მაისნერი 3), ტიფერტი (ზაიცი 84), ბალაკოვი, ადემარი (დანდი 46), კურანი

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

კიოლნი: ბადე, შერცი, კულმანი, ჩიკონი, კელერი, რეები, ლოტნერი (კურტი 80), შპრინგერი, რაიხი, კროიცი (უედრაგო 89), ბარანეკი

მწვრთნელი: ევალდ ლინენი

32000 მაყურებელი

გაფრთხილება: სოლდო, ჩიკონი

### კოტბუსი 1:0 ჰამბურგი

1:0 მირიუტა (90 პ)

კოტბუსი: პიბლიცა, შებოკი, ჰუჯოროვიჩი, მატიუში, კალუჟნი, აკრაპოვიჩი, კობილანსკი (სკერბე 89), რეგეკამფი, მირიუტა, ლაბაკი (ტოპიჩი 62), ფრანკლინი (ბრაზილია 62)

მწვრთნელი: ედუარდ გაიერი

ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ჰერჩი, ჰოოგმა, ჰანადიჩი, გროთი, ტოფტინგი, ჰოლერბახი, ალბერტცი, მაჰდავიკია, კეტელაერი (ბაინლი 46), მეიერი (იებოა 61)

მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი

17783 მაყურებელი

გაფრთხილება: კობილანსკი, ბრაზილია, მაჰდავიკია, პიკენჰაგენი

### ზანქტ პაული 0:0 ჰერტა

ზანქტ პაული: ბულატი, სტანისლავსკი, ამადუ, შაინჰარდტი, ინშემანი (ბაირამოვიჩი 71), ბურგერი, ჰელდი, რანი, ნეგლე, რატი (ბარისი 86), სენსი (კონეცკე 81)

მწვრთნელი: დიტმარ დემუტი

ჰერტა: კირალი, რემერი, ვან ბურიკი, კონსტანტინიდისი, ბაინლიხი, ჰარტმანი, გოორი (ნოიენდორფი 81), დაისლერი, მარსელინიო, ალვეში, პრეეცი

მწვრთნელი: იურგენ რიობერი

19700 მაყურებელი

გაფრთხილება: ჰელდი, რენერი, კონსტანტინიდისი

### ლევერკუზენი 2:1 ვოლფსბურგი

1:0, 2:0 ლუსიო (41, 47), 2:1 ფელდჰოფი (86)

ლევერკუზენი: ბუტი, ლუსიო, ნოვოტნი, სებესკენი, რამელო, ზე რობერტო (პლასენტე 75), ბ. შნაიდერი (ბრანიეში 85), ბალაკი (ვოვკოვიჩი 64), ბასტურკი, ნოივილი, კირსტენი

მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, კრიგერი, შნური, პლასეგერი, მ. მადსენი, აკონორი, კარჰანი, კუჰბაუერი (მუნტიანუ 59), პეტროვი, პონტე (გრეინერი 59), რიშე (ფელდჰოფი 78)

მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი

22000 მაყურებელი

გაფრთხილება: ბასტურკი, ნოივილი, მ. მადსენი

### დორტმუნდი 2:0 ნიურნბერგი

1:0, 2:0 ამოროზო (12, 33)

დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, კოლერი, ევანილსონი, დედე (სტევიჩი 32), როიტერი, ჰაინრიხი, რიკენი, როსიცკი (სორენსენი 86), ამოროზო (რეინა 75), კოლერი

მწვრთნელი: მათიას ზამერი

ნიურნბერგი: კამპა, ფრაი (ოგუნგბურე 78), კოში, იოჰანსონი, ვიბლიშაუზერი, სანე, მიკლი, ლ. მიულერი (კრჟინოვეკი 68), სტოილოვი (ჰობში 68), გომიში, მიხალკე

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

65500 მაყურებელი

გართხილება: სტევიჩი, დედე, რიკენი, იოჰანსონი, მიხალკე

### გლადბახი 1:0 ბაიერნი

1:0 ვან ლენტი (23)

გლადბახი: შტილი, ებერლი, კორელი, პლეტში, დემო (ასანინი 84), ჰაუსვაილერი, ნილსენი, ვიტეჩეკი, კორჟინეცი (კუნცელი 71), ვან ლენტი, ვან ჰუდტი (ულიში 79)

მწვრთნელი: ჰანს მაიერი

ბაიერნი: კანი, ჰარგრივსი, რ. კოვაჩი, ლინკე, სალიჰამიჯიჩი, ნ. კოვაჩი (ციკლერი 79), ეფენბერგი, ლიზარაზუ, პაულო სერჯიო (შოლი 46), იანკერი (სანტა კრუზი 68), ელბერი

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

34500 მაყურებელი

გაფრთხილება: ეფენბერგი, იანკერი, ნ. კოვაჩი, ჰარგრივსი

### მიუნხენი 0:4 ლაუტერნი

0:1 შტრასერი (57), 0:2 მარშალი (60), 0:3 პეტერსონი (76), 0:4 ჰ. კოხი (83 პ)

მიუნხენი: იენჩი, გრაილიხი, ზელიჩი, რისეტი, ვაიზინგერი, ჩერნი (დეედენი 27), მიუკლანდი, მ. ვაისენბერგერი (ბიროფკა 56), ჰესლერი, მაქსი, იპუა

მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი

ლაუტერნი: გ. კოხი, ჰ. კოხი, ჰენგენი, კნავსი, ბასლერი, რიდლი, ბიელიცა, რამზი, შტრასერი (კლოზე 79), პეტერსონი (რატინიო 82), მარშალი (მიფსუდი 65)

მწვრთნელი: ანდრეას ბრემე

26 500 მაყურებელი

გაფრთხილება: ზელიჩი, ბიროფკა, მარშალი, ბასლერი, კნავსი

### შალკე - ჰანზა

გაიმართება 21 აგვისტოს

**ლოგიკური** იყო თუ არა „ფრაიბურგის" შარშანდელი ალმასვლა? წლეულსაც იმავეს გაიმეორებენ თუ უფრო მაღლა ავლენ? ამ კითხვებზე პასუხს სეზონის ბოლოსკენ გავიგებთ. მანამდე კი ბუნდესლიგის პირველსავე ტურში ფოლკერ ფინკეს გუნდმა შინ ბრემენის „ვერდერი" დაანგრია და ამაში დიდი მონაწილეობა მიიღო ლევან კობიაშვილმა. გამართლდა „კიკერის" პროგნოზი, „ფრაიბურგის" სასტარტოში ქართველთაგან მხოლოდ კობიაშვილი გაამწესეს.

მასპინძლებმა სწრაფი ფეხბურთი ითამაშეს და თავიდანვე ლევანსა და ტანკოს უნდა გაეტანათ, თუმცა ტოლი არც ბრემენელებმა დაუდეს და ბრაზილიელმა აილტონმა კინაღამ გახსნა ანგარიში.

მეორე ნახევარში უხეშობამ იმატა „ფრაიბურგმა" კვლავ ჯიქურ შეუტია და 50-ე წუთზე პენალტიც მოინადირა, ცაიერის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი ზუსტად დაარტყა კობიაშვილმა. მერე თამაშიც გაიხსნა. მიულერმა და კობიაშვილმა ისევ შეუტიეს, მაგრამ სტუმართა მეკარე ფრანკ როსტმა ერთობ იყოჩაღა.

ბოლო შვიდი წუთი „ვერდერმა" რიცხობრივ უმცირესობაში გაატარა, მეორე გაფრთხილებისთვის კანადელი სტალტერი გააძევეს. ძნელი სათქმელია, ამან თუ რაიმე ჩვენთვის უცნობმა ამბავმა იმოქმედა, მაგრამ ნაღდი კია, რომ „ვერდერი" დაიბნა და ბოლო სამ წუთში კიდევ ორი ბურთი გაუშვა. ჯერ კელის გადაცემით ტანკომ შეაგდო, მერე კი კულიბალიმ 20 მეტრიდან ჩინებულად დაარტყა საჯარიმო.

ცქიტიშვილი და იაშვილი ბოლო ნახევარ საათში გამოჩნდნენ მინდორზე.

ანდრეას ბრემეს „კაიზერსლაუტერნმა" სტუმრად „მიუნხენი" 4:0 გაანადგურა და ბურთების უკეთესო სხვაობით სატურნირო ცხრილს ჩაუდგა სათავეში. საინტერესოა, რომ ლაუტერნელებმა ყველა გოლი მეორე ტაიმში გაიტანეს.

პირველი ოფიციალური მატჩიდანვე „დორტმუნდმა" იმ ფულის ამოღება დაიწყო, რომელიც ბრაზილიელ მარსიო ამოროზოში დორტმუნდელებმა იტალიური „პარმასგან" 25 მილიონ დოლარად იყიდეს, რამაც ბრაზილიელი ბუნდესლიგის ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელად აქცია. ამოროზომ „ნიურნბერგს" ორი გაუტანა და ქომაგებს იმედი ჩაუსახა, რომ „დორტმუნდი" წლეულს მაინც გახდება ჩემპიონი.

პირველი გოლი ახალწვეულებისა იყო. „ანდერლეხტიდან" გადასულმა ჩეხმა იან კოლერმა მოხდენილად ჩააწოდა და ამოროზომ მეკარე კამპას აჯობა. მერე სადღაც პენალტის ნიშნულთან თანამემამულე ევანილსონის პასი მიიღო და მეორე შეაგდო.

ბუნდესლიგაში წლეულს დაბრუნებული „ნიურნბერგიდან" კი ყველაზე გამორჩეული მეკარე კამპა გახლდათ. რომ არა მისი ოსტატობა, ანგარიში შეიძლება ძალიან მსუყე ყოფილიყო.

გახსოვთ კლაუს ტოპმიოლერი? სწორედ ის კაცია თავის დროზე კახა ცხადაძის „აინტრახტს" რომ წვრთნიდა და იქიდან არცთუ უხმაუროდ წამოვიდა. შაბათს მან პირველად გაიყვანა მინდორზე „ლევერკუზენი" და დებიუტი „ვოლფსბურგთან" 2:1 გამარჯვებით აღნიშნა. ორივე გოლი აქაც ბრაზილიელმა ლუსიომ გაიტანა.

ახლა კი დღის მთავარი მატჩის შესახებ. მიონხენგლადბახში ორწლიანი ხეტიალის მერე ბუნდესლიგაში დაბრუნებული „ბორუსია" ქვეყნისა და ევროპის ჩემპიონ „ბაიერნს" მასპინძლობდა.

რა შეიძლება ითქვას? „ბაიერნი" ჯერ ფორმაში არ არის, „გლადბახი" კი ისეთ იშტაზეა, დებიუტანტის კვალობაზე ლიგაში დასარჩენად სულაც არ იბრძოლებს. მაგალითიც აქვს, სამი წლის წინ მეორედან პირველ ბუნდესლიგაში აღზევებული „კაიზერსლაუტერნი" ხომ ეგრევე ჩემპიონი გახდა. თანაც გლადბახელებს ჩინებული მწვრთნელიც ჰყავთ. ჰანს მაიერი ის კაცია, ვისაც ოცი წლის წინ „კარლ ცაისი" თასთა თასის ფინალში გაუყვანია და იქ თბილისის „დინამოსთან" დამარცხებულა.

მასპინძლებმა თამაში კონტრშეტევებზე ააგეს და ერთობ მწარედაც იკბინებოდნენ. ჯერ ვიტეჩეკმა გრძელი პასით დემო მიუნხენელთა კართან გაიყვანა, მაგრამ ამან კარს ზემოთ დაარტყა, მალევე მსგავსი კომბინაცია გოლით დამთავრდა. ახლა უკვე დემომ ოსტატურად გადააწოდა ვან ლენტს და ამ უკანასკნელმაც ისეთი ძლიერი დაარტყა, პირდაღებულმა კანმა ვერც ვერაფერი მოახერხა.

მერე „ბაიერნი" თითქოს გონს მოეგო და შეუტია კიდეც, მაგრამ გეგონება მარილი აკლიათო, არაბაიერნულად თამაშობდნენ, თუმცა ერთ ეპიზოდში პენალტი ეკუთვნოდათ, როცა ელბერთან ბრძოლაში მასპინძელმა მცველმა საჯარიმოში ხელით ითამაშა მაგრამ... მაგრამ ბუნდესლიგა მხოლოდ იწყება და ყველაფერი წინაა...

**სოლომონ გულისაშვილი**



REUTERS

დორტმუნდი — ნიურნბერგი. იღბლიანი დებიუტი ამოროზოს მათიას ზამერმაც გულით მიულოცა

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლაუტერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 |
| 2 ფრაიბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 3 დორტმუნდი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 4 ლევერკუზენი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 5 გლადბახი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 6 კოტბუსი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 7 კიოლნი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 8 ზანქტ პაული | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 9 შტუტგარტი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 10 ჰერტა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 11 ჰანზა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 12 შალკე | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 13 ვოლფსბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 14 ბაიერნი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 15 ჰამბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 16 ნიურნბერგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 17 ვერდერი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 18 მიუნხენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |

### II ტური

4-5 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| ბაიერნი | - | შალკე |
| ვოლფსბურგი | - | ზანქტ პაული |
| ჰერტა | - | დორტმუნდი |
| ნიურნბერგი | - | ფრაიბურგი |
| ვერდერი | - | კოტბუსი |
| ჰამბურგი | - | შტუტგარტი |
| კიოლნი | - | მიუნხენი |
| ლაუტერნი | - | გლადბახი |
| ჰანზა | - | ლევერკუზენი |

## მეორე ბუნდესლიგა

### I ტური

### ფიურტი 2:2 ობერჰაუზენი

0:1 ვებერი (2), 1:1 ზურმანი (8), 2:1 კიოიო (47), 2:2 ლიბინსკი (90პ)

ფიურტი: რაიხოლდი, უნსოლდი, სკარაბელა, ბატისტა, ჰაასა, აზუზი (ბლასპენრიხი 74), რაიხელი, სურმანი, რუმანი, ტური (რუისი 66), კიოიო (მასენმუტლი 79)

მწვრთნელი: უვე ერკენბრეხერი

გიორგი დეკანოიძე

შემადგენლობაში ვერ მოხვდა

### აინტრახტი 3:1 როიტლინგენი

0:1 ველი (16), 1:1 იანგი (63), 2:1, 3:1 კრიშალოვიჩი (67, 81)

### ზაარბრიუკენი 1:3 მანჰეიმი

0:1, 0:2 კლაუსი (28, 41), 0:3 მონტერო (86), 1:3 ბრაიტკროიცი (88)

### დუისბურგი 1:4 ალენი

1:0 ბოლისელა (3), 1:1 დ. შულტერი (7), 1:2 ფაინბიერი (11), 1:3 არნოლდი (67), 1:4 ბალუშინსკი (81)

### არმინია 0:1 ბაბელსბერგი

0:1 რიოვერი (90)

### კარლსრუე 1:0 შვაინფურტი

1:0 ფუხსი (62)

### ალემანია 0:2 მაინცი

0:1 ვილანდი (79), 0:2 ნუკუფო (81)

### უნტერჰახინგი 0:2 ბოხუმი

0:1 კოლდინგი (58), 0:2 ფრაიერი (74)

### უნიონი — ჰანოვერი

წუხელ გვიან ღამით დამთავრდა, იხილეთ მე-2 გვერდი

40° Copa América
Colombia 2001
11 al 29 de julio

# ამერიკამ კოლუმბია აღმოაჩინა



კოლუმბია — მექსიკა. რამონ კორდობა (№2) ამ თავურით ისტორიაში შევიდა

**ფინალი**

**კოლუმბია 1:0 მექსიკა**

1:0 კორდობა (65)

**კოლუმბია:** ოსკარ კორდობა, ივან ლოპესი, ივან კორდობა, მარიო იეპესი, ჯერარდო ბედოია, კარლოს რამირესი, ფაბიენ ვარგასი, ფრედი გრისალესი, ჯოვანი ერნანდესი (მაურისიო მოლინა 87), ვიქტორ არისტისაბალი (კასტილიო 31), ელკინ მურილო

მწვრთნელი: ფრანსისკო მატურანი

**მექსიკა:** ოსკარ პერესი, ოქტავიო ვალდესი, ალბერტო როდრიგესი (მიგელ ზეპედა 74), რამონ მორალესი, ხუან როდრიგესი, კარლოს მორალესი, სიგფრიდო მერკადო, იოან როდრიგესი (დიეგო ოსორნო 67), ჯერარდო ტორადო, ხესუს არელანო (სეზარიო ვიქტორინო 53), იარედ ბორგეტი

მწვრთნელი: ხავიერ აგირა

**მესამე ადგილისათვის**

**ჰონდურასი 2:2 (5:4 პენ.) ურუგვაი**

1:0 ს. მარტინესი (14), 1:1 ბისერა (21), 2:1 ისაგუერა (41), 2:2 მარტინესი (45)

**ჰონდურასი:** ჰენრი ენამორადო, სამუელ კაბალერო, ჟუნიორ ისაგუერა, ლეონარდო მორალესი (ნინროდ მედინა 80), ლიონერ პერესი, რიკო გარსია, რობელ ბერნანდესი, ელვის ტურსიოსი (მარიო როდრიგესი 64), ამადო გუევარა (ფილიპსი 89), საულ მარტინესი, რიკარდო პინედა

მწვრთნელი: რამონ მარადიაგა

**ურუგვაი:** ადრიან ბერბია, გონსალო სორონდო, კარლოს გუტიერესი, ჯო ბისერა, კარლოს დიასი, კლაუდიო დადომო (პაბლო ლიმა 63), დიეგო პერესი, ანდრეს მარტინესი (ხულიო როდრიგესი 66), როდრიგო ლემოსი, ფაბიენ ქატოიანოფი, ვალტერ გუგლიემონი (რუბენ ოლივეირა 56)

მწვრთნელი: ვიქტორ პუა

**მოვიგებთო,** თქვეს და კიდეც მოიგეს. კვირას ბოგოტას „ელ კამპინზე" კოლუმბიელებმა დიდი ხნის ნანატრი თასი ჩაიხუტეს. ატორტმანდა სტადიონი, გიჟმაჟმა ქომაგმა რუმბა გააჩაღა და კვირიდან მოყოლებული არც გაჩერებულა. ზეიმობს ბოგოტა, ორმცოდაორმილიონიანი კოლუმბია, თვით ქვეყნის პრეზიდენტი, წლევანდელი კოპა ამერიკის სულისჩამდგმელი და ჩაშლის ამრიდებელი ანდრეს პასტრანა. ტრიბუნებზე მის ახლომახლო, ბევრ დაფასებულ პერსონასაც მოჰკრავდით თვალს. მათ შორის ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი და ლეგენდა დიეგო მარადონაც იმყოფებოდნენ. მოდი და უძახე მეორეხარისხოვანი წლევანდელ კოპას. მართალია, არ იყო არგენტინა, სალასი, პიზარო, რივალდო, რობერტო კარლოსი და სხვანი, მაგრამ იყო ჟინი, ბრძოლა, ემოცია, რაც ეგზომ ალამაზებს ფეხბურთს. იყო კოსტა რიკა ვანჩოპესთან ერთად, იყო ჰონდურასის ნახევარფინალი ურუგვაისთან და არის ჩემპიონი — კოლუმბიის ეროვნული გუნდი, რომელმაც ექვსი თამაშიდან ექვსივე მოიგო, გაიტანა თერთმეტი და საკუთარი კარი მშრალად შეინახა.

მწვრთნელი მატურანა გამარჯვებაში დარწმუნებული გახლდათ. კოლუმბიელთა მცველი რამონ კორდობა იფიცებოდა, მექსიკელებს მოვუგებთო. ალბათ, იცოდნენ და სჯეროდათ, რასაც ამბობდნენ. სწორედ კორდობას ერთადერთმა გოლმა შეაყენა მასპინძლები კონტინენტის საფეხბურთო ოლიმპზე. იგი ახლა სამშობლოში ვინძლო ყველაზე პოპულარული კაცია.

„ელ კამპინზე" მისულები კარგა ხანს ელოდნენ გოლს. მექსიკელები მასპინძელთა მწვავე იერიშებს მწყობრად იგერიებდნენ. მიუხედავად მეტოქის დაცვის გაუვალობისა, მუდამ კარისკენ მიმართულმა არისტისაბალმა ერთხელ ძელიც შეაზანზარა, ფრედი გრისალესს კი „აცტეკთა" კარი მეკარე ოსკარ პერესის ოსტატობის გამო დარჩა დაულაშქრავი. მექსიკელები შიგადაშიგ მწვავედ იკბინებოდნენ. იარედ ბორგეტიმ ისეთი დააქუხა, რომ ტრიბუნები ჩააწყნარა, მაგრამ კოლუმბიელებს კარში გამოცდილი ოსკარ კორდობა ედგათ.

კოლუმბიელებისთვის ისტორიული გოლი, რომელსაც ისტერიული სიხარული მოჰყვა, თამაშის დამთავრებამდე 25 წუთით ადრე გავიდა. რამონ კორდობამ ნავსი გატეხა, როცა ივან ლოპესის პასით მოხდენილი თავურით გაიტანა.

ძნელია იმის წარმოდგენა, რა ხდებოდა ტრიბუნებზე. კოლუმბიელი ქომაგი, რომელსაც გოლამდე რამდენიმე წუთით ადრე რამონ მორალესის სახიფათო დარტყმულს ჩაეჩუმებინა, ერთიანად წამოიშალა. აირია მონასტერი და მექსიკელებსაც თითქოს მუხლი მოჰკვეთა ამ ჯოჯოხეთურმა ღრიანცელმა. მასპინძლებმა უფრო გაავებით შეუტიეს. კასტილიომ კინაღამ მეორეც შეაგდო. მექსიკელები უკვე აღარ იყვნენ თამაშის შემომბრუნებლები, მათ წინააღმდეგ მთელი კოლუმბია თამაშობდა, თან ისედაც შესუსტებულებს (ურუგვაელებთან ნახევარფინალში ვიდრო და ასპე გაუძევეს) მსაჯმა ჯერ როდრიგესი, შემდეგ კი ტორადო გაუგდო, ამათ მწვრთნელიც მიაყოლა.

„აცტეკებმა" კოკაინის სამშობლოდან კოპას წაღება ვერ მოახერხეს. 1993 წელს ეკვადორში მექსიკელთა ოცნებას ახალგაზრდა ბატისტუტამ ორი გოლით მოუღო ბოლო, ახლა კი ისინი რამონ კორდობამ იმსხვერპლა.

მრავალთა წინასწარმეტყველებით კოლუმბიელებმა თასი არავის გაატანეს. არგენტინელების არყოფნაში, ვარსკვლავთა წაუსვლელობის გამო მასპინძლების გაჩემპიონება არავის გაჰკვირვებია, მაგრამ პატარა ჰონდურასელების მესამე ადგილი სენსაცია იყო. კარიბელებმა ყველას გასაკვირად მეოთხედფინალში ბრაზილიელები დასცეს, კოლუმბიელებთან ნახევარფინალი კი წააგეს, მაგრამ მესამე ადგილისთვის თოთხმეტგზის სამხრეთ ამერიკის და ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ ურუგვაელებს ტოლი არ დაუდეს. თანასწორად ეთამაშნენ. ორჯერ ანგარიშში წინაც იყვნენ, მაგრამ გამარჯვებული თერთმეტმეტრიანებმა გამოავლინა. კოლუმბიელებს თუ კორდობა ეამაყებათ, ჰონდურასელებს ჰენრი ენამორადო ჰყავთ. ენამორადო ჰონდურასელთა პირველი მეკარის ნოელ ვალდარესის მაგივრად კარს მეორედ იცავდა. მან ურუგვაელ კარლოს გუტიერესს აჯობა და ჰონდურასელებმაც სწორედ ამ ერთი პენალტით სძლიეს მეტოქეს. ჰონდურასელთათვის, თქმა არ უნდა, რომ ეს უდიდესი მიღწევაა. „ჩვენ ბედნიერები ვართ. ჰონდურასელ ხალხს ამ თამაშმა და საერთოდ მთელმა ტურნირმა დიდი სიხარული აჩუქა. ნაკრები გულშემატკივარის სასიამოვნოდ გაოცებას აგრძელებს" — ამბობს ჰონდურასის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლისანდრო ფლორესი. ასეა, ფეხბურთის თამაში ჰონდურასშიც ისწავლეს.

ლათინური ამერიკის ფეხბურთის ისტორიაში კი ახალი გვერდი იშლება: 2001 წლის 29 ივლისს კოლუმბიის ნაკრები პირველად დაეუფლა კონტინენტის ჩემპიონობას, ხოლო ჰონდურასელებმა კოპაზე პირველად გამოჩენისთანავე ბრინჯაოს მედლები ირგუნეს.

**გიორგი გამარდაშვილი**

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი
## აფრიკა

**A ჯგუფი**

ანგოლა 1:1 ტოგო
ლიბია 2:4 ზამბია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 8 | 6 | 1 | 1 | 14:4 | 19 |
| ანგოლა | 8 | 3 | 4 | 1 | 11:9 | 13 |
| ზამბია | 8 | 3 | 2 | 3 | 14:11 | 11 |
| ტოგო | 8 | 2 | 3 | 3 | 10:13 | 9 |
| ლიბია | 8 | 0 | 2 | 6 | 7:19 | 2 |

**B ჯგუფი**

ნიგერია 3:0 განა
სუდანი 3:0 სიერა-ლეონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიგერია | 8 | 5 | 1 | 2 | 15:3 | 16 |
| ლიბერია | 8 | 5 | 0 | 3 | 10:8 | 15 |
| სუდანი | 8 | 4 | 0 | 4 | 8:10 | 12 |
| განა | 8 | 3 | 2 | 3 | 10:9 | 11 |
| სიერა ლეონი | 8 | 1 | 1 | 6 | 2:15 | 4 |

**D ჯგუფი**

მადაგასკარი 1:0 კონგო
კოტ დივუარი 1:2 კონგოს დრ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 8 | 6 | 2 | 0 | 23:4 | 20 |
| კოტ დივუარი | 8 | 4 | 3 | 1 | 18:8 | 15 |
| კონგოს დრ | 8 | 3 | 1 | 4 | 7:16 | 10 |
| მადაგასკარი | 8 | 2 | 0 | 6 | 5:15 | 6 |
| კონგო | 8 | 1 | 2 | 5 | 5:15 | 5 |

**E ჯგუფი**

მალავი 0:1 ზიმბაბვე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხ. აფრიკა | 6 | 5 | 1 | 0 | 10:3 | 16 |
| ზიმბაბვე | 6 | 4 | 0 | 2 | 7:5 | 12 |
| ბურკინა ფასო | 6 | 1 | 2 | 3 | 7:8 | 5 |
| მალავი | 6 | 0 | 1 | 5 | 4:12 | 1 |

გვინეა მოხსნილია გათამაშებიდან

# აფრიკამ საქმე მოითავა

**კვირას** ნიგერიელმა „სუპერარწივებმა" მშობლიურ სარბიელზე განას ძლევით ჯგუფში პირველი ადგილი და 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოიპოვეს.

ამ მატჩამდე ჯგუფში ლიბერია ლიდერობდა, რომელიც ნიგერიას ორი ქულით უსწრებდა, მაგრამ მეორეადგილოსნებს ერთი თამაში ჰქონდათ დარჩენილი, რომელიც თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს და ყოფილი ლიდერები კორეა-იაპონიაში გამგზავრების ნაცვლად შინ დატოვეს.

შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველივე წუთზე აგალის გოლს ბაბანგიდამ მე-18 და 22-ზე ორიც დაუმატა და მატჩის ბედიც გადაწყვიტა.

„მოხარული ვარ, რომ დიდი შრომა დაგვიფასდა — განაცხადა ნიგერიელთა მწვრთნელმა შაიბუ ამოდუმ — ბიჭებმა საუკეთესოდ ითამაშეს. ჩვენ იმედს არ ვკარგავდით, პრინციპული თამაშების წაგების შემდეგ ვლოცულობდით და საოცრებას ველოდით. იგი დღეს გვეწვია".

დუბლის შემსრულებელი ტიჯანი ბაბანგიდა სიხარულისგან მეცხრე ცაზე იყო. „მიხარია, ჩემი ორი გოლით რომ შევეშველე გუნდს. ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვითამაშებთ, ხოლო ამ წარმატებას მთელი ღამე ვიზეიმებთ" — ხარობდა „ვიტესის" თავდამსხმელი.

ლიბერიელთა ოცნება, რომ ნიგერიას ვერ მოეგო, ოცნებადვე დარჩა. ისინი გლოვობდნენ, მაგრამ ნიგერიელების მოგებაზე მეტად პირველ ივლისს განასთან მარცხს დასტიროდნენ, რომლის შემდეგ ნაკრების ლიდერმა ჟორჟ ვეამ დახმარება ღმერთს სთხოვა.

„ჩვენები არასერიოზულად მოემზადნენ განასთან სათამაშოდ. მოსამზადებელი პერიოდი დროსტარებაში რომ არ გაეტარებინათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვითამაშებდით" — აღნიშნა ერთ-ერთმა ლიბერიელმა სპორტულმა კომენტატორმა.

სხვა ჯგუფებში პრინციპული და აღსანიშნავი თამაშები არ ყოფილა, კორეა-იაპონიაში წამსვლელთა ვინაობა ყველგან გარკვეული იყო, მხოლოდ აუტსაიდერებმა მოსინჯეს ერთმანეთში ძალები.

აღსანიშნავია, რომ მაიბუ პირველი ნიგერიელი სპეციალისტია, რომელმაც თანამემამულენი მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანა. აქამდე ამ ტურნირზე მოსახვედრად მათ უცხოელი სპეციალისტები ამზადებდნენ. ამოდუ ნაკრებში ორი თვის წინ მივიდა, როცა სიერა ლეონეში დამარცხების შემდეგ „სუპერარწივები" მორიგმა უცხოელმა მწვრთნელმა დატოვა. მან გუნდი გაახალგაზრდავა და თამაშები მოაგებინა. ნიგერიელთათვის ეს მესამე მსოფლიოს ჩემპიონატი იქნება, აქამდე მათ 1994 და 98 წლებში ითამაშეს.

საერთოდ კი, მუნდიალზე სულ რვა აფრიკული გუნდი მოხვედრილა.

1934 — ეგვიპტე
1970 — მაროკო
1974 — ზაირი (ამჟამად კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა)
1978 — ტუნისი
1982 — ალჟირი, კამერუნი
1986 — ალჟირი, მაროკო
1990 — კამერუნი, ეგვიპტე
1994 — კამერუნი, მაროკო, ნიგერია
1998 — კამერუნი, მაროკო, ნიგერია, სამხრეთ აფრიკა, ტუნისი

2002 წელს აფრიკის კონტინენტს კორეა-იაპონიაში წარადგენენ სამხრეთ აფრიკა, ტუნისი, ნიგერია, კამერუნი და დებიუტანტი სენეგალი.

**ლუკა გეგეჭკორი**



ნიგერია — განა. მასპინძელი ჯეი-ჯეი ოკოჩა მეტოქეს ბურთს არ ანებებს

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)



დანდი იუნაიტედი — დანდი. სტუმართა შეტევებს გიორგი ნემსაძე იწყებდა

# პირველი: ტური, დერბი, ქულა

## შოტლანდია

### I ტური

**აბერდინი 0:3 რეინჯერსი**

0:1 ნერლინგერი (55), 0:2 ლატაპი (67პ), 0:3 კანიჯა

**სელტიკი 3:0 სენტ ჯონსტონი**

1:0 მიალბი (37), 2:0, 3:0 ლამბერტი (64,72)

**დანდი იუნაიტედი 2:2 დანდი**

1:0 მილერი (30), 1:1 სარა (33), 1:2 რაე (56), 2:2 ჰამილტონი (90)

დანდი: ლენგფილდი, სმიტი, მაროკო, ხიზანიშვილი, რომანო, რაე, ნემსაძე, დელ რიო, კარანცა, მილნი, სარა

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

13 327 მაყურებელი

**დანფერმლაინი 5:2 მოზერველი**

1:0 დე ჯერი (8), 1:1 კელი (25პ), 2:1 ნიკოლსონი (46), 3:1 ბულენი (56), 4:1 დე ჯერი (59), 5:1 ნიკოლსონი (70), 5:2 ადამსი (79)

**ჰიბერნიანი 2:2 კილმარნოკი**

0:1 ნგონგე (4), 1:1 სოზე (39პ), 1:2 კოკარდი (45), 2:2 ლაურსენი (82)

**ლივინგსტონი 2:1 ჰარტსი**

1:0 კინო (34), 2:0 ფერნანდესი (63), 2:1 კამერონი (89)

**„ჩემი** ახლანდელი ემოცია სიამოვნებისა და დიდი იმედგაცრუების ნაზავია. დღეს „დანდი იუნაიტედს" გოლი ცხოვრებაში პირველად გავუტანე და ამით გახარებული ვარ, მაგრამ ზურას რომ ბურთი არ დაეკარგა, ყველანი უკეთეს ხასიათზე ვიქნებოდით" — თავი დანდური დერბის დამთავრებისთანავე სტუმართა მცველმა გევინ რაემ.

სტუმრები, ანუ ნემსაძისა და ხიზანიშვილის „დანდის" ფეხბურთელები, სამ ქულასთან ძალიან ახლოს იყვნენ, მაგრამ წამატებულ მესამე წუთზე ქართველმა მცველმა ბურთი მეტოქე პატერსონს გადააბარა, რასაც წამში კუთხური მოჰყვა, იქიდან უცბადვე ჩაწოდებულს კი ჯიმ ჰამილტონმა თავი დაჰკრა — 2:2. ასე დამთავრდა მორიგი სქოთური სეზონის პირველი დანდური ჭიდილი.

საერთოდ, შოტლანდიურ ფეხბურთში „სელტიკ" — „რეინჯერსის" დუელი ყველაფერ დანარჩენს ჩრდილავს, მაგრამ პატარა დანდიში თავისი გასარჩევი აქვთ. ქართველების „დანდი" თანაქალაქელ „იუნაიტედთან" ცუდად არ ირჯებოდა, თუმცა თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ, როცა იქამდე პენალტის ამცილებელმა ჩარლი მილერმა პარტრიჯის პასი გამოიყენა. ამას სამ წუთში ბონეტის გუნდის საუკეთესო ბომბარდირის ხუან სარას საპასუხო მოჰყვა. საინტერესოა, რომ ამ ორივე გოლის ავტორმა წარმატება მაისურის გახდით აღნიშნა (არგენტინელს შიდა მაისურზე მთლად იოანეს სახარების კარგა მოზრდილი ნაწყვეტი ჰქონდა წაწერილი), მაგრამ ახალი ინსტრუქციის თანახმად, მსაჯ მაკდონალდს ყვითელი ბარათი არ გამოუჩენია.

მეორე ტაიმში „დანდი" დაწინაურდა და უკეთესადაც ათამაშდა, მასპინძლებმა კი უხეშობას უმატეს — ერთ მომენტში ტომსონმა ხიზანიშვილს მუჯლუგუნიც კი უთავაზა, მაგრამ მსაჯმა ეს ინციდენტი ვერ დაინახა. სარა ვალდებული იყო, მესამე გოლიც შეეგდო ნემსაძის გარღვევისა და პასით შემდეგ. მერე 93-ე წუთიც დადგა...

„შარშან აქ ბოლო წუთზე წავაგეთ, ახლა კი მოგება დავკარგეთ" — დალონებული იყო „დანდის" იტალიელი მწვრთნელი ივანო ბონეტი, ვისაც ზურას გაკიცხვა აზრადაც არ მოსვლია. „საბედისწერო შეცდომის მიუხედავად, თინეიჯერ ხიზანიშვილის თამაში მაინც დიდებული იყო" — დაწერა მეორე დღეს „სკოტსმენმა". „ბონეტის გუნდმა დაამტკიცა, რომ ცხოვრება კანიჯას წასვლით არ დამთავრებულა" — ეს ერთ-ერთი დანდური გაზეთის აზრია.

„რეინჯერსში" მილიონ გირვანქად გადასულმა კლაუდიო კანიჯამ ახალი ცხოვრება წარმატებულად დაიწყო: არგენტინელმა ფორვარდმა, ისევე როგორც დორტმუნდის „ბორუსიადან" გადმოყვანილმა კრისტიან ნერლინგერმა და „ჰიბერნიანში" ნაყიდმა ტრინიდადელმა რასელ ლატაპიმ, გლაზგოური დებიუტი ზუსტი დარტყმით აღნიშნა. და არა მარტო ამით: გერმანელის სასტარტო გოლიც კანიჯას პასით გავიდა და ლატაპის პენალტიც მისი წაქცევის გამო დაინიშნა.

ასეთივე ანგარიშით, ოღონდ შინ, იმარჯვა გლაზგოსვე „სელტიკმა", თუმცა ჰენრიკ ლარსონი ამჯერად საგოლე პასებს დასჯერდა. საინტერესოა, რომ ჩემპიონთა მწვრთნელი მარტინ ონილი მატჩისშემდგომ პრეს-კონფერენციაზე არ გამოცხადდა და სასწრაფოდ შინ, „აიაქსი" — „ლივერპულის" ტელევიზორში საყურებლად გაეშურა — შოთა არველაძის გუნდი ხომ ჩემპიონთა ლიგაში ადგილს სწორედ „სელტიკს" შეეცილება.

**გიგა ძოგახიძე**



ლოკომოტივი — დინამო. რკინიგზელებმა მეტოქე გალახეს

# ფრთებმოკვეცილნი

## რუსეთი

**სპარტაკი 5:1 როსტსელმაში**

1:0, 2:0 ტიტოვი (23, 64), 3:0 რობსონი (66), 3:1 ოსიპოვი (76), 4:1 ბესჩასტნიხი (86), 5:1 ვასილიუკი (89)

სპარტაკი: ლევიცკი, კოვტუნი, მიტრეასკი, ჩუისე, პარფიონოვი, ბულატოვი, ბარანოვი, ტიტოვი, ციხმეისტრუკი, რობსონი (ვასილიუკი 83), ბესჩასტნიხი

კახა მჭედლიძე დუბლშემადგენლობების მატჩში გაძევეს, ძირითადებისაში კი სათადარიგო იყო, დავით ძოძიაშვილმა დუბლშემადგენლობაში ითამაშა

როსტსელმაში: ბლიზნიუკი, შმარკო, ხიზანეიშვილი (როგოჩი 46), აკოფიანცი, ბესმერტნი, შირშოვი, სმაკოვი, გეტმანი (კრუშჩიჩი 50), ოსინოვი, ფომენკო (ხარუნა 60), კირიჩენკო

დავით ხმელიძე დუბლშემადგენლობაში ითამაშა

**ცსკა 2:1 როტორი**

1:0, 2:0 რანჯელოვიჩი (28, 45), 2:1 ბონდარენკო (69)

**ჩერნომორეცი 0:0 ზილ**

**სოკოლი 0:2 სატურნი**

0:1 მურატოვიჩი (8), 0:2 როგაჩოვი (54)

სოკოლი: პლოტნიკოვი, გარინი (მარკევიჩი 20), ბუგაკოვი, ბავიკინი (ორბუ 58), ჟიდკოვი, მუსინი (კუზნეცოვი 58), ბალტიევი, ფედოტოვი, ნიზოვცევი, ვერეტენკოვი, ფედკოვი

პაატა ჯინჭარაძე განაცხადში ვერ მოხვდა

**ლოკომოტივი 4:1 დინამო**

1:0 ლოსკოვი (5), 2:0, 3:0 ობიორა (14, 23), 3:1 ჟუტაუტასი (51), 4:1 ჩუგაინოვი (65)

ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ივანოვიჩი, სენიკოვი, ლეკვეტო, ობრადოვიჩი, ჩუგაინოვი, იზმაილოვი (ბუზნიკინი 67), მამინოვი (დროზდოვი 26), ობიორა (ჩერევჩენკო 77), ლოსკოვი, პიმენოვი

ზაზა ჯანაშია სათადარიგო იყო, ვლადიმერ ქაქაშვილმა დუბლშემადგენლობაში ითამაშა.

**ანჟი 4:1 კრილია**

1:0 სირხაევი (7), 1:1 ვინოგრადოვი (22), 2:1, 3:1 აგალაროვი (45, 78), 4:1 ედუ (50)

**ზენიტი 2:1 ფაკელი**

1:0 გორშკოვი (37პ), 2:0 ასტაფიევი (61), 2:1 შმაროვი (77)

**ალანია 2:0 ტორპედო**

1:0 დ. ბაზაევი (48), 2:0 პაულუ ემილიუ (78)

**ყველაფერი** აირია? თუ პირიქით, თავის ადგილზე დგება? აი, ბოლო წლების ჩემპიონი „სპარტაკი" და ვიცე-ჩემპიონი „ლოკომოტივი" ფორმაში შევიდნენ, გასულ ტურში მოწინააღმდეგეებს 4-4 ბურთი გაუტანეს და კარგი თამაშიც აჩვენეს. ლიდერ „კრილიას" კი ფრთები დაღესტანში მოეკვეცა.

„კრილიამ" „ანჟისთან" 1:4 წააგო და მერე ეს შედეგი ორივე გუნდის მწვრთნელმა სამართლიანად მიიჩნია. შესაძლოა, ანგარიში მთლად ვერ გამოხატავს ძალთა თანაფარდობას, მაგრამ ნახევარმცველ აგალაროვის დიდებული თამაშის წყალობით დაღესტნელებმა იმ დღეს სეზონის საუკეთესო მატჩი ითამაშეს, ხოლო სამარელებმა პირიქით. ამ წაგებით წლევანდელ ჩემპიონატში „კრილია" პირველად მოხვდა სამეულს მიღმა.

საბჭოთა პერიოდში არსებობდა პრიზი „აავტორიტეტთა რისხვა", რომელსაც ისეთ გუნდს გადასცემდნენ, ვინც ლიდერებთან ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებდა. წლეულს „ანჟი" რაღაც ამის მაგვარად მოგვევლინა. საინტერესოა, რომ „ანჟის" 26 მაისის მერე აღარ მოეგო, არადა მას შემდეგ შვიდი ტური გასულიყო. მაშინ მახაჩყალელებმა ლიდერი „სოკოლი" დაამარცხეს და პირველი ადგილიდან ჩამოაგდეს, ახლა იგივე გაუკეთეს „კრილიასაც". ერთიცაა, ბოლო ორ წელიწადში „ანჟი" და „კრილია" მეხუთედ შეხვდნენ ერთმანეთს და აქედან სამარელებს არცერთი მოუგიათ. ვითომ უხერხულ მეტოქესთან აქვთ საქმე?

„სპარტაკმა" „ლუჟნიკის" მინდორზე „როსტსელმაში" 5:1 გაანადგურა. ჩვენი რუსი კოლეგები წერენ, „სახალხო გუნდს" დიდი ხანია ასე კარგად არ უთამაშიაო. მთავარი კაცი ეგორ ტიტოვი იყო, რომელმაც ორი გაიტანა და კიდევ სამჯერ იგივე უნდა გაეკეთებინა. სამი საგოლე პასით გამოირჩა ვასილი ბარანოვი. ბოლოსკენ კი რუსთა ჩემპიონის შემადგენლობაში პირველად გამოჩნდა ბელარუსის ნაკრების თავდამსხმელი რომან ვასილიუკი. დებიუტი წარმატებული გამოდგა, ერთი გოლი და ერთიც საგოლე პასი, ასეთი იყო ვასილიუკის მონაგარი.

„ანგარიშის მიუხედავად, შეცდომებიც ბლომად დავუშვით. ამიტომ რაღაც-რაღაცეებით უკმაყოფილო ვართ. ტიტოვმა კი ჩინებულად ითამაშა. ღმერთმა ინებოს, ყოველთვის ასე გამოსვლოდეს" — თქვა სპარტაკელთა მწვრთნელმა ვიაჩესლავ გროზნიმ.

ჩვენ კი თავს იმით დავიმშვიდებთ, რომ სანამ ოთარ ხიზანეიშვილი მინდორზე იყო, მოსკოველები მხოლოდ ერთი ბურთით იგებდნენ, მერე კი...

კარგად ითამაშა „ლოკომოტივმაც", რამენსკოეში რკინიგზელებმა თანაქალაქელ „დინამოს" 4:1 გადაუარეს. მართალია ქართველებს არ უთამაშიათ, მაგრამ მაინც ჩვენებურთა გუნდია და სასიამოვნოა.

„ვფიქრობ, დღევანდელი პირველ ტაიმი წლეულს საუკეთესო იყო „ლოკომოტივისთვის" — თქვა რკინიგზელთა მწვრთნელმა იური სიომინმა — სწრაფმა გოლმაც გვიშველა. კარგია, რომ ორი უსახური მატჩის შემდეგ მოთამაშეებმა ასეთი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს."

დინამოელთა მწვრთნელმა ალექსანდრ ნოვიკოვმა კი მავანისა და მავანის არ იყოს, ყველაფერი მეკარეს და მსაჯს დააბრალა, ბოლოს კი თქვა, „ლოკომოტივის" მსგავს გუნდთან სამი ბურთით წაგება სირცხვილია და მეტი არაფერიო.

ასეთი ამბებია, „სპარტაკი" კი ისევ პირველია...

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 19 | 10 | 6 | 3 | 30:17 | 36 |
| ზენიტი | 19 | 10 | 5 | 4 | 31:24 | 35 |
| ლოკომოტივი | 19 | 10 | 4 | 5 | 32:15 | 34 |
| კრილია | 19 | 10 | 4 | 5 | 25:14 | 34 |
| ცსკა | 19 | 9 | 6 | 4 | 25:15 | 33 |
| ტორპედო | 19 | 8 | 5 | 6 | 32:26 | 29 |
| სოკოლი | 19 | 8 | 5 | 6 | 21:25 | 29 |
| სატურნი | 19 | 7 | 6 | 6 | 23:15 | 27 |
| ანჟი | 19 | 5 | 8 | 6 | 18:16 | 23 |
| დინამო | 19 | 5 | 7 | 7 | 23:28 | 22 |
| როსტსელმაში | 19 | 6 | 4 | 9 | 17:22 | 22 |
| ალანია | 19 | 6 | 4 | 9 | 19:27 | 22 |
| ფაკელი | 19 | 5 | 4 | 10 | 19:24 | 19 |
| ზილ | 19 | 4 | 6 | 9 | 13:26 | 18 |
| როტორი | 19 | 4 | 5 | 10 | 21:30 | 17 |
| ჩერნომორეცი | 19 | 2 | 7 | 10 | 9:34 | 13 |

# ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატი

## ფინეთი

UEFA UNDER-18 Championship

### ფინალი

**ჩეხეთი 1:3 პოლონეთი**

0:1 ნავოძინსკი (26), 1:1 ტროჯანი (39), 1:2 მადეცი (89), 1:3 ლობოძინსკი (91)

ჩეხეთი: ლეძალი, დუჯკა (ბისტრონი 39), კოუფშეკი, ტომილ პუდეცი, კოუბეკი, ვისკოცილი (სვეთლეკი 89), პუდეცი, ტროჯანი, ჟიჟკა (კალივოდა 69), ლატოვკა, რეპკა

პოლონეთი: კაპსა, ნაპიერალა, გოლანსკი, მილა, სიარანტი, ზავადსკი, მადეცი, მიერზიეჟსკი (ლობოძინსკი 69), გრზელ... (კაზმირჩაკი 89), ბროცეკი, ნავოძინსკი

გაფრთხილება: რეპკა, მიერზიეჟსკი, ნაპიერალა, გოლანსკი, ტომილ პუდეცი

გაძევება: ნაპიერალა (50)

**ჭაბუკთა** შორის ევროპის ჩემპიონი პოლონეთის ნაკრები გახდა, რომელმაც დაძაბულ ფინალურ მატჩში, ბოლო წუთებზე ჩეხთა ეროვნული გუნდი გატეხა და 3:1 მოუგო. უნდა აღინიშნოს, რომ პოლონელებმა ეს ათი კაცით მოახერხეს. 50-ე წუთზე მცველ ადრიან ნაპიერალას გაძევების გამო ისინი კაცნაკლულნი თამაშობდნენ. კაპიტანმა ექვსი წუთის ინტერვალში ორი ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი ნაადრევად დატოვა.

ამის მერე ხუთიოდ წუთში პოლონელები კინაღამ დაისაჯნენ. მათმა არეულმა დაცვამ ჩეხთა იერიში ვერ შეაკავა და რომ არა პაველ გოლანსკი, რომელმაც ცარიელი კარიდან გამოაგდო ბურთი, გოლი გავიდოდა და აწ უკვე გამარჯვებულები, ალბათ, ველარც მოახერხებდნენ თამაშის შემობრუნებას.

ჩეხები ათი კაცით დარჩენილ მეტოქეზე ზეწოლას განაგრძობდნენ, მაგრამ გოლი ვერ შეაგდეს. მატჩის მიწურულს კი ყველაფერი თავდაყირა დადგა. დარიუშ ზავადსკიმ რობერტ სიარანტთან მარტივი კომბინაცია გაითამაშა, რაც საბოლოოდ ლუკაშ მადეცის გოლით დაგვირგვინდა.

გაოგნებულმა ჩეხებმა, რომლებსაც დროც თითქმის აღარ დარჩათ, მთელი გუნდით შეუტიეს, მაგრამ როგორც ხშირად ხდება-ხოლმე ასეთ დროს, საკუთარი კარის დაცვა დაავიწყდათ. შედეგად კონტრშეტევაზე სამი პოლონელი ორი ჩეხი მცველის წინააღმდეგ დარჩა და ვოიჩეკ ლობოძინსკიმ საბოლოო წერტილი დასვა. თასი პოლონელთა ნადავლი გახდა.



ამ ბიჭებმა პოლონეთისთვის პირველი თასი მოიგეს

### მატჩი მესამე ადგილისთვის

**იუგოსლავია 2:6 ესპანეთი**

0:1 არტეტა (2), 1:1 ბიშორაკი (5), 1:2 პერონა გარსია (21), 1:3 ელა ეინე (43), 2:3 ბიშორაკი (46), 2:4 პერონა გარსია (58), 2:5 ელა ეინე (77), 2:6 პერონა გარსია (87)

**მესამე** ადგილისთვის მატჩში ჯგუფის მეორეადგილოსნები — იუგოსლავია და ესპანეთი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ანგარიში მალევე გაიხსნა, მე-2 წუთზე. მადრიდის „ატლეტიკოს" გამთამაშებელმა არტეტამ, რომელსაც აქაც იგივე ფუნქცია ეკისრა, ახლო მანძილიდან შეარხია სლავთა კარის ბადე.

თამაშს რამდენიმე გმირი ჰყავდა. ესპანელთაგან — ჰეთ თრიქის ავტორი პერონა გარსია და ორი ბურთის გამტანი ელა ეინე, იუგოსლაველთა მხრიდან კი დუბლის შემსრულებელი ემილ ბიჰორაკი. თუმცა, როგორც აღნიშნავენ, მინდორზე იმ დღეს საუკეთესო სწორედ არტეტა იყო. ის ყველაფერს აკეთებდა, უმალ გაჩნდებოდა იქ, სადაც საჭირო იყო, ასრულებდა სტანდარტულ სიტუაციებს. ელა ეინეს ერთ-ერთი გოლიც სწორედ მისი ჩაწოდებული ჯარიმის შემდეგ გავიდა.

**ნიკა შუგლაძე**




მონპელიე — მარსელი. მასპინძელი ტუაფილუ მაულიდა (№13) და სამშობლოში დაბრუნებული ფრანკ ლებეფი

# გი რუს ბრწყინვალე დაბრუნება

## საფრანგეთი

I ტური

**ბორდო 2:0 ნანტი**
1:0 პაულეტა (26), 2:0 მირანდა (42)

**პსჟ 0:0 ლილი**

**ლანსი 2:0 ლიონი**
1:0 სარი (11), 2:0 ისმაელი (18)

**მონაკო 0:1 სოშო**
0:1 ტრაპასო (75)

**მონპელიე 1:1 მარსელი**
0:1 ბაკაიოკო (29), 1:1 მაულიდა (783)

**რენი 0:5 ოსერი**
0:1 სისე (32), 0:2 ტაინიო (48), 0:3, 0:4, 0:5 სისე (53, 72, 81)

**ლორიანი 1:0 მეცი**
1:0 ფეინდუნო (82)

**ტრუა 3:0 გენგამი**
1:0 საიფი (34), 2:0 ტომა (74), 3:0 გაზი (86)

**ბასტია 1:1 სედანი**
1:0 ბენეფორტი (82), 1:1 ბრონიო (90)

**საფრანგეთის** ჩემპიონატი პარასკევს „ბორდოსა“ და „ნანტის“ შეხვედრით გაიხსნა. ჟირონდელებმა მატჩი მშვენივრად ჩაატარეს და ჩემპიონს პირველი მარცხიც აგემეს.

ვინაიდან ჯერჯერობით გუნდების სათამაშო ფორმაზე ლაპარაკი ცოტა ნაადრევია, პირველი ტურის მიმოხილვისას სტატისტიკური ამბებით შემოვიფარგლოთ, რაც უინტერესო სულაც არ უნდა იყოს.

ცხრა თამაშში 18 გოლი გავიდა, ეს კი საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. გასული ჩემპიონატის პირველ ტურში გუნდებმა 24-ჯერ შეარხიეს კარის ბადე.

მსაჯებმა 28 ფეხბურთელი გააფრთხილეს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ტური ერთობ უხეში იყო, თუმცა გაძევება მაინც არავის დაუმსახურებია. ყველაზე მეტჯერ (ხუთჯერ) ყვითელი ბარათი პარიზსა და მონპელიეში აფრიალდა.

ოსერელ ჯიბრილ სისეს გუნდში მთავარ მწვრთნელად მოხუცი ჯადოქარი გი რუს დაბრუნება ისე გაუხარდა, „რენს“ ოთხი გოლი გაუტანა და ბომბადირთა დავაშიც ფრიად დაწინაურდა, რადგან დანარჩენმა მეგოლეებმა დუბლიც ვერ გააზერხეს. საფრანგეთში პოკერი დიდი ხანია, აღარავის შეესრულებინა. ბოლოს ეს 1999-2000 წლების სეზონში ორმა ბრაზილიელმა შეძლო — პარიზელმა კრისტიანმა „სტრასბური“ დაიბრიყვა, სენტეტიენელმა ალექსმა კი — „მარსელი“.

ელიტაში თავისი ბოლო გამოჩენისას (1998-99 წ.წ) „ლორიანს“ მეთხუთმეტე ტურამდე და „ტულუზის“ სტუმრობამდე მოუხდა ცდა, სანამ პირველ საშინაო გამარჯვებას იზეიმებდა. ამჯერად ლორიანელთათვის ყველაფერი გაცილებით უკეთ დაიწყო, რომლებმაც „მეცს“ 1:0 სძლიეს.

მეცელთა ყოფილი მთავარი მწვრთნელი ჟოელ მიულერი ახლახან „ლანსში“ გადაბარგდა და თავის ახალ კლუბს ხელი უკვე დაატყო. შარშან, დეკემბერში „მარსელითვის“ 1:0 მოგების შემდეგ საკუთარ „ბოლეარზე“ გამარჯვებაუნახავმა გუნდმა პირველივე ტურში ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ „ლიონს“ აჯობა. ლიონელთათვის კი „შავი სერია“ გრძელდება — მათ გახსნის მატჩი 1981 წლის (2:0 „ნანსისთან“) მერე ველარაფრით მოუგიათ.

იმავე შორეული წლის შემდეგ ვეღარ მიეღწია წარმატებისთვის „ლუი II“-ის სტადიონზე „სოშოს“, რომელმაც ტრაპასოს გოლით ამჯერად შეძლო ნავსის გატეხვა და ჩემპიონატის პირველი სენსაციაც გამოაცხო. ასე რომ, „მონაკოს“ თავკაცად დიდიე დეშამპის დებიუტი წარუმატებელი გამოდგა.

ბოლოს ისევ რენში დავბრუნდეთ. ინტერტოტოს თასზე ინგლისურ „ასტონ ვილასთან“ ჭიდილით დაღლილი „რენი“, ოსერელთათვის იოლი ლუკმა გამოდგა. ერთი წლით გუნდს ჩამოშორებულმა და ახლა დაბრუნებულმა გი რუმ კი ეს თქვა: „39 წლის მანძილზე, რაც მე „ოსერს“ ვწვრთნი, გასვლაზე ასეთი ანგარიშით არ მოგვიგია. უზომოდ ბედნიერი ვარ, ჩემი დაბრუნება ასეთი წარმატებული რომ გამოდგა“.

**გაგი გურული**

## მეორე დივიზიონი

I ტური: აიაჩო — ნანსი 4:2; ამიენი — ბოვე 0:1; გრენობლი — კაენი 4:3; გენიონი — ნიმი 4:3; ლე მანი — კრეტეი 0:1; ნიცა — ლავალი 2:1; სენტ ეტიენი — ისტრი 1:2; ვასკეალი — შატორუ 0:2; ლე ავრი — სტრასბური 1:1; მარტიგი — ნიორი 1:1

## შვეიცარია

A ჯგუფი
V ტური

**ლუცერნი 0:4 იანგ ბოისი**
0:1 პეტროსიანი (31), 0:2 ბერიშა (51), 0:3 ტიკვა (70), 0:4 დესლუ (80)

**სერვეტი 1:0 ლუგანო**
1:0 ლონდონო (30)

**სიონი 2:1 გრასჰოპერი**
0:1 შაპიუზა (16), 1:1 ჩოჩუ (34), 2:1 დურისიჩი (90)

**სენტ გალენი 1:1 არაუ**
1:0 კალაჩინო (61), 1:1 შენკერი (76)

**ციურიხი 2:0 ბაზელი**
1:0 ჩაველაშვილი (31), 2:0 შასო (82)
ციურიხი: პასკოლო, მარტინ შტოკლასა, ფიშერი, ჩინაბი, პალასი, ჯამარაული, პელინგა, ბიულმანი, ჩაველაშვილი (აკალე 78), მაგრო, შასო (ველდმანი 87)
მწვრთნელი: ჟორჟ ბრეგი
12 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ციურიხი | 5 | 3 | 2 | 0 | 9:4 | 11 |
| სიონი | 5 | 3 | 1 | 1 | 11:3 | 10 |
| იანგ ბოისი | 5 | 2 | 3 | 0 | 10:5 | 9 |
| აარაუ | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 8 |
| გრასჰოპერი | 5 | 2 | 1 | 2 | 12:8 | 7 |
| ლუგანო | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 7 |
| სერვეტი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| ქსამაქსი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:2 | 5 |
| სენტ გალენი | 5 | 1 | 2 | 2 | 9:10 | 5 |
| ბაზელი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:14 | 4 |
| ლოზანა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| ლუცერნი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:15 | 1 |

B ჯგუფი

V ტური: ბელინცონა — კრიენსი 3:1; ბადენი — ტუნი 1:1; კონკორდია — დელემონი 2:0; ვადუცი — ვილი 3:2; ვინტერტური — კარუჟი 2:1; ივერდონი — ლოკარნო 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბადენი | 5 | 3 | 2 | 0 | 13:6 | 11 |
| ტუნი | 4 | 2 | 2 | 0 | 9:6 | 8 |
| კონკორდია | 5 | 2 | 2 | 1 | 9:7 | 8 |
| ვინტერტური | 5 | 2 | 2 | 1 | 10:9 | 8 |
| ვილი | 5 | 2 | 1 | 2 | 12:9 | 7 |
| დელემონი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:7 | 7 |
| ვადუცი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| ბელინცონა | 5 | 2 | 0 | 3 | 5:7 | 6 |
| კარუჟი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 5 |
| ივერდონი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 5 |
| კრიენსი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:8 | 5 |
| ლოკარნო | 5 | 0 | 2 | 3 | 3:8 | 2 |

## ავსტრია

IV ტური:

**ადმირა 1:2 ზალცბურგი 1:2**

**რაპიდი 3:1 ბრეგენცი 3:1**

**რიდი 2:2 გრაცერი 2:2**

**შტურმი 3:0 კერნტენი 3:0**
1:0 რაინმაიერი (22), 2:0 ვასტიჩი (56), 3:0 შაასი (89)
შტურმი: სიდორჩუკი, ნოიკირხნერი, როზასი, ფერნანდესი, შტრაფნერი, ვასტიჩი, კორსოში, ფელდჰოფერი, ვეტლი (პრეგელი 81), ამოა (შაასი 71), რაინმაიერი (მელდტი 59)
დავით მუჯირი განაცხადში ვერ მოხვდა

**ტიროლი — ავსტრია 1:0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:0 | 10 |
| რიდი | 4 | 2 | 2 | 0 | 9:5 | 8 |
| გრაცერი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | 7 |
| შტურმი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| რაპიდი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:7 | 7 |
| კერნტენი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| ზალცბურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| ბრეგენცი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:11 | 3 |
| აუსტრია | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 2 |
| ადმირა | 4 | 0 | 0 | 4 | 1:7 | 0 |

## ჩეხეთი

I ტური: ტეპლიცე — სიგმა 0:1; სლავია — დრნოვიცე 4:3; ბლშანი — სპარტა 3:0; იაბლონეცი — პრადეც კრალოვე 5:1; ბანიკი — ზლინი 2:1; ბრნო — პრჟიბრამი 2:1; ბოჰემიანსი — ოპავა 2:0; სინოტი — ლიბერეცი 0:2

## ფინეთი

XIX ტური: როვანიემი — ჰიკ 0:3; ინტერი — იოკერიტი 1:0; მიუპა — ჯაზი 0:0; ატლანტისი — ლაჰტი 1:0; ჰაკა — როვანიემი 2:0; ჯაზი — ჰიკ 0:2; ვაასა — კუოპიო 1:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკ | 20 | 10 | 8 | 2 | 37:12 | 38 |
| მიუპა | 19 | 10 | 7 | 2 | 30:15 | 37 |
| ტამპერე | 17 | 11 | 3 | 3 | 30:21 | 36 |
| ჰაკა | 19 | 9 | 5 | 5 | 29:17 | 32 |
| ინტერი | 19 | 9 | 4 | 6 | 29:25 | 31 |
| ატლანტისი | 19 | 7 | 6 | 6 | 26:26 | 27 |
| კუოპიო | 18 | 5 | 6 | 7 | 16:24 | 21 |
| ლაჰტი | 18 | 5 | 5 | 8 | 22:26 | 20 |
| ვაასა | 18 | 6 | 2 | 10 | 21:29 | 20 |
| როვანიემი | 19 | 4 | 5 | 10 | 15:27 | 17 |
| იოკერიტი | 20 | 4 | 5 | 11 | 21:36 | 17 |
| ჯაზი | 18 | 1 | 6 | 11 | 11:29 | 9 |

## ნორვეგია

XVI ტური: მოსი — მოლდე 0:1; ტრომსიო — ვიკინგი 1:0; ბრინი — ბრანი 0:3; სტრიომსგოდსეტი — სტაბეკი 2:1; სოგნდალი — ლილესტრიომი 2:2; ოდ გრენლანდი — ლინი 2:2; რუსენბორგი — ბოდიო გლიმტი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილესტრიომი | 16 | 10 | 3 | 3 | 42:23 | 33 |
| რუსენბორგი | 16 | 9 | 5 | 2 | 41:20 | 32 |
| ბრანი | 16 | 9 | 4 | 3 | 41:23 | 31 |
| ვიკინგი | 16 | 9 | 4 | 3 | 30:18 | 31 |
| სტაბეკი | 16 | 10 | 1 | 5 | 30:23 | 31 |
| ოდ გრენლანდი | 16 | 8 | 4 | 4 | 32:22 | 28 |
| მოლდე | 16 | 7 | 4 | 5 | 29:24 | 25 |
| სოგნდალი | 16 | 5 | 4 | 7 | 25:34 | 19 |
| ლინი | 16 | 3 | 7 | 6 | 25:26 | 16 |
| მოსი | 16 | 5 | 1 | 10 | 20:29 | 16 |
| ბოდიო გლიმტი | 16 | 3 | 6 | 7 | 22:30 | 15 |
| სტრიომსგოდსეტი | 16 | 3 | 5 | 8 | 26:44 | 14 |
| ტრომსიო | 16 | 4 | 0 | 12 | 10:30 | 12 |
| ბრინი | 16 | 2 | 2 | 12 | 14:41 | 8 |

## პოლონეთი

II ტური: ლეგია — ამიცა 1:2; პოგონი — რუხი 0:0; გროცლინი — შლიონსკი 2:4; ზაგლებე — ოდრა 3:1; გურნიკი — ოსტროვიეცი 0:0; სტომილი — რადომსკო 0:0; ვისლა — პოლონია 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამიცა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ზაგლებე | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| შლიონსკი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| პოლონია | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 4 |
| პოგონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| ვისლა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| რუხი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ოდრა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| სტომილი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ოსტროვიეცი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| გურნიკი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| რადომსკო | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| კატოვიცე | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| ლეგია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| ვიძევი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| გროცლინი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |

## დანია

II ტური: კოპენჰაგენი — ვაილე 4:1; ლიუნგბიუ — ესბიერგი 2:0; აკადემისკი — ბრონდბიუ 1:3; ორჰუსი — ოლბორგი 1:3; მიდტიულანდი — ვიბორგი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 6 |
| კოპენჰაგენი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| ოლბორგი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| ლიუნგბიუ | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| სილკებორგი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| მიდტიულანდი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ვიბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| აკადემისკი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ვაილე | 2 | 0 | 1 | 1 | 3:6 | 1 |
| ოდენსე | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ესბიერგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ორჰუსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | 0 |

# ამსტერდამის ოთხთა ტურნირი

**აიაქსი 3:1 ლივერპული**
1:0 მახლასი (34), 1:1 ფაულერი (38), 2:1 მახლასი (54), 3:1 შ. არველაძე (85)
აიაქსი: ლობონტი, კრუზი, იაკუბუ, პასანენი, კნოფე გალაშეკი, მახლასი (მაქსველი 67), ვან დერ ვარტი, ვან დერ მეიდე (ვამბერტო 77), ზლატანი (ჰნოპერი 63), მიდო (შ. არველაძე 77)
ლივერპული: არპეშაგი, ეგნოსი, ჰიიპია, ბაბელი, ფაულერი, ბერგერი, ჰამანი (ბაკალისტერი 64), ლიტმანენი (ოუენი 54), ბარმში (ბისკანი 64), დიომედი (რედნაპი 30), ვინიალი (ტრაორე 80)

**ვალენსია 2:1 მილანი**
0:1 ფ. ინძაგი (28), 1:1 დე ლოს სანტოსი (85), 2:1 კილი გონსალესი (90)
ვალენსია: პალომბი, ბიორკლუნდი, პელეგრინო (ხანდრო 80), ჟუკიჩი, ფაბიო აორელიო, ალბელდა (შერბანი 65), მარკენა (დე ლოს სანტოსი 58), ანგულო, მისტა, ვისენტე (კილი გონსალესი 70), ილიე (ხუან სანჩესი 65)
მილანი: აბიატი, კონტრა (ჰელვეგი 64), კალაძე, მალდინი, კოკო, გატუზო, დონატი (კოსტაკურტა 60), რუი კოშტა, სერჟინიო (ბროკი 46), შევჩენკო, ფ. ინძაგი (მორენო 76)

# შოთას პირველი და გადამწყვეტი

**ამსტერდამის** ოთხთა ტურნირზე მეორე ტური გაიმართა და დასრულდა. პირველ ტურში დამარცხებულმა გუნდებმა ამჯერად გამარჯვება შეძლეს. „მილანთან“ დამარცხებული „აიაქსი“ „ლივერპულს“ ხვდებოდა, ფათიჰ თერიმის შეგირდები კი „ვალენსიას“.

კალაძემ მთელი შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა. პირველ ტაიმში იგი მალდინისთან ერთად დაცვის ცენტრში თამაშობდა, მეორე ნახევარში საყრდენის პოზიციაზე. ანგარიში ფილიპო ინძაგიმ 28-ე წუთზე გახსნა, მაგრამ მატჩის მიწურულს ჯერ დელ ლოს სანტოსმა გაათანაბრა, 90-ე წუთზე კი კილი გონსალესმა „ვალენსიას“ გამარჯვებისა გაიტანა.

„ლივერპულისა“ და „აიაქსის“ დუელში გადამწყვეტი გოლი 77-ე წუთზე შესულმა შოთა არველაძემ შეაგდო. მან მოედანზე გასვლიდან რვა წუთში ინგლისელების კარი მესამედ აიღო და თავისიანებს სიხარულის მიზეზი მისცა. მანამდე, 34-ე და 54-ე წუთებზე, მახლასის გატანილ გოლებს ფაულერმა 38-ეზე ერთით უპასუხა.

ასე რომ, ყველა გუნდს თითო მოგება დაუგროვდა, ხოლო რადგან „აიაქსს“ ბურთების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდა, ტურნირის გამარჯვებულიც ის გახდა.

**ვაჟა ხუციშვილი**




აიაქსი — ლივერპული. მასპინძელმა დანიელ კრუზმა პატრიკ ბერგერს (მარცხნივ) ბურთი აართვა

# NANDROLONE





REUTERS

# ამნისტია

## დე ბური სექტემბრიდან ითამაშებს

„ბარსელონას" ჰოლანდიელ მცველს, ფრანკ დე ბურს, მარტში, დოპინგ ტესტირების დროს, სისხლში ნანდროლონის კვალი რომ აღმოუჩინეს და 12-თვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს, ცნობილი ამბავია, რომელსაც უეფას ოფიციალური საინტერნეტო გვერდი ასეთი სიახლით აგრძელებს: დე ბურისა და მისი ამალის აპელაციამ შედეგი გამოიღო და ახლა ჰოლანდიელს 31 აგვისტომდელა სჯიან.

მერე შეუძლია ითამაშოს.

შემდეგ უეფა შეგვახსენებს, რომ დე ბურს დოპინგი უეფას თასის მეოთხედფინალური შეხვედრის, „სელტა" —„ბარსელონას" შემდეგ აღმოუჩინეს, ხოლო ტესტირება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წესთა სრული დაცვით ჩაატარეს. ტესტირებამ აჩვენა: ფეხბურთელის ორგანიზმში ნანდროლონი უთუოდ იყო, ოღონდ, ისიც აშკარად ჩანდა, რომ ნივთიერება საკვებთან ერთად მიელო. წესის თანახმად კი სპორტსმენი ვალდებულია აკონტროლოს საკვები.

ამის თაობაზე დე ბურს ნათქვამი ჰქონდა, რომ აბები, რომელთაც შესაძლოა, მის სისხლში ნანდროლონის კვალი დატოვეს, მას კლუბის ექიმმა დაალევინა.

„თებერვალში „ბარსელონამ" ორი თუ სამი ყვითელი აბი დამალევინა, რათა ჩემს სისხლში ერითროციტების რაოდენობა გაზრდილიყო. მე, ცხადია, საკუთარ კლუბს ბრალს არაფერში ვდებ, მაგრამ ეს ამბავი გამოსაძიებელია. სულაც არ არის გამორიცხული, რომ ნანდროლონს სწორედ ეს აბები შეიცავდა".

ამის პასუხად ბარსელონელთა სამედიცინო ჯგუფმა თქვა: „ჩვენი კლუბი ფეხბურთელს არასდროს ასმევს მედიკამენტს, რომელიც აკრძალულ ნივთიერებას შეიცავს".

იქამდე, მოგეხსენებათ, გაირკვა, რომ ნანდროლონი დე ბურის თანამემამულის, ტურინის „იუვენტუსის" ნახევარმცველის ედგარ დავიდსის სისხლშიც ყოფილა და, როგორც ლაბორატორიულმა ანალიზმა აჩვენა, ნივთიერება მასაც საკვებთან ერთად მიუღია. ამან, ბუნებრივია, გააჩინა ეჭვი, რომ კლუბები არაფერ შუაშია და ფეხბურთელებს ნანდროლონი ეროვნულ გუნდში შეაპარეს.

31 წლის დე ბურს კი ძალიან არ სურს მის ქვეყანას და ნაკრებს ჩრდილი რომ მიადგეს და ამბობს:

„სიმართლე ის არის, რომ მულტივიტამინების დიდი რაოდენობით სმამ შესაძლოა ნებისმიერ დროს შეაცდინოს დოპინგ ტესტი და მედიკოსებს განსაკუთრებული პროფესიონალიზმი სჭირდებათ, რათა ეს შედეგი ნამდვილი აკრძალული წამლისგან განასხვავონ. საბოლოოდ კი მინდა ვთქვა, რომ როგორც „ბარსელონას", ასევე ჰოლანდიის ნაკრების ექიმებს ვენდობი და მწამს მათ განზრახ არაფერი ჩაუდენიათ".

**მიხეილ სურგულაძე**

# ზიდანის ველოსიპედი ბოლონიაში უნახავთო

**ზინედინ ზიდანი** აპირებს იტალიურ „კორიერე დელო სპორტს" უჩივლოს. ამ გაზეთში გამოქვეყნებული სტატია ამტკიცებს, რომ ზიდანი დოპინგის მომხმარებელია. თავიდან მოვყვეთ.

გასული წლის სექტემბერში იტალიელმა გამომძიებლებმა თვალი დაადგეს მავან დოქტორ მიკელე ფერარის, რომელზეც ეჭვი ჰქონდათ, რომ სპორტსმენებს, უმეტესად ველომრბოლელებს, აკრძალული პრეპარატებით ამარაგებდა. „კორიერე დელო სპორტი" წერდა, დოქტორი ფერარის ერთ-ერთი კლიენტი მრბოლი ერვან მენტურია, რომელიც თავის მხრივ აკრძალულ ხილს ზიდანს უყოფდაო. აქვე შევნიშნოთ, რომ დოქტორი ფერარი ბოლონიაში ცხოვრობს.

ზიდანი, ცხადია, აღშფოთდა და ფრანგულ „ეკიპს" უთხრა: „საერთოდ არ ვიცი, ვინ არიან მიკელე ფერარი და ერვან მენტური. მეტიც, სათამაშოდ ჩასვლას თუ არ ჩავთვლით, ბოლონიაშიც არ ვყოფილვარ. რასაც მწამებენ, სრული სისულელეა. ვეჭვობ, ვიღაცას სურს, სკანდალურ ისტორიაში ჩემი გარევით სახელი გაითქვას. ამისთვის პასუხს ვაგებინებ".

თავის დროზე მიკელე ფერარი განთქმულ ამერიკელ ველოსიპედისტ ლენს არმსტრონგთან მუშაობდა. არმსტრონგმა თქვა, ფერარისნაირი პატიოსანი ხალხი თითო-ოროლააო.

**გიორგი დარჯანია**

# ალუბლიან ნამცხვარში

*გაუთავებელი შეხვედრები, ბანკეტები — ასე იტყოდა ქართული ფილმის გმირი. ცხადია, შვეიცარიაში შეკრებაზე ჩასულ ზინედინ ზიდანს ბანკეტებისთვის არ სცალია — ვარჯიში, ამხანაგური მატჩი, ისევ ვარჯიში... თუმცა ზიდანი გაუთავებელ შეხვედრებს ვერსად გაურბის. ყველას მასთან საუბარი, ფოტოს გადაღება, ავტოგრაფის გამორთმევა სურს. ზიდანის და მისთანების ცხოვრების წესი ასეთია.*

*...საღამოს „რეალი" „ლოზანას" ხვდება. ჯერ დილაა. ზიდანმა ისაუზმა და უნდა უცხო თვალს მოეფაროს. ძალიან ძნელია, აგერ ჟურნალისტი ჩასაფრებულა.*

*ზიდანს ესპანური ესმის — მისი ესპანელი ცოლის, ვერონიკას დამსახურებაა, თუმცა ლაპარაკი უჭირს. ინტერვიუსას დახმარებას კლოდ მაკელელე უწევს.*

**— თქვენი მადრიდული კარიერა ჯერჯერობით ძალიან ხანმოკლეა, თუმცა აქ მუდმივად ყურადღების ცენტრში ხართ...**

— იცით, ამაზე არ ვფიქრობ. მოვედი გუნდში, სადაც ფანტასტიკური ფეხბურთელები არიან და მე მხოლოდ ამ გუნდის ერთ-ერთი წევრი ვარ.

**— მაგრამ, ალბათ, ახალ გუნდში მოსულს რაღაც გაგაოცებდათ...**

— სულაც არა. საქმე ისაა, რომ ერთი დიდი გუნდიდან მეორეში გადავედი. ყველა დიდი გუნდი კი ერთმანეთს ჰგავს და „რეალშიც" ცხოვრება ისევე მიდის, როგორც „იუვენტუსში".

**— ამბობენ, „რეალი" „ოცნების გუნდიაო", ეთანხმებით?**

— ვეთანხმები. გადაავლეთ თვალი ჩვენს შემადგენლობას. თუმცა ყველაზე კარგი, რაც ჩვენ, ფეხბურთელებმა, შეგვიძლია გავაკეთოთ, ისაა, რომ ამგვარი რამეები დავივიწყოთ და მხოლოდ საქმეზე ვიფიქროთ.

**— როგორ ფიქრობთ, „რეალში" თამაში თქვენი კარიერის მწვერვალია?**

— „რეალი" ალუბალია ნამცხვარში. ამ გუნდს აბსოლუტურად ყველაფერი მოუგია და ახლა მხოლოდ მიღწეულის გამეორებისთვის ვიბრძოლებთ.

**— ამბობენ, მორცხვი ხართ...**

— დიახ, საკმაოდ მორცხვი და თავშეკავებულიც.

**— მაგრამ ყოველი ვარჯიშის შემდეგ დიდ დროს უთმობთ ავტოგრაფების დარიგებას...**

— ეს ნორმალურია, სამუშაოს ნაწილია.

**— თქვენი ესპანურის საქმე როგორაა...**

— ყველაფერი მესმის, მაგრამ ლაპარაკი... საშინლად ვლაპარაკობ.

**— „რეალის" საინტერნეტო გვერდზე ყოველდღიურად ათასობით წერილი მიდის გულშემატკივრებისგან თქვენს სახელზე. რას უპასუხებდით?**

— ვეცდები, მათ ჩემი თამაშით სიამოვნება მივანიჭო. ისე კი ვიტყვი, რომ თავს უკვე ნამდვილ მადრიდელად ვთვლი.

**— თქვენთვის რომელი ჯილდოს მოპოვებაა უფრო სასურველი?**

— ცხადია, ყველასი ერთად. განსაკუთრებით კი ჩემპიონთა ლიგის მოგება მსურს. ორჯერ ვიყავი ფინალში და ორჯერვე დავმარცხდი. მათ შორის ერთხელ, გეხსომებათ, სწორედ „რეალთან". ამიერიდან კი „რეალის" გამარჯვებაზე ვიოცნებებ.

**ხავიერ ტამამესი**

## ამხანაგური მატჩები

### ლუცერნი 0:5 ბარსელონა

**0:1, 0:2 კლუივერტი (14,43), 0:3, 0:4 კოკუ (50,55), 0:5 ჯოვანი (75)**

**ბარსელონა: რეინა (ბონანო 46), რაიციგერი (გაბრი 63), კრისტენვალი, ანდერსონი (პუიოლი 63), სერხი (ზენდენი 46), ხავი, სავიოლა (ალფონსო 63), კოკუ, კლუივერტი (ოვერმარსი 46), ლუის ენრიკე (როჩემბაკი 46), ჯოვანი**

**სეზონისწინა** შეკრება „ბარსელონამ" შვეიცარიაში გამართა და იქაური დივიზიონის აუტსაიდერს გაეჯიბრა. ამიტომ მატჩის შედეგი გაკვირვებას სულაც არ იწვევს. დუბლი შეასრულეს პატრიკ კლუივერტმა და ფილიპ კოკუმ, ერთიც ახალწვეულმა ჯოვანიმ შეაგდო.

კარლოს რექსაჩმა დაცვაში ფილიპ კრისტენვალი და პატრიკ ანდერსონი შეაწყვილა. ყოფილი ბაიერნელის გარჯით მწვრთნელი კმაყოფილი დარჩა, აი, ფრანი კი ფიზიკურ მომზადებაში მოიკოჭლებდა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ კატალონიელთა დაცვის ბურჯები ახალ სეზონში ფრანკ დე ბური და ანდერსონი იქნებიან.

მატჩის ამხანაგური ხასიათიდან გამომდინარე, რექსაჩმა რამდენიმე ექსპერიმენტი ჩაატარა და ზოგი ფეხბურთელი მისთვის უჩვეულო პოზიციაში გამოსცადა. კოკუს მოედნის ცენტრში კარგად უთამაშია.

მთავარი და ყველაზე საინტერესო ისაა, რომ რივალდოს არყოფნაში კლუივერტმა და ხავიერ სავიოლამ ერთმანეთს ბრწყინვალე პარტნიორობა გაუწიეს.

### ლოზანა 1:2 რეალი

**0:1 რაული (3), 1:1 კუზბა (63), 1:2 გუტი (82)**

### ნიონი 1:12 რეალი

**0:1 ზიდანი (6), 0:2 მაკმანამანი (8), 0:3 მინამბრესი (19), 0:4, 0:5 ბალიჩი (33, 52), 0:6 კონგო (60), 0:7 რივერა (65), 0:8 კონგო (69), 0:9 ალვარო (76 პენ.), 0:10, 0:11 კონგო (77, 80), 1:11 ფოლი (82), 1:12 მუნიტისი (90)**

**„რეალმა"** ნიონში ორი თავისთვის ისტორიული მატჩი გამართა და ეს ზინედინ ზიდანის სახელს უკავშირდება. „ლოზანასთან" ზიდანმა პირველად ითამაშა ახალ გუნდთან ერთად, ხოლო „ნიონთან" პირველი გოლი გაიტანა.

„ლოზანასთან" ვისენტე დელ ბოსკემ საუკეთესოები გაიყვანა: სესარი, მიჩელ სალგადო, ფერნანდო იერო, აიტორ კარანკა, რობერტო კარლოსი, კლოდ მაკალელე, ივან ელგერა, ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, სავიო და რაული. თამაშის მსვლელობისას კი მათ ჩაენაცვლნენ: ჯერემი ნჯიტაპი, სტივ მაკმანამანი, ალბერტ სელადესი, სანტიაგო სოლარი, პედრო მუნიტისი, ფლავიო კონსეისაო, მინამბრესი, გუტი და ფერნანდო მორიენტესი.

პირველივე წუთზე რობერტო კარლოსმა კარგ პოზიციაზე გაიყვანა რაული, მაგრამ ლოზანელმა მცველებმა ვითარება განმუხტეს. თუმცა ორიოდ წუთში იგივე ველარ შეძლეს და რობერტო კარლოს — რაულის კომბინაცია გოლით დასრულდა. მოგვიანებით თამაში გათანაბრდა, რაც ანგარიშის გათანაბრებაშიც აისახა, თუმც საბოლოოდ ყველაფერი მადრიდელთა სასიკეთოდ — გუტის გოლით დასრულდა. რაც შეეხება ზიდანს, ის „რეალის" სწრაფ კომბინაციებში კი მონაწილეობდა, მაგრამ საუკეთესო ფორმაში აშკარად არ იყო.

მეორე მატჩზე, „ნიონთან", ანგარიშის გათვალისწინებით, სათქმელი თითქმის არაფერი უნდა იყოს — „რეალმა" საკმაოდ სუსტი მეტოქე პირწმინდად გაანადგურა. აქ აღსანიშნავია ზიდანის გოლი და ის გარემოება, რომ დელ ბოსკემ მეტად უჩვეულო შემადგენლობა ათამაშა: კარლოს სანჩესი, მინამბრესი, ივან კამპო, ნჯიტაპი, დორადო, ფლავიო კონსეისაო, ბალიჩი, მაკმანამანი, ზიდანი, სოლარი. მათი შემცვლელები იყვნენ: სელადესი, ელგერა, კარანკა, ოგნიენოვიჩი, მუნიტისი, კონგო, რივერა, ხულიო ალვარესი, ალვარო ბენიტო.

**გიორგი დარჯანია**



REUTERS

ლოზანა — რეალი. ზინედინ ზიდანის პირველი რეალური მატჩი

## ფეხბურთის რუკასთან



**ესპანელი** თავდამსხმელი ტოტე მომავალ სეზონს „ვალიადოლიდში" გაატარებს. 22 წლის ფეხბურთელი „რეალმა" იქ იჯარით გაუშვა. მადრიდში დაბადებულ ფორვარდს „სამეფო კლუბთან" 2003 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი, თუმცა წინა სეზონში მან მხოლოდ სამი მატჩი ჩაატარა და თავად ისურვა დროებით სხვაგან გადასვლა. ტოტეს თქმით, მას დაგეგმილი აქვს, გაისად კვლავ დაუბრუნდეს „სანტიაგო ბერნაბეუს".

**ინგლისის ჩემპიონმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" ჩრდილოეთირლანდიელი მეკარე როი კეროლი გადაიბირა. კეროლმა მეორედივიზიონური „უიგანი" დატოვა და ალექს ფერგიუსონის გუნდთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. კეროლს ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებში 9 მატჩში ჩაუტარებია. „იუნაიტედში" მის გარდა კიდევ ორი მეკარეა — ძირითადი გოლკიპერი ფაბიენ ბარტეზი და ჰოლანდიელი რაიმონ ვან დერ გოუ. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელმა რამდენიმე დღის წინ ერთი წლით გაახანგრძლივა გუნდთან ხელშეკრულება.**

**ესპანელი** თავდამსხმელი სალვა ბალესტა „ვალენსიამ" მადრიდის „ატლეტიკოსგან" ფაქტობრივად უკვე შეიძინა და მის სანაცვლოდ ექვს მილიონ გირვანქას იხდის. შეგახსენებთ, რომ ეს ფეხბურთელი ორი სეზონის წინ სანტანდერის „რასინგის" შემადგენლობაში პრიმერადივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, შემდეგ კი მადრიდულ კლუბში გააგრძელა კარიერა. „ატლეტიკოში" მან შარშან 10 გოლი გაიტანა. 26 წლის თავდამსხმელი დღეს ჩავა ვალენსიაში, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და ექვსწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზარ ზენაიშვილი
მიუნხენიდან



# ქართველებს მედლის შიში შეეპარათ



REUTERS მიუნხენიდან

ალჟირელმა ანის ლუნიფიმ ბელგიელი სედრიკ ტაიმანსი ბეჭებზე გაკრა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა

**წარუმატებელი** გამოდგა ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე დღე საქართველოს ნაკრებისთვის. არადა, 28 ივლისს მოასპარეზე გიორგი რევაზიშვილი და დავით მარგოშვილი ოპტიმიზმის საბაბს ნამდვილად იძლეოდნენ.

პირველად ტატამზე დავით მარგოშვილი (66 კგ) იხმეს. მისი მოწინააღმდეგე ევროპის წლევანდელი ჩემპიონი, ბელარუსი რასპედ მამედოვი იყო. დათომ პირველი სამი წუთი ვერაფერი მოუხერხა მეტოქეს და ბრძოლას ყველა კომპონენტში აგებდა — მძიმედ მოძრაობდა, ვერ იყენებდა თავის კოზირს — დიდ ფიზიკურ ძალას. მაგრამ ბელარუსმა მხოლოდ ერთხელ მისცა შანსი მარგოშვილს და მანაც მისი რეალიზაცია სრულად შეძლო. იპონი. იმედი მოგვეცა, რომ დათოს კიდევ ორი წრის გავლა არ უნდა გასჭირვებოდა. მისი მომდევნო მეტოქე, ავსტრიელი ანდრიას მიტელფელნერი დიდი მიღწევებით ვერ დაიკვეხნიდა. მაგრამ მარგოშვილი ტატამზე კვლავ ძნელი საცნობი იყო — პასიური, მოდუნებული, ბრძოლას გაურბოდა. შედეგმაც არ დააყოვნა — წაგება იპონით. როგორც მოსალოდნელი იყო, შემდეგ წრეში ავსტრიელმა წააგო და მარგოშვილსაც ყოველგვარი იმედი გადაეწურა.

გიორგი რევაზიშვილმა (73 კგ) პირველი შეხვედრა კანადელ ჯონ მარკაუს ძნელ ბრძოლაში მოუგო — დროის ამოწურვამდე რამდენიმე წამით ადრე მსაჯებმა კინაღამ მოხსნეს.

მერე გიორგის რუმინელ კლაუდიო ბახტეასთან მოუწია შებმამ. ის, რაც ვერ „მოახერხეს" მსაჯებმა წინა ბრძოლისას, ამჯერად განახორციელეს — რევაზიშვილი ორთაბრძოლის დასაწყისშივე გააფრთხილეს, შემდეგ ორივეს ერთდროულად აფრთხილებენ და მალე ქართველი მოიხსნა. ეს ცნობილი და ძალზე ეფექტური ტაქტიკაა! არ დაგავიწყდეთ, ევროპის ფედერაციის პრეზიდენტი რუმინელია.

მაგრამ გიორგი რევაზიშვილის მარცხის მსაჯებზე გადაბრალება გამართლებული არ იქნება — მან ვერც კანადელთან და ვერც რუმინელთან ვერ აჩვენა ტექნიკური ილეთების ის არსენალი, ტაქტიკური აზროვნების ის დონე, მსოფლიოს ჩემპიონატის მედლის მოსაპოვებლად რომ იყო საჭირო.

საინტერესო ისაა, რომ წარუმატებლობის მიზეზად მარგოშვილმაც და რევაზიშვილმაც ერთი და იგივე არგუმენტი დაასახელეს. თუმცა რევაზიშვილმა საუბარი მსაჯებით დაიწყო.

— ხომ ნახეთ, მსაჯები როგორ იქცეოდნენ.

— კი, მაგრამ, გიორგი, ყველა მსაჯი როგორ იქცეოდა ერთნაირად, შენს წინაამდეგ ხომ არ არიან შეკრულები — სიდნეიშიც, პარიზშიც, მიუნხენშიც. ვერ ხედავ საკუთარი წარუმატებლობის სხვა მიზეზებს? აბა, ნახე შენი ჭიდაობა ვიდეოფირზე, მხოლოდ ერთს ცდილობ, როგორმე ფეხებში შევარდე. განა სხვა ილეთი არ არსებობს ძიუდოში? — არ ვეპუები სპორტსმენს.

— მე თავს არ ვიმართლებ და მხოლოდ მსაჯებს არ ვაბრალებ მარცხს. ისე, რა ვქნა, ყველა ჩემზე მაღალია და სხვა არაფერი გამომდის. მთავარი ისაა, რომ 73 კილო ჩემი წონა არ არის. თავის დროზე შეცდომა დავუშვი, წონის შეცვლაზე რომ დავთანხმდი, მორჩა, მე 73-ში აღარ ვიჭიდავებ! ყველაფერი წონის ბრალია — და იქვე, ოდნავი პაუზის შემდეგ ხუმრობით თუ სერიოზულად დაამატა — სპორტული კარიერის დასრულების დრო ხომ არ მოვიდა, იქნებ ჩემი პოტენცია სპორტში ამოიწურა?

დავით მარგოშვილიც წარუმატებლობის მთავარ მიზეზად წონის პრობლემას ასახელებს.

— ჯერ ერთი, მე არ უნდა წამოვსულიყავი მიუნხენში. მსოფლიო უნივერსიადისთვის ვემზადებოდი. ხუთ დღეში ექვსი კილოს დაკლებამ მომიწია. წონის პრობლემა სულ მაქვს. ვგრძნობდი, რომ აქ წარმატებას ვერ მივაღწევდი — გამოფიტული ვიყავი. 66-ში ჩემი ჭიდაობა აღარ შეიძლება!

მოსაზრებას წონების პრობლემურობაზე შოთა ხაბარელიც იზიარებს. „ვაზაგაშვილის მოულოდნელი სვლის შემდეგ რაიმეს გამოსწორება, წონების გადაწყობა, უკვე ველარ ესწრებოდა" — ამბობს ნაკრების უფროსი მწვრთნელი.

უნდა ვიფიქროთ, რომ 60 და 66 კგ წონითი კატეგორიები ათენის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისა და იქ წარმატებით გამოსვლის თვალსაზრისით შეიძლება პრობლემურად იქცეს ჩვენი ნაკრებისთვის. არადა, ბოლო წლებში სწორედ რომ მჩატე წონებში ვყოჩაღობდით. გიორგი ვაზაგაშვილის ისტორიის შემდეგ რევაზიშვილმა უნდა შეძლოს თავის შესაძლებლობებში დარწმუნება, მაგრამ წლის სამ პრინციპულ შეჯიბრებაზე ჩავარდნის შემდეგ ეს ძალზე ძნელია. მარგოშვილზე უკვე ვთქვით. ნესტორ ხერგიანს ნამდვილად შეუძლია წარმატებით იბრძოლოს ნებისმიერი რანგისა და სინჯის მედლისთვის, მაგრამ ასაკის გამო მას პერსპექტიულად ნამდვილად ვერ მივიჩნევთ. ამ ორივე წონაში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ძალზე ნიჭიერი ახალგაზრდები გამოჩნდნენ. განსაკუთრებით ეს ითქმის 66 კგ-ზე. დღესდღეობით ამ წონაში ლიდერად მიჩნეულია მართლაც ნიჭიერი ირანელი არაჰ მირისმაილი, რომელმაც შესანიშნავად ჩაატარა მთელი ჩემპიონატი. ის კი არა, ფინალში ისიც მოახერხა, რომ ქამარიც არ შეხსნია. ჩემპიონატის ბოლო დღეს არაჰს დარბაზში მოვკარი თვალი. მივულოცე — ჯერ გაუკვირდა, შემდეგ მადლობაო. დაადასტურა ჩვენი ვარაუდი — წონის პრობლემა მაქვს, 3-5 კილოს სულ ვიკლებ. ალბათ წონას შევიცვლი. ძიუდო ჩვენთან ძალზე პოპულარულია. ამ მხრივ ჭიდაობასაც მალე დავეწევით. ბედნიერი ვარ, რომ პირველი მედალი და ისიც ოქროსი ძიუდოში ჩემს ქვეყანას მე მოვუტანე. ახლა ოლიმპიური ოქროს რიგია. აბა, აზიის ჩემპიონი კი ვარ — ყველა ტიტული ჩამოთვალა ირანელმა ჩემპიონმა.

...ჩემპიონატის ბოლო დღეს კიდევ ორი გამოცდილი ქართველი ძიუდოისტი გამოვიდა „ოლიმპიაჰალეში" — 60 კგ წონაში ნესტორ ხერგიანი, აბსოლუტურში რამაზ ჩოჩიშვილი.

ნესტორმა ჯერ ამერიკელ ტეილორ ტაკატასთან იმარჯვა — ჯერ კოკათი დაწინაურდა, შემდეგ კი იპონით გაიმარჯვა. შემდეგ წრეში მისთვის დამახასიათებელი შემტევი, აგრესიული სტილით შანსი არ დაუტოვა ჰოლანდიელ რუბენ ჰოუკერს. მესამე წრეში კი მისი მეტოქე აზერბაიჯანელი ელჩინ ისმაილოვი იყო — ევროპის წლევანდელი ჩემპიონი. ორივე კარგად იცნობს ერთმანეთს და ძალზე ფრთხილად დაიწყეს ორთაბრძოლა. უჩვეულო სანახავი იყო პოზიციურად მოასპარეზე ნესტორი — ერთხანს მან შეგნებულად დაუთმო უპირატესობა მეტოქეს და მისცა საშუალება, შეტევაზე გადმოსულიყო. მესამე წუთზე ორივე გააფრთხილეს. ნესტორმა ტაქტიკა შეცვალა — უკვე ის გადავიდა შეტევაზე. მსაჯი მოულოდნელად ორივეს აფრთხილებს. ამით გაბრაზებულმა ხერგიანმა საპასუხო სვლა უმალ გააკეთა — 40 წამი შეხვედრის დამთავრებამდე, მორიგი, უკვე ბოლომდე მიყვანილი ილეთი და ხერგიანი კოკათი იგებს.

მეოთხე წრის წინ ავსტრიელ ლუდვიგ პაიშერს დასვენებისთვის 40-წუთიანი ფორა ჰქონდა, ხერგიანი კი აზერბაიჯანელთან მძიმე ბრძოლის დამთავრებიდან ათიოდ წუთში გამოიძახეს საასპარეზოდ.

მაგრამ ქართველს დაღლის არაფერი ეტყობოდა — ხერგიანი თავის სტიქიაში გახლდათ — აქტიური, სულ შეტევაზე მომართული. 48-ე წამზე ბრწყინვალე ილეთი ვაზარად მაინც უნდა შეფასებულიყო, მსაჯების ყურადღების გარეშე კი დარჩა. კვლავ შეტევა და შეტევა. მეოთხე წუთის მიწურულს ნესტორის ილეთი იპონით დასრულდა.

ფინალში გასასვლელ შეხვედრაში ნესტორ ხერგიანს საკმაოდ გამოცდილი ძიუდოისტი, 1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი და წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი ბელგიელი სედრიკ ტაიმანსი დაუდგა პირისპირ. „განწირულია ნესტორი, თუ იპონით არ მოიგო. მსაჯები არავითარ შემთხვევაში არ წააგებინებენ ბელგიელს და ამას ძალზე ტექნიკურად გააკეთებენ" — ვარაუდი გამოთქვა ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა.

ხერგიანის უპირატესობა იმდენა არ ყოფილა, საქმე იპონამდე მისულიყო. როგორც ყოველთვის, ბრძოლა მან აქტიურად დაიწყო. ამჯერადაც პასიურობისთვის ჯერ ბელგიელი გააფრთხილეს, ერთი წუთის შემდეგ ჩვენიანის ჯერი დადგა, შემდეგ კიდევ ერთი შენიშვნაც და წინასწარმეტყველება გამართლდა — ფინალში ბელგიელია.

ბრინჯაოს იმედი არ იკარგებოდა. აქ ნესტორს ინგლისელი ჯონ ბუკანანი ელოდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს შეხვედრა ხერგიანმა ფაქტობრივად უბრძოლველად დათმო. ბოლოს შებოჭვაზეც მოჰყვა და მედალმაც ნისლიანი ალბიონისკენ გასწია.

ბუნებრივია, ქვეშეცნეულად ვიცოდით, რომ რამაზ ჩოჩიშვილისთვის დამატებით სტიმულად უნდა ქცეულიყო მამის — შოთა ჩოჩიშვილის ბრწყინვალე გამარჯვება ოლიმპიურ თამაშებზე სწორედ აქ, ამ დარბაზში სამი ათეული წლის წ

მართლაც, პირველი სამი წრე ჩემპიონურად გაიარა რამაზმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ჭიდაობის აკადემიური სტილი. იგი დიდხანს ამზადებს შეტევას. კარგად იჭერს დისტანციას. პირველ წრეში უკრაინელ დიმიტრი სელეზენთან მას პრობლემა არ შექმნია, ორ წუთში იპონით მოითავა საქმე.

შემდეგ წრეში კი რამაზს მართლაც საშიში მეტოქე დაუხვდა — ცნობილი ჰოლანდიელი მოჭიდავე დენის ვან დერ გუსტე — მსოფლიოს ჩემპიონატის ორგზის პრიზიორი, წლევანდელი ევროპის პირველობის ვერცხლის მედალოსანი. ამ შეხვედრაში რამაზმა სრულად გამოამჟღავნა თავისი პოტენციური შესაძლებლობანი და ორ წუთსა და 24 წამში გაიმარჯვა.

ნახევარფინალში გადასასვლელი მესამე შეხვედრა ჩოჩიშვილს იტალიელ პაოლო ბიანჩესსა და ორცენტნერიან ესპანელ რუანოს შორის გამარჯვებულთან ელოდა. შეგახსენებთ — მასთან ორი დღის წინ მსაჯებმა უმოწყალოდ გასწირეს ალექსი დავითაშვილი.

რამაზს რევანშის აღებამ არ მოუწია. სამაგიეროდ, კარგი სტილით მოუგო იტალიელს... და უკვე ნახევარფინალი! დარჩენილი ორი შეხვედრიდან ერთის მოგებაც საკმარისია მედლის მოსაპოვებლად, მაგრამ ის ერთი უნდა მოიგო!

ვერც ნესტორ ხერგიანმა, ვერც ივერი ჯიქურაულმა და ვერც რამაზ ჩოჩიშვილმა ეს ვერ შეძლეს. ებრაელ არიელ ზეევთან ჩოჩიშვილს ველარ იცნობდით, სუფთა წაგება, ფაქტობრივად უბრძოლველად. ბრინჯაოს მედლისთვის საპაექროდ კი რამაზი ფარხმალდაყრილი გავიდა, კაცი იფიქრებდა — ამ კაცს ისლა ადარდებს, რაც შეიძლება ჩქარა გააღწიოს ტატამიდანო. მალე ის მტკივნეულ ილეთზე მოჰყვა და წინაალმდეგობა შეწყვიტა.

აი, ასე — დღის პირველ ნახევარში ბრწყინვალედ ჩატარებული შვიდი შეხვედრა, შვიდი გამარჯვება. დღის მეორე ნახევარში ოთხი შეხვედრა, ოთხი წაგება!

გთავაზობთ ნაკრების უფროსი მწვრთნელის შოთა ხაბარელის მოკლე კომენტარს: „აბა, რა უნდა ვთქვა. თავად ნახეთ, როგორ დამაჯერებლად და კარგ სტილში ჩაატარეს დღის პირველი ნახევრის შეხვედრები. ნესტორსაც და რამაზსაც ძლიერი მეტოქეების ჩამოცილება მოუხდათ. რა კარგად მოუგო მომავალ პრიზიორს რამაზმა! როგორ მუშაობდა ტატამზე ხერგიანი. რა მოხდა იმ სამ-ოთხ საათში, დასვენებისთვის რომ იყო განკუთვნილი, ვერ გეტყვით. ნესტორს შეეძლო ფინალში გადასასვლელის მოგება, ბევრს ეცადა, მაგრამ მაინც ვერ შეძლო, მსაჯებიც „ჭყლეტდნენ". დანარჩენი სამი შეხვედრა ჩვენებმა დათმეს — ეს უნდა ითქვას. თუნდაც კიდევ ერთი მედლის ღირსი ჩვენი სპორტსმენები ნამდვილად იყვნენ."

დამთავრდა 22-ე მსოფლიოს ჩემპიონატი ძიუდოში. 94 ქვეყნის 350-ზე მეტმა ათლეტმა ოთხდღიან ბრძოლებში გაარკვია მედალოსანთა ვინაობა.

რა შეიძლება ითქვას უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეულ 22-ე მსოფლიოს ჩემპიონატზე? პირველი, რაც თვალში საცემია — მატულობს ძიუდოს პოპულარობა და ფართოვდება მისი გეოგრაფია. სწორედ ამ მომენტზე გაამახვილა ყურადღება მიუნხენში სტუმრად მყოფმა სოკის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ჟაკ როგმა. ირანი, ტუნისი, ალჟირი, ისრაელი, მაროკო, შუა და ცენტრალური აზიის რესპუბლიკები, ბალტიისპირელები და მრავალი სხვა ძიუდოს მსოფლიო ოჯახის აქტიური და ამბიციური წევრები ხდებიან.

მსოფლიოში კვლავ ევროპელები დომინირებენ — მედლების ნახევარზე მეტი სწორედ მათზე მოდის, დაახლოებით მესამედი — აზიელებზე. ბოლო ხანებში მცირდება ამერიკელთა ხვედრითი წილი, სამაგიეროდ, ძალას იკრებს აფრიკის კონტინენტი. პოპულარობისა და გეოგრაფიის გაფართოების კვალობაზე იზრდება კონკურენცია. თუ 1997 წელს მედლები განაწილდა მსოფლიოს 15 ქვეყნის სპორტსმენებზე და ეს მაჩვენებელი ორი წლის შემდეგ ორით გაიზარდა, მიუნხენში მსოფლიოს ჩემპიონატის მედლები უკვე 21 ქვეყნის სპორტსმენებმა გაინაწილეს. იზრდება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ძიუდოისტთა მონაგარიც. 1993-95 წლებში მხოლოდ სამმა ყოფილმა „მოძმე რესპუბლიკამ" გამოჰკრა მედლებს ხელი, 1999-2001 წლებში მათი რაოდენობა გაორმაგდა.

როგორ შეიძლება შეფასდეს მიუნხენში საქართველოს ნაკრების გამოსვლა? მხოლოდ ჩემს სუბიექტურ, ჟურნალისტურ აზრს გაგიზიარებთ.

დამოუკიდებელი გუნდით ჩვენებმა მეხუთედ იასპარეზეს მსოფლიოს ჩემპიონატზე. მოპოვებული მედლების რაოდენობით მიუნხენი ყველაზე წარუმატებელი იყო — მხოლოდ ერთი მედალი. შედარებისთვის, 1993 წელს ქართველმა ძიუდოისტებმა სამი მედალი ჩამოიტანეს თბილისში, ხოლო შემდეგ ორორი ყოველი ჩემპიონატიდან. კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ — ივერი ჯიქურაულიც, ნესტორ ხერგიანიცა და რამაზ ჩოჩიშვილიც ძალზე ახლოს იყვნენ მსოფლიოს ჩემპიონატის მედალთან. მაგრამ ახლოს ყოფნა არ ნიშნავს მის მოპოვებას.

ალბათ საჭიროა საფუძვლიანი საუბარი საქართველოში ძიუდოს განვითარების დღევანდელ მდგომარეობაზე. უნდა გავერკვეთ — ჩვენს ქვეყანაში ძიუდო წინ მიდის, ადგილზე დგას თუ საქმე რეგრესთან გვაქვს. ბუნებრივია, ასეთი მსჯელობა უნდა გაიმართოს ქართულ სპორტში არსებული რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

საგანგაშო არაფერია, ამას ევროპის ჩემპიონატის ხუთი მედალიც ადასტურებს. მაგრამ პრობლემის თაობაზე საუბარი მაინც უნდა შედგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტურ დე ფრანსი

# არმსტრონგმა დიდი ოთხეული შექმნა



„ტურის“ სამგზის ჩემპიონ ლენს არმსტრონგს მალე შვილიც სამი ეყოლება. პატარა ლუკს დედა ტყუპ ძმებს გაუჩენს



REUTERS

„ტურის“ ბოლო საფინალო სპრინტი

| მეცხრამეტე ეტაპი |
|---|
| ორლეანი — ევრი, 149 კმ |
| 1. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) 3სთ 12წთ 27წმ |
| 2. სტიუარტ ოგრედი (ავსტრალია, კრედი აგრიკოლი) |
| 3. რომანს ვაინსტეინსი (ლატვია, დომო) |
| 4. სვენ ტოტენბერგი (გერმანია, ფესტინა) |
| 5. იან სვორადა (სლოვაკეთი, ლამპრე) ყველას იგივე დრო |
| **მეოცე ეტაპი** |
| კორბეი-ესონი — პარიზი, 160 კმ |
| 1. იან სვორადა (სლოვაკეთი, ლამპრე) 3სთ 57წთ 28წმ |
| 2. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) |
| 3. სტიუარტ ოგრედი (ავსტრალია, კრედი აგრიკოლი) |
| 4. სვენ ტოტენბერგი (გერმანია, ფესტინა) |
| 5. ალესანდრო პეტაკი (იტალია, ფასა ბორტოლო) ყველას იგივე დრო |
| **საბოლოო ჩათვლა** |
| 1. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) 86სთ 17წთ 28წმ |
| 2. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) +6წთ 44წმ |
| 3. ხოსება ბელოკი (ესპანეთი, ონსე) +9წთ 05 |
| 4. ანდრეი კივილევი (ყაზახეთი, კოფიდისი) +9წთ 53 |
| 5. იგორ გონსალეს დე გალდეანო (ესპანეთი, ონსე) +13წთ 28 |

**დასრულდა** „ტურ დე ფრანსი“ და დასრულდა ლოგიკურად.

ანუ ამერიკელმა ლენს არმსტრონგმა ზედიზედ მესამედ იჩემპიონა საფრანგეთის გზებზე. მთლიანად შეჯიბრის შეჯამება ხვალისთვის გადავდოთ, დღეს კი უკანასკნელი ორი ეტაპის შესახებ ვისაუბროთ.

შაბათს მესამე ეტაპი მოიგო გერმანელმა ერიკ ზაბელმა, ვინც მწვანე მაისურის მფლობელ ავსტრალიელ სტიუარტ ოგრედის აჯობა საბოლოო სპრინტში და ქულების ჩათვლაში ოზს ორ ქულამდეც მიუახლოვდა. არმსტრონგი მთელი ეტაპის მანძილზე მშვიდად იყო პელოტონის შუაგულში მომავალი ტრიუმფის მოლოდინში.

„ვფიქრობ, ჩემს 28-ე დაბადების დღემდე რამდენიმე დღით ადრე ზაბელი მწვანე მაისურას მომაგებინებს“ — ხუმრობით თქვა ეტაპის შემდეგ ოგრედიმ, მაგრამ გერმანელსაც ხომ ძალიან უნდოდა საუკეთესო სპრინტერის სახელი, რომელიც მისთვის ზედიზედ მეექვსე იქნებოდა.

31 წლის ზაბელმა, რომელიც მეტოქეს დილით 11 ქულით ჩამორჩებოდა, ეტაპის ორ საშუალედო სპრინტში მას ორ-ორი ქულა მოუგო, ფინიშზე კი კიდევ ხუთი ქულით მიუახლოვდა.

მწვანე მაისურის ორგზის მფლობელი ლორან ჟალაბერი ამჯერად პარიზს პირველად ეწვია თეთრი წითელკოპლებიანი მაისურით, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ „ჟაჟა“ „ტურის“ საუკეთესო მთიელი გახდა. მან ეს პირინეების ერთ-ერთ ეტაპზე განხორციელებული შეტევის წყალობით შეძლო, როცა რამდენიმე პირველი და უმაღლესი კატეგორიის სიძნელის მთები პირველმა გადაიარა. ამ წარმატების აღსანიშნავად „ტისკალის“ ტექნიკურმა პარტნიორმა ფირმა „ლუკმა“ ჟალაბერს ბოლო ეტაპისთვის მისი მაისურის დარად შეღებილი ველოსიპედი შეურჩია.

„ტურის“ 1996 წლის გამარჯვებული ბიარნ რიისის გუნდმა კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი შეიტყო — ლენს არმსტრონგის ერთგული გრეგარი და ჩინებული მრბოლი ტაილერ ჰამილტონი მის წინადადებას დათანხმდა და გაისიდან მის ღირსებას დაიცავს. ჰამილტონის ასეთ გადაწყვეტილებას ალბათ ის უდევს საფუძვლად, რომ მას დიდი ლენსის ჩრდილქვეშ ყოფნა მოსწყინდა და თავადაც მოუნდა გუნდის ლიდერობა. „ტისკალის“ „ჟაჟას“ მეტი ლიდერი არ ჰყავს, ფრანგს კი უკვე პრესტიჟულ მრავალდღიანებზე საერთო ჩათვლაში მაღალი ადგილებისთვის ბრძოლა აღარ შეუძლია და შესაბამისად დანიური გუნდიც გაისად, თუ მიიწვიეს, „ტურზე“ აქცენტს სწორედ ამერიკელზე გააკეთებს.

„ეს ძალიან დიდი დანაკლისია „პოსტალისთვის“, რომელსაც თორმეტი თვის შემდეგ ვიგრძნობთ“ — განაცხადა არმსტრონგმა, რომელიც ბელგიელი ფილიპ ტისის, ფრანგი ლუიზონ ბობესა და ამერიკელი გრეგ ლემონდის შემდეგ მეოთხე სამგზის ჩემპიონი გახდა.

კვირას გამართული „ტურის“ დასკვნითი ეტაპი ბოლო წლების მანძილზე განსაკუთრებული იყო. როგორც წესი, პელოტონი ელისეს მინდვრებზე საკმაოდ მშვიდად შედის, რადგან უკვე ყველაფერი გარკვეულია, ბოლო ეტაპის გამარჯვებულის გარდა. ამჯერად კი მწვანე მაისურის ბედიც გადასაწყვეტი იყო.

ზაბელმა ბრე-ჟუიში მოწყობილი საშუალედო სპრინტი მოიგო და ქულების ჩათვლაში ოგრედის გაუთანაბრდა. პარიზში, შანზ-ელიზეზე, პელოტონმა ათი წრე გააკეთა, რის შემდეგაც „ტურის“ უკანასკნელი სპრინტი გაიმართა.

გამარჯვება სლოვაკ იან სვორადას დარჩა, რომლის გუნდისთვისაც ეს წლეულს პირველი წარმატება იყო. თავად სვორადას 1994 წელს ფუტუროსკოპისა და 1998 წელს კორკის (ირლანდია) ეტაპები მოეგო. მეორე ადგილი ზაბელს დარჩა, ვინც ავსტრალიელს ცხვირწინ აალა მწვანე მაისურა და მისი ზედიზედ მეექვსედ შენარჩუნებით რეკორდიც დაამყარა.

ცოტა ხანში გამარჯვებულებიც დააჯილდოვეს და „ტურ დე ფრანს-2001“ ისტორიის კუთვნილება გახდა.

**გაგი გურული**

## ერთი დღის ისტორია

**1973 წლის 28 ივლისს** ლუის ოკანამ როგორც იქნა, აიხდინა ოცნება და „ტური“ მოიგო. არადა, მას ამის გაკეთება ჯერ კიდევ ორი წლით ადრე შეეძლო, მაგრამ მაშინ წვიმისას, დასველებულ მანტეს მთის დაღმართზე ყვითელმაისურიანი ესპანელი წაიქცა და შეჯიბრსაც დაემშვიდობა. მომდევნო წელს მას ავადმყოფობამ შეუშალა ხელი. 1973 წელს კი „ტურზე“ ყველს ათი თავით აჯობა. ექვსი ეტაპის მომგებ ოკანაზე ანტუან ბლონდენი „ველო-მაგაზენში“ წერდა, რომ მან „კანიბალ“ ედი მერქსის მონოლოგი გაწყვიტა და დაამტკიცა, რომ პელოტონში ყველა დამარცხებულის ფსიქოლოგიისა არ იყო. „ლუის ოკანა ბრწყინვალე გამარჯვებულია“ — ასე ამთავრებდა ბლონდენი თავის სტატიას.

## ცოტაოდენი ისტორია და გეოგრაფია



**საფრანგეთის** ცენტრალური რეგიონისა და ლუარეს დეპარტამენტის დედაქალაქი ორლეანი 115 ათას მაცხოვრებელს ითვლის. აქაური გოთური კათედრალი ერთ-ერთი ულამაზესია მთელს მსოფლიოში. ბოსის დაბლობებსა და სოლონის ტყეებს შორის მდებარე ორლეანი ძალიან მდიდარი ისტორიის პატრონია, რის გამოც ახლახან იუნესკოს მიერ „მსოფლიოს მემკვიდრეობადაც“ გამოცხადდა. ყველაზე ცნობილი ორლეანელი ქალწული ჟანა დძარკი იყო, რომელიც ასწლიანი ომის დროს სათავეში ჩაუდგა ფრანგთა განმათავისუფლებელ ბრძოლას და ინგლისელთა კონტინენტიდან განდევნაში უდიდესი წვლილი შეიტანა. თუმცა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ძლიერთაგან ბევრს დიდად არ ეპიტნავა გლეხის გოგოს ასეთი წარმატება, უღალატეს მას და ჟანამაც სიცოცხლე მოწამეობრივად კოცონზე დაასრულა. ორლეანმა წლეულს „ტურს“ მეშვიდედ უმასპინძლა. 1974 წლის ეტაპი მეტად საინტერესო გამოდგა და გამარჯვება მერქსმა და პოლანტიემ გაიყვეს.

**ესონის** პრეფექტურაში მყოფი ევრი ფანტასტიკური სისწრაფით განვითარდა 1965 წლიდან მოყოლებული, ანუ მას შემდეგ, რაც იგი ცხრიდან ერთ-ერთ „ახალ ფრანგულ ქალაქად“ დასახელდა. ევრი ისტორიითაც და მოსახლეობითაც ძალიან ახალგაზრდაა. აქაურ მაცხოვრებელთა საშუალო ასაკი 27 წელია, რაც საფრანგეთში ლამის ყველაზე დაბალი რიცხვია. აქ თავმოყრილია გენეტიკის სფეროს უდიდესი საწარმოები და გენეტიკის შემსწავლელი უნივერსიტეტი. ამის გარდა, ევრელები ბუნებასაც დიდ ყურადღებას აქცევენ და თავიანთ აგლომერაციაში 600 ჰექტარი ტყეები, ბაღები და პარკები აქვთ. „ტურმა“ ევრში პირველად გაიარა.





**კორბეი-ესონი** საკმაოდ დინამიური ქალაქია. იგი პარიზიდან 33 კილომეტრის დაშორებითაა, საფრანგეთის დედაქალაქის სამხრეთ აეროპორტ „ორლიმდე“ კი სულ რაღაც 15 კილომეტრია. იგი 1951 წელს დაიბადა კორბეისა და ესონის შეერთებით და დღეს 40 ათასამდე ადამიანს ითვლის თავის 11 კვადრატულ კილომეტრზე. კორბეი-ესონში ძველი დროის ნაგებობები კარგადაა შერწყმული თანამედროვეებთან. კონტრასტების ქალაქი ესონის დეპარტამენტში სიდიდით მეორეა და ერთგვარი სატრანსპორტო კვანძიცაა თავისი სენაზე მდებარე სამდინარო ნავსადგურით, პარიზის საგარეუბნო მატარებლის D ხაზის სადგურით და საავტომობილო გზებით.



**ჰემინგუეი** პარიზს მსოფლიოს ჭიპს უწოდებდა და მართლაც, იგი სამყაროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქია. პარიზი წარმოიშვა მდინარე სენის კუნძულ სიტეზე, გალთა ტომის პარიზიების დასახლება ლუტეციიდან. შემდეგში ლუტეცია რომის იმპერატორის ნაცვლის რეზიდენცია გახდა. 497 წელს ფრანკთა მეფემ ხლოდვიგმა დაიპყრო და 508 წელს თავისი სახელმწიფოს მთავარ ქალაქად აქცია. კარლოს დიდის დროს პარიზი საგრაფოს ცენტრი იყო 987-წელს ჰუგო კაპეტდიგმა პარიზი სამეფოს დედაქალაქად გამოაცხადა. განსაკუთრებით გაიზარდა პარიზის მნიშვნელობა ფილიპ II ოგიუსტის მეფობის დროს (1180-1223). 1215 წელს დაარსდა უნივერსიტეტი სორბონი. XVII საუკუნის მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნეში პარიზი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მსოფლიო ცენტრი გახდა. ქალაქმა გადამწყვეტი როლი ითამაშა საფრანგეთის დიდ რევოლუციაში (ბასტილიის აღება, 1789 წლის 14 ივლისი). პარიზში თავმოყრილია ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 25 პროცენტი. მთავარი დარგია მანქანათმშენებლობა, კერძოდ ავტომშენებლობა, ელექტროტექნიკური და ელექტრონული მრეწველობა. ყოველწლიურად გამოდის 2 მილიონზე მეტი ავტომობილი. ყველაზე დიდი საავტომობილო ქარხნები აქვთ „რენოსა“ და „სიტროენს“. პარიზი მოდის კანონმდებელია. აქ ამზადებენ ქვეყანაში წარმოებული მზა ტანსაცმელის 30 პროცენტზე მეტს. პარიზი მსოფლიოში განთქმულია ტუალეტის საგნების, საგალანტერიო და საიუველირო ნაკეთობების და სუვენირების დამზადებით. აქ თავმოყრილია ფრანგული ბანკების დაახლოებით ნახევარი. დედაქალაქი წამყვან როლს თამაშობს საფრანგეთის საშინაო და საგარეო ვაჭრობაში. მილიონობით ტურისტს 1500-ზე მეტი სასტუმრო ემსახურება. პარიზი არხების საშუალებით უკავშირდება მდინარეებს რაინს, რონას, ლუარას. სამდინარო ნავსადგურის ტვირთბრუნვა 20 მილიონ ტონაზე მეტია წელიწადში. პარიზს აქვს ორი დიდი აეროპორტი — ჩრდილოეთით „შარლ დე გოლი“, სამხრეთით „ორლი“. ქალაქში არის მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი მეტროპოლიტენი, რომელიც 14 ხაზისგან შედგება. აქვე გადის ოთხი საგარეუბნო მატარებლების ხაზიც. პარიზი მსოფლიოს ერთ-ერთი თავისებური და განუმეორებელი ქალაქია. იგი ყალიბდებოდა საუკუნეთა განმავლობაში და შენარჩუნებული აქვს ჯერ კიდევ შუა საუკუნეების რადიალურ-წრიული სტრუქტურა. მის საფუძველს შეადგენს ქუჩები, რომლებიც ქალაქს კვეთენ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ (სებასტოპოლის, სტრასბურისა და სენ-მიშელის ონორეს ქუჩები). სენაზე 60-ზე მეტი ხიდია, რომელთაგან უძველესს „ახალი ხიდი“ ჰქვია. პარიზის მთავარი არქიტექტურული ანსამბლებია მართლმსაჯულების სასახლე (1783-86), პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი (1163-1225), ინვალიდები სახლი (1671-76), ეიფელის კოშკი (1289), პანთეონი (1758-90), ლუვრი (1546-XIX), ტრიუმფალური თაღი (1806-37)... ასეთია მოკლედ უმშვენიერესი და ულამაზესი პარიზი.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

## კროკო

**გერმანია. ბუნდესლიგა. მე-2 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **4 აგვისტო** | | | |
| 18.30 | 001 | ბაიერნი-შალკე | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 18.30 | 002 | ვოლფსბურგი-ზანქტ პაული | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 18.30 | 003 | ჰერტა-დორტმუნდი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 18.30 | 004 | ვერდერი-კოტბუსი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 18.30 | 005 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 18.30 | 006 | კიოლნი-მიუნხენი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.30 | 007 | ჰანზა-ლევერკუზენი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| | | **5 აგვისტო** | | | |
| 20.30 | 008 | ნიურნბერგი-ფრაიბურგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.30 | 009 | კაიზერსლაუტერნი-მიონხენგლადბახი | 1,6 | 3,4 | 5,0 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-2 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **3 აგვისტო** | | | |
| 23.45 | 037 | მარსელი-ბორდო | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | | **4 აგვისტო** | | | |
| 20.15 | 038 | ნანტი-ლანსი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.00 | 039 | სოშო-რენი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.00 | 040 | მონაკო-მონპელიე | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.00 | 041 | მეცი-ტრუა | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 23.00 | 042 | ლიონი-სედანი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.00 | 043 | ლილი-ლორიანი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 23.00 | 044 | გენგამი-ბასტია | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.00 | 045 | ოსერი-პსჟ | 2,4 | 2,9 | 2,8 |

**ჩეხეთი. მე-2 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **3 აგვისტო** | | | |
| 19.30 | 056 | იაბლონეცი-სლავია | 3,6 | 3,2 | 1,85 |
| | | **4 აგვისტო** | | | |
| 21.30 | 057 | ჰ.კრალოვე-სპარტა | 6,5 | 4,0 | 1,4 |
| | | **5 აგვისტო** | | | |
| 13.15 | 058 | ჟიჟკოვი-ტეპლიცე | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 13.15 | 059 | დრნოვიცე-ბანიკი | 1,8 | 3,2 | 3,6 |
| 19.30 | 060 | ლიბერეცი-ბლშანი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.30 | 061 | ოპავა-სინოტი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.30 | 062 | პრჟიბრამი-ბოჰემიანსი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.30 | 063 | სიგმა-ბრნო | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 064 | სიგმა-ბრნო 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |

**ავსტრია. მე-5 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **31 ივლისი** | | | |
| 22.00 | 095 | ზალცბურგი-რაპიდი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| | | **1 აგვისტო** | | | |
| 21.00 | 096 | ბრეგენცი-შტურმი | 3,5 | 3,1 | 1,95 |
| 22.30 | 097 | აუსტრია-რიდი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 22.30 | 098 | გრაცერი-კერნტენი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 22.30 | 099 | ტიროლი-ადმირა | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 100 | ტიროლი-ადმირა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**შვეიცარია. B ჯგუფი. გადადებული მატჩი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **31 ივლისი** | | | |
| 22.30 | 112 | ვადუცი-თუნი | 2,7 | 3,0 | 2,4 |

**რუსეთი. მე-20 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **1 აგვისტო** | | | |
| 17.00 | 126 | კრილია-ლოკომოტივი | 2,4 | 2,9 | 2,8 |

**შვედეთი. მე-15 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **31 ივლისი** | | | |
| 22.00 | 134 | გიოტებორგი-იურგორდენი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

**ფინეთი. 23-ე ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **1 აგვისტო** | | | |
| 20.30 | 153 | ლაჰტი-კუოპიო | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| | | **2 აგვისტო** | | | |
| 20.30 | 154 | ჯაზი-ატლანტისი | 3,4 | 3,3 | 1,9 |
| 20.30 | 155 | იოკერიტი-ინტერი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 20.30 | 156 | ტამპერე-ვაასა | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 157 | ტამპერე-ვაასა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

**ბელგია. სუპერთასი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **4 აგვისტო** | | | |
| 23.00 | 163 | ვესტერლო-ანდერლეხტი | 3,0 | 3,3 | 2,1 |

**ნორვეგია. თასის 1/4 ფინალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **1 აგვისტო** | | | |
| 21.00 | 164 | ვიკინგი-ტრომსიო | 1,4 | 4,0 | 6,5 |

**ჩემპიონთა ლიგა. II ეტაპი. II მატჩები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **31 ივლისი** | | | |
| 23.15 | 501 | ლუგანო-შახტარი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| | | **1 აგვისტო** | | | |
| 19.30 | 502 | შერიფი-ანდერლეხტი | 3,8 | 3,3 | 1,75 |
| 20.30 | 503 | ვისლა-სკონტო | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 21.00 | 504 | მაკაბი (ჰ)-ჰაკა | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 22.00 | 505 | ჰალმსტადი-ბოჰემიანი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 22.00 | 506 | კოპენჰაგენი-ტორპედო | ანგარიში - 5,0 | | |
| 22.00 | 507 | ინტერი (სლკ)-მოზირი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 508 | ცრვენა ზვეზდა-ომონია | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 23.00 | 509 | ვლაუნია-გალათასარაი | 4,2 | 3,3 | 1,7 |
| 23.00 | 510 | სლოგა-სტიაუა | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 23.15 | 511 | ჰაიდუკი-ფერენცვაროში | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.30 | 512 | ბარი თაუნი-პორტუ | 8,0 | 4,4 | 1,25 |
| 23.45 | 513 | ბრანი-ლევსკი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 23.45 | 514 | რეინჯერსი-მარიბორი | 1,2 | 5,6 | 10,0 |

**ინტერტოტო. 1/2 ფინალი. II მატჩები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **1 აგვისტო** | | | |
| 19.30 | 515 | ლოზანა-ბაზელი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23.00 | 516 | ვოლფსბურგი-ტრუა | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.00 | 517 | პსჟ-გენტი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.30 | 518 | ბრუგე-ბლშანი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 519 | ნიუკასლი-მიუნხენი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 23.45 | 520 | ასტონ ვილა-რენი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

**კოპა მერკოსური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **31 ივლისი** | | | |
| 05.00 | 521 | ოლიმპია-სან ლორენსო | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| | | **1 აგვისტო** | | | |
| 05.10 | 522 | ბოკა ხუნიორსი-სერო პორტენიო | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | | **2 აგვისტო** | | | |
| 05.10 | 523 | ველეს სარსფ.-ტალიერესი | 1,6 | 3,4 | 5,0 |

**კოპა მერკონორტე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **31 ივლისი** | | | |
| 02.00 | 524 | აუკასი-ნეკასა | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| | | **1 აგვისტო** | | | |
| 02.00 | 525 | ამერიკა-ალიანსა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 05.30 | 526 | ვიზარდსი-სპ.კრისტალი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| | | **2 აგვისტო** | | | |
| 02.00 | 527 | გვადალახარა-მილიონარიოსი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

**ამხანაგური მატჩები (ნეიტრალ.)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **31 ივლისი** | | | |
| 23.30 | 528 | ინტერი-უოტფორდი | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| | | **1 აგვისტო** | | | |
| 21.00 | 529 | რომა-არსენალი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**შემდეგ ეტაპზე გასვლა**

| | | | |
|---|---|---|---|
| | | **31 ივლისი** | |
| 23.15 | 601 | ლუგანო-შახტარი | 7,5 - 1,05 |
| | | **1 აგვისტო** | |
| 19.30 | 602 | შერიფი-ანდერლეხტი | 25,0 - --- |
| 20.30 | 603 | ვისლა-სკონტო | 1,02 - 10,0 |
| 21.00 | 604 | მაკაბი-ჰაკა | 1,1 - 5,0 |
| 22.00 | 605 | ჰალმსტადი-ბოჰემიანი | 1,01 - 15,0 |
| 22.00 | 606 | კოპენჰაგენი-ტორპედო | --- - --- |
| 22.00 | 607 | ინტერი (სლკ)-მოზირი | 1,05 - 7,5 |
| 23.00 | 608 | ცრვენა ზვეზდა-ომონია | 1,02 - 10,0 |
| 23.00 | 609 | ვლაუნია-გალათასარაი | 15,0 - 1,01 |
| 23.00 | 610 | სლოგა-სტიაუა | 15,0 - 1,01 |
| 23.15 | 611 | ჰაიდუკი-ფერენცვაროში | 1,3 - 2,8 |
| 23.30 | 612 | ბარი თაუნი-პორტუ | 99,0 - --- |
| 23.45 | 613 | ბრანი-ლევსკი | 1,4 - 2,3 |
| 23.45 | 614 | რეინჯერსი-მარიბორი | --- - 25,0 |
| 19.30 | 615 | ლოზანა-ბაზელი | 7,5 - 1,05 |
| 23.00 | 616 | ვოლფსბურგი-ტრუა | 1,9 - 1,55 |
| 23.00 | 617 | პსჟ-გენტი | 1,15 - 4,0 |
| 23.30 | 618 | ბრუგე-ბლშანი | 1,02 - 10,0 |
| 23.45 | 619 | ნიუკასლი-მიუნხენი | 1,05 - 6,0 |
| 23.45 | 620 | ასტონ ვილა-რენი | 1,6 - 1,8 |

**ტურში გატანილი გოლები**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **4 აგვისტო** | | |
| 18.30 | 701 | გერმანია (1-ლი) | 24 და ნაკლები - 1,9; | 26 და მეტი - 1,9 |
| | | **3 აგვისტო** | | |
| 23.45 | 702 | საფრანგეთი (მე-2): | 22 და ნაკლები - 1,9; | 24 და მეტი - 1,9 |
| | | **3 აგვისტო** | | |
| 19.30 | 703 | ჩეხეთი (მე-2): | 19 და ნაკლები - 1,9; | 21 და მეტი - 1,9 |
| | | **3 აგვისტო** | | |
| 19.00 | 704 | პოლონეთი (მე-3): | 19 და ნაკლები - 1,9; | 21 და მეტი - 1,9 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


**გურჯაანში**

1 აგვისტოს გაიხსნება
კროკოს ახალი
ბიურო მისამართი:
დავით გურამიშვილის ქუჩა №28

FORMULA 1

**ფორმულა 1. მსოფლიოს ჩემპიონატი. მეთორმეტე ეტაპი**

# ჰოკენჰაიმი უკვე ისტორიაა

## რალფ შუმახერი პოდიუმს შეეჩვია




REUTERS ჰოკენჰაიმიდან

ძველი „ჰოკენჰაიმრინგის" ბოლო პოდიუმი: რუბენს ბარიკელო, რალფ შუმახერი, ჟაკ ვილნევი

**გასულ** უქმეებზე გერმანიის დიდი პრიზის გათამაშების წინ სამი თემა იყო საყოველთაო მსჯელობის საგანი: თავად ავტოდრომის მომავალი, ჯორდან-ფრენცენის კონფლიქტი და მიხაელ შუმახერის სავარაუდო სარეკორდო გამარჯვება.

„ჰოკენჰაიმრინგი" 60 წლის წინ აგეს შტუტგარტიდან ასიოდე კილომეტრის მოშორებით. თითქმის შვიდკილომეტრიანი ტრასა ფორმულაში ერთ-ერთი უგრძესი და უსწრაფესია. საკმაოდ მარტივი პროფილის წრეზე ოთხი კილომეტრიანი, ლარივით სწორი მონაკვეთია, სადაც შესაძლებელია ზღვრულ სიჩქარემდე გაქანება. სპეციფიკური ტრასაა, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძრავის სიმძლავრესა და საიმედოობას. არანაკლებია საბურავებისა და, ცხადია, პილოტის როლიც. განსაკუთრებით ჩქაროსნულია სტარტის შემდგომი პირველი სწორი — 15 წამის განმავლობაში ძრავა მაქსიმალურ რეჟიმში მუშაობს. ამ მონაკვეთის ბოლოს იზომება სიჩქარე და სწორედ იქაა დაფიქსირებული ფორმულა 1-ის აბსოლუტური რეკორდი — დევიდ კულჰარდის „მაკლარენმა" შარშან 361 კმ/სთ სიჩქარე განავითარა.

ტრასის აღწერაზე დაწვრილებით იმიტომ შევჩერდით, რომ გუშინწინდელი, რიგით 25-ე რბოლა ვეტერანი ავტოდრომისთვის უკანასკნელი გახლდათ. „ჰოკენჰაიმრინგისთვის" გერმანიის დიდი პრიზის გათამაშების უფლება არავის ჩამოურთმევია, პირიქით, კიდევ შვიდი წლით აქვს დაბევებული. უბრალოდ, ამჟამინდელი კონფიგურაციით უკანასკნელად უმასპინძლა „სამეფო რბოლებს" — შემოდგომაზე ტრასის კარდინალური რეკონსტრუქცია დაიწყება, რის შედეგადაც აღარც ეს უგრძესი და ზესწრაფი მონაკვეთი იქნება და არც ზოგიერთი სხვა ისტორიული უბანი. წრე თითქმის მესამედით დამოკლდება და სტანდარტული, 4,5 კმ სიგრძისა გახდება. იმასაც ვიტყვით, რომ ასეთი გრანდიოზული ღონისძიებისთვის 40 მილიონი დოლარია გამოყოფილი.

გასული კვირის უმთავრესი სენსაცია გახდა ჰაინც-ჰარალდ ფრენცენის „ჯორდანიდან" სკანდალური გაგდება. გერმანელი მრბოლის წლევანდელი სუსტი შედეგებით უკმაყოფილო მისი ემოციური შეფი ედი ჯორდანი ჩემპიონატის დასრულებას არ დაელოდა და „ჰა-ჰას" სამსახური დაატოვებინა. ამ ცნობამ მთელი საფორმულო სამყარო ააფორიაქა. პილოტები, ცხადია, თავიანთ კოლეგას ერთხმად თანაუგრძნობენ და თვლიან, რომ ედი ემოციებს აჰყვა და ახლა ალბათ ნანობს კიდეც, რადგან ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მძღოლის, 1997 წლის ვიცე-ჩემპიონის შეცვლა სულ 30 ეტაპზე ნარბოლი და მხოლოდ სამი ქულის მომპოვებელი რიკარდო ზონტათი, აბა, რომელ ჭკუათმყოფელს მოუვიდოდა თავში. ფრენცენის დონის მრბოლს უმუშევრად ვინ დატოვებს, „ჯორდანიდან" მისი მოხსნით კი ყველაზე მეტად, ვფიქრობთ, „ტოიოტამ" გაიხარა. იაპონური კონცერნი გაისად ფორმულაში ჩართვას აპირებს და გერმანელს კარგა ხანს ეკურკურებოდა კიდეც, თუმც უშედეგოდ. ახლა სხვა ვითარებაა — ხელფეხგახსნილ ფრენცენს იაპონელები, სავარაუდოა, უფრო ენერგიულად შეუტევენ და სულაც არაა გამორიცხული, 2002 წელს იგი მიკა სალოსთან ერთად „ტოიოტას" საჭესთან ვიხილოთ.

რაც შეეხება მიხაელ შუმახერს, მისი მილიონობით ფანები მოელოდნენ კი არა, ლამის მოითხოვდნენ თავიანთი კერპისგან „ფერარის" შემადგენლობაში მშობლიურ ტრასაზე პირველი გამარჯვების მოპოვებას, რაც საშუალებას მისცემდა, მოგებების რაოდენობით (51) ოთხგზის ჩემპიონ ალენ პროსტს დასწეოდა.

შუმი, ცხადია, ყოველმხრივ ეცადა. ამასთან, ისეთი შთაბეჭდილებაც შეიქმნა, რომ მისი გულისთვის რბოლაც კი შეწყვიტეს და ხელმეორე სტარტი დანიშნეს, მაგრამ...

ბუნებრივია, მანამდე იყო კვალიფიკაცია. წლეულს პილოტებმა თავიდანვე მიგვაჩვიეს, რომ ერთბაშად რამდენიმე მათგანი ყოველი ეტაპის წინ აუმჯობესებს ძველ საპოულე მიღწევას. მაგრამ ის, რაც ამჯერად მოხდა, წარმოუდგენელი ჩანდა — წინა ზღვარს თითქმის ყველამ, 19-მა მონაწილემ აჯობა. სადღეისოდ ყველაზე მძლავრ „უილიამსის" ბოლიდებს უპირატესობა უნდა ჰქონოდათ. ასეც მოხდა, თუმცა არავინ ელოდა, რომ ფრენკ უილიამსის ბიჭები მეტოქეებს თავიდანვე შოკში ჩააგდებდნენ და, როგორც იტყვიან, ნოკაუტით დაამარცხებდნენ.

რალფ შუმახერმა პირველივე მისვლაზე სამნახევარი წამი ჩამოაჭრა მიკა ჰაკინენის სამი წლის წინანდელ მიღწევას, მერე — კიდევ სამი მეათედი. ფანტასტიკური იყო ხუან პაბლო მონტოიას პირველი ცდა. კოლუმბიელმა წრე 250,4 კმ/სთ საშუალო სიჩქარით გაიქროლა და ძველი რეკორდი თითქმის ოთხი წამით გააუმჯობესა — 1.38,117. ეს მონტოიას პირველი პოულია. რალფმა თანაგუნდელთან წამის ორი მეასედი წააგო. მესამე-მეოთხე ადგილებზე გასული ჰაკინენი და შუმახერი მათ თითქმის წამით ჩამორჩნენ. მესამე რიგი დევიდ კულჰარდმა და რუბენს ბარიკელომ დაიკავეს.

მიხაელის გარდა რბოლის სტარტი ყველამ ნორმალურად აიღო და სწორედ ეს გახდა საშინელი ავარიის მიზეზი. ჩემპიონის „ფერარი" ჯერ ხეირიანად არც დაძრულიყო, რომ სიჩქარე დაკარგა და შუა გზაზე გაჩერდა. ლუჩანო ბურტის უკვე საკმაოდ გაქანებულმა „პროსტმა" მისი გვერდის ავლა ვერ მოახერხა და უკნიდან მთელი ძალით შეასკდა, ჰაერში ამოტრიალდა და ძირს დაცემულმა იოს ფერსტაპენი თავის „ეროუსიანად" კინაღამ ქვეშ მოიყოლა. საბედნიეროდ, მეტად სერიოზული ინციდენტი მშვიდობიანად დასრულდა — ტრასიდან შურდულივით გასრიალებული „პროსტი" საბურავების დამცავმა კედელმა შეაჩერა.

ცხადია, მაშინვე უსაფრთხოების მანქანა გამოჩნდა, მაგრამ ორიოდ წუთში რბოლა საერთოდ შეწყვიტეს, აქაოდა, გზა მანქანების ნამსხვრევებითაა მოფენილიო. ამან, ანუ 20 წუთის მერე განმეორებითმა სტარტმა, შუმახერსაც და ბურტისაც რბოლაში სათადარიგო მანქანებით ჩაბმის საშუალება მისცა. ბრაზილიელი მანამდე გულდასმით გასინჯა ფორმულის მთავარმა ექიმმა სიდ უოტკინსმა და მხოლოდ ამის შემდეგ მისცა საჭესთან დაჯდომის უფლება. ჟაკ ვილნევის აზრით, ყველაფრის თავიდან დაწყების აუცილებლობა არ ყოფილა: „ჩვენ ერთხელ უკვე გავიარეთ პეისკარის უკან ავარიის ადგილი და საშიში არაფერი ჩანდა. ყოველ შემთხვევაში, ძალიან გავოცდი, როცა წითელი დროშა დავინახე."

რესტარტი მშვიდობიანი გამოვიდა, თუმცა პირველ წრეზე მაინც მოხდა შეჯახება — მოსახვევში პედრო დე ლა როსას „იაგუარმა" დამუხრუჭება ვერ შეძლო და ნიკ ჰაიდფელდის „ზაუბერს" ეძგერა. რბოლა ორივესთვის იქვე დასრულდა.

დასაწყისში ყველაზე მეტად „ფერარიმ" იხეირა: ჯერ შუმახერმა ადვილად გაასწრო ჰაკინენს, მერე კი ბარიკელომ იყოჩაღა და ერთიმეორის მიყოლებით ორივე „მაკლარენს" ადვილად მოერია. როგორც წესი, „ჰოკენჰაიმრინგზე" ერთხელ იმატებენ საწვავს. მიხაელიც ამ გეგმით მოქმედებდა, რუბენსი კი ისე მსუბუქად დაქროდა, რომ აშკარად იგრძნობოდა, მის ბოლიდში ცოტა ბენზინი ჩაესხათ, ესე იგი ორი პიტსტოპის ტაქტიკა ჰქონდა არჩეული. ამის ხარჯზე ბარიკელომ მალე შუმიც ჩამოიტოვა უკან.

„უილიამსებმა" ისეთი ფეთიანი ტემპი განავითარეს, რომ თავიდანვე საგრძნობლად დაშორდნენ კონკურენტებს. ჰოკენჰაიმის ტრეკი ზედგამოჭრილია სხვებთან შედარებით 15-20 ცხენის ძალით უფრო ღონიერი ამ ბოლიდებისთვის. ხუთი წრის შემდეგ მონტოია უკვე რვა წამს უგებდა მიხაელს, მომდევნო ხუთ წრეში კი სხვაობა თითქმის გაორმაგდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ბარიკელომ ზუსტად გზის მესამედის, ანუ ასი კილომეტრის გავლის მერე მიაკითხა ბოქსებს, მიხაელმა 24-ე წრეზე. ახლა ძნელი სათქმელია, საბოლოოდ ვისი ტაქტიკა აჯობებდა, რადგან ჩემპიონატის ლიდერმა პიტსტოპის შემდეგ ერთი წრის გავლაც ველარ შეძლო — სათადარიგო „ფერარიზე". საწვავის მიწოდების სისტემა გამოვიდა წყობიდან. როგორც გაირკვა, პირველ შემთხვევაში სიჩქარეთა კოლოფს აურევია.

ამდენი წამყვანი პილოტის გამოთიშვა წლეულს არც ერთ სხვა ეტაპზე არ ყოფილა. ეტყობა, 30-გრადუსიანმა უჩვეულო სიცხემაც იქონია გავლენა. ორივე „მაკი" ფინიშამდე კარგა მანძილით გამოაკლდა ბრძოლას, შუა რბოლაში კი მონტოიას ბოლიდმაც ბოლი გაუშვა.

საპოდიუმო სამეული 15 წრით ადრე გამოიკვეთა. რალფის „უილიამსმა" უკვე მერამდენედ უნაკლოდ, საათივით იმუშავა, არც პილოტს დაუშვია თუნდაც იოტისოდენა შეცდომა და უზარმაზარი უპირატესობით მოიპოვა კარიერაში მესამე დიდი პრიზი. პატარა შუმი მეორე გერმანელი მრბოლია ძმის შემდეგ, ვისაც სამშობლოში გაუმარჯვია. ამ მოგებით რალფმა სატურნირო ცხრილში მესამე ადგილი დაიბრუნა და ისევე, როგორც ბარიკელომ საგრძნობლად შეამცირა მეორე პოზიციაზე მყოფ კულჰარდთან ჩამორჩენა.

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

**გერმანიის დიდი პრიზი**

29 ივლისი. ჰოკენჰაიმრინგი

დისტანცია — 45 წრე — 307,125 კმ

| | |
|---|---|
| 1. რ. შუმახერი (უილიამსი) | 1:18.17,873 (235,351 კმ/სთ) |
| 2. ბარიკელო (ფერარი) | ჩამორჩა 46,117 |
| 3. ვილნევი (BAR) | 1.02,806 |
| 4. ფიზიკელა (ბენეტონი) | 1.03,477 |
| 5. ბატონი (ბენეტონი) | 1.05,454 |
| 6. ალეზი (პროსტი) | 1.05,950 |
| 7. პანი (BAR) | 1.17,527 |
| 8. ბერნოლდი (ეროუსი) | 1 წრით |
| 9. ფერსტაპენი (ეროუსი) | 1 წრით |
| 10. ალონსო (მინარდი) | 1 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| ტრული (ჯორდანი) | გაიარა 34 წრე |
| კულჰარდი (მაკლარენი) | 27 |
| მარკეში (მინარდი) | 26 |
| მონტოია (უილიამსი) | 24 |
| ბურტი (პროსტი) | 23 |
| მ. შუმახერი (ფერარი) | 23 |
| ირვინი (იაგუარი) | 16 |
| რაიკონენი (ზაუბერი) | 16 |
| ჰაკინენი (მაკლარენი) | 13 |
| ზონტა (ჯორდანი) | 7 |
| დე ლა როსა (იაგუარი) | 0 |
| ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 0 |

**საუკეთესო წრე**

მონტოია 1.41,808

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 4 მარტი | მალაიზია 18 მარტი | ბრაზილია 1 აპრილი | სან მარინო 15 აპრილი | ესპანეთი 29 აპრილი | ავსტრია 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | ევროპა 24 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ.ბრიტანეთი 15 ივლისი | გერმანია 29 ივლისი | უნგრეთი 19 აგვისტო | ბელგია 2 სექტემბ. | იტალია 16 სექტემბ. | აშშ 30 სექტემბ. | იაპონია 14 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 6 | - | 10 | 6 | 10 | 6 | 10 | 10 | 6 | - | | | | | | 84 |
| 2 კულჰარდი მაკლარენი, ბრიტანეთი | 6 | 4 | 10 | 6 | 2 | 10 | 2 | - | 4 | 3 | - | - | | | | | | 47 |
| 3 რ. შუმახერი უილიამსი, გერმანია | - | 2 | - | 10 | - | - | - | 10 | 3 | 6 | - | 10 | | | | | | 41 |
| 4 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 4 | 6 | - | 4 | - | 4 | 6 | - | 2 | 4 | 4 | 6 | | | | | | 40 |
| 5 ჰაკინენი მაკლარენი, ფინეთი | - | 1 | - | 3 | - | - | - | 4 | 1 | - | 10 | - | | | | | | 19 |
| 6 მონტოია უილიამსი, კოლუმბია | - | - | - | - | 6 | - | - | - | 6 | - | 3 | - | | | | | | 15 |
| 7 ვილნევი BAR, კანადა | - | - | - | - | 4 | - | 3 | - | - | - | - | 4 | | | | | | 11 |
| 8 ჰაიდფელდი ზაუბერი, გერმანია | 3 | - | 4 | - | 1 | - | - | - | - | 1 | 1 | - | | | | | | 10 |
| 9 ტრული ჯორდანი, იტალია | - | - | 2 | 2 | 3 | - | - | - | - | 2 | - | - | | | | | | 9 |
| 10 რაიკონენი ზაუბერი, ფინეთი | 1 | - | - | - | - | 3 | - | 3 | - | - | 2 | - | | | | | | 9 |

ფრენცენი (ჯორდანი) — 6; პანი (BAR) — 5; ირვინი (იაგუარი), ალეზი (პროსტი), ფიზიკელა (ბენეტონი) — 4; ბატონი (ბენეტონი) — 2; ფერსტაპენი (ეროუსი), დე ლა როსა (იაგუარი) — 1 ქულა

| | ავსტრალია | მალაიზია | ბრაზილია | სან მარინო | ესპანეთი | ავსტრია | მონაკო | კანადა | ევროპა | საფრანგეთი | დ.ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | ბელგია | იტალია | აშშ | იაპონია | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ფერარი | 14 | 16 | 6 | 4 | 10 | 10 | 16 | 6 | 12 | 14 | 10 | 6 | | | | | | 124 |
| 2 მაკლარენი | 6 | 5 | 10 | 9 | 2 | 10 | 2 | 4 | 5 | 3 | 10 | - | | | | | | 66 |
| 3 უილიამსი | - | 2 | - | 10 | 6 | - | - | 10 | 9 | 6 | 3 | 10 | | | | | | 56 |
| 4 ზაუბერი | 4 | - | 4 | - | 1 | 3 | - | 3 | - | 1 | 3 | - | | | | | | 19 |
| 5 BAR | - | - | 3 | - | 4 | 2 | 3 | - | - | - | - | 4 | | | | | | 16 |

ჯორდანი — 15; ბენეტონი — 6; იაგუარი — 5; პროსტი — 4; ეროუსი — 1 ქულა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცურვა

# ავსტრალიასთან ყველა საწყალია

**მიუხედავად** იმისა, რომ ავსტრალიელთა სათაყვანებელმა იან ტორპმა მიზანი ვერ აისრულა — შვიდგზის მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გახდა, ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, ცისფერი ბილიკების ისტორიაში გამორჩეული ადგილი დაეკავებინა.

საწყლოსნო სახეობათა მსოფლიოს ჩემპიონატის მე-13 დღეს ავსტრალიელმა ამგვარ ასპარეზობათა ისტორიის ახალი ფურცელი გადაშალა. იმ დღეს ცურვის მოყვარულთა მზერა იან ტორპისკენ იყო მიპყრობილი. 4X100 კომბინირებულ ესტაფეტაში გამარჯვების შემთხვევაში მწვანე კონტინენტის წარმომადგენლები ვაჟთა შორის სამივე ესტაფეტის გამარჯვებულები შეიქნებოდნენ. გარდა ამისა, ტორპის თანაგუნდელებზე — მეტ უელშზე, რეგან ჰარისონსა და ჯეფ ჰიუგელზე იყო დამოკიდებული, გახდებოდა თუ არა „ტორპედო" თავისებური მსოფლიოს რეკორდის მფლობელი.

პირველი ადგილისთვის ბრძოლა მართლაც ძალიან დაძაბულად წარიმართა. იანკებმა, რომლებიც ესტაფეტების ბატონ-პატრონები არიან, ახლა ამგვარ ასპარეზობათა მე-9 მსოფლიოს ჩემპიონატზე ზედიზედ მესამე მარცხის თავიდან ასაცილებლად ყველაფერი იღონეს. ორ ისტორიულ მეტოქეს შორის პაექრობას დენთის სუნი ასპარეზობის პირველივე წამებიდან აუვიდა.

იანკებსა და ოზებს შორის დუელში თავდაპირველად რენდალ ბოლი და მეტ უელში ჩაერთნენ. საწყის გულაღმა ცურვაში უელშმა ავსტრალია დააწინაურა. როდესაც ჯერი ბრასზე მიდგა, აქ უკვე ედ მოზესმა იძალა და იანკები გაიჭრნენ წინ, თუმცა დროებით. ბატერფლაით ჯეფ ჰიუგელმა სტატუს-კვო აღადგინა. ჰიუგელს ამერიკელი იან კროკერი წამის ხუთი მეასედით ჩამორჩა, დამაგვირგვინებელ კროლში კი ურთიერთობის გარკვევა ენტონი ირვინსა და იან ტორპს მოუხდათ. პირველი 50 მეტრის შემდეგ ირვინმა ავსტრალიელი ჩამოიტოვა, მაგრამ ტორპი მეორე ნახევარში მეტოქეს წამოეწია და დარჩენილ სანტიმეტრებში გამარჯვებაც გამოგლიჯა ამერიკელს.

„ვიცოდი, რომ ენტონი დაწინაურდებოდა. ხოლო უკანა გზაზე, როდესაც ჩემსა და მას შორის მანძილი განვსაზღვრე, მაშინ კი თავი ჩავრგე და აუზის კიდისკენ გავემართე" — იტყვის ტორპი ფინალის შემდეგ.

ამრიგად, ტორპმა 100 მეტრზე „თავისუფალის" ფინალში მარცხისთვის თავისებური რევანში აიღო. მისთვის არასაფირმო დისციპლინაში გამარჯვებული მაშინ ხომ სწორედ ირვინი გახდა.

თუმცა გამარჯვებულებს, გაჯიუტებულ ელექტროტაბლოზე პირველი ადგილის გასწვრივ ავსტრალია რომ ამოეკითხათ, ამისთვის ცოტა ლოდინი დასჭირდათ. ბოლოს, როგორც იქნა, ტაბლოზე პრიზიორთა გვარებიც აკიაფდა. მაგრამ ავსტრალიის ქვევით, მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, აშშ-სა და ჰოლანდიის ნაცვლად გერმანიისა და რუსეთის შედეგები ჩანდა.

ამერიკასა და ჰოლანდიას DQ ეწერათ, რაც დისკალიფიკაციას ნიშნავდა. ეს უკვე მერამდენედ დაისაჯნენ იანკები. ამერიკელთა დისკვალიფიკაციის მიზეზი კი ირვინი გამოდგა.

„გაოცებული დავრჩი, როდესაც შევიტყვე, რომ წყალში პირველი ის (ირვინი) გადახტა, რადგან ესტაფეტის გადმოსაცემად პირველი ჯეფი მოიწევდა" — სიტუაციაში ვერ გარკვეულა ტორპი.

ასეა თუ ისე, ავსტრალიამ ვაჟთა შორის სამივე ესტაფეტაში იმარჯვა, თანაც 4X100 „კომბინირებულში" ტიტულიც შეინარჩუნა, შედეგად კი მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში იან ტორპი ყველაზე მოსავლიანი სპორტსმენი შეიქნა. ერთ მსოფლიოს ჩემპიონატზე ექვსი ოქროს მოპოვებით მან უკან მოიტოვა ამერიკელები — ჯიმი მონტგომერი და ტრეისი კალკინსი. მონტგომერი 1973 წელს ბელგრადის, ხოლო კალკინსი 1978 წელს დასავლეთ ბერლინის მსოფლიოს ჩემპიონატების ხუთ-ხუთ გზის გამარჯვებულები არიან. ასე რომ, 16-გზის მსოფლიოს რეკორდსმენი ერთგვარი უნიკალური რეკორდის პატრონიც გახდა.

გარდა ამისა, თუ ტორპის ახლანდელ გამარჯვებებს 1998 წლის პერტის მსოფლიოს პირველობაზე მოპოვებულ ორგზის ჩემპიონობასაც დავუმატებთ, იგი 8 უმაღლესი ხარისხის მედლით აღმოსავლეთგერმანელ კორნელია ენდერთან ერთად ბრწყინვალე შედეგის თანაზიარადაც მოგვევლინება. გერმანელმა მოცურავემ ასეთი რამ 1973 და 1975 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე შეძლო.

თავად მოცურავე კი საკუთარი თავის შეფასებისას დაბნეული ჩანს.

„ისე, ცოტა იმედგაცრუებული ვარ... არა, ამაზე ხუმრობა არ შეიძლება. მე შევძელი რამდენიმე პირადი საუკეთესო შედეგის გაუმჯობესება. მიხარია, რომ ოლიმპიადის შემდეგ წარმატებულად დავუბრუნდი ასპარეზობას. ეს ძალიან მამხნევებს დამდეგი ოლიმპიადის წინ" — ამბობს სიდნეის ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონი და საბერძნეთის დედაქალაქისკენ უფრო დიდი წარმატების იმედით იმზირება.

მანამდე კი, სანამ ათენის 2004 წლის ოლიმპიადამდე სამი წელიწადია დარჩენილი, ტორპს ცოტა დასვენების დრო მიეცა. მსოფლიოს ჩემპიონატის გადატვირთული პროგრამით გადაღლილს დასვენება სწადია. თუმცა ამისათვის მას ერთი კვირაც არ აქვს. ამ შაბათ-კვირას იგი პერტში ავსტრალიის „პატარა წყლის" ჩემპიონატზე გამოსვლასაც აპირებს.

4X100 კომბინირებულ ესტაფეტაში გამარჯვება შაბათის ფინალებიდან ერთადერთი არ ყოფილა, სადაც ავსტრალიამ იმარჯვა. ოზებმა მთლიანად ხუთი ოქროს მედლიდან სამი მოიპოვეს.

50 მეტრზე ბატერფლაით ნახევარფინალში მსოფლიოს საუკეთესო შედეგის მიღწევის შემდეგ ჯეფ ჰიუგელმა ფინალში თავისივე შედეგი ველარ გააუმჯობესა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, რათა ავსტრალიელთა მონაგარი კიდევ ერთი ოქროთი გაეზარდა. იგი თავისსავე მსოფლიოს რეკორდს (23,44) ექვსი მეასედი წამით ჩამორჩა — 23,50. შვედმა ლარს ფროლანდერმა მეორე ადგილი დაიკავა: 23,57. აი, ბრიტანელმა მარკ ფოსტერმა კი, როგორც იქნა, შეძლო ამგვარ ასპარეზობათა „დიდი წყლის" მედლის მოგება. 31 წლის „პატარა წყლის" მსოფლიოს ჩემპიონი ბრინჯაოს დაეუფლა — 23,62.

პეტრია ტომასმა 4X200 „თავისუფალში" უპატიებელი შეცდომის გამო დისკვალიფიცირებულ ავსტრალიელებთან თავისი დანაშაული ნაწილობრივ გამოისყიდა, როდესაც 100 მეტრზე ბატერფლაით ასპარეზობისას მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო შედეგი აჩვენა — 58,27.

ალსანიშნავია ქალთა 1 500 მეტრზე თავისუფალი სტილით ასპარეზობაც, იმიტომ, რომ პირველად გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში. თუ ადრე ამ დისციპლინაში მხოლოდ ვაჟები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ახლა ამის საშუალება ქალებსაც მისცეს. პირველი გამარჯვებული კი გერმანელი ჰანა სტოკბაუერი გახდა — 16 წუთი, 1,16 წამი. ამრიგად, გერმანელი 800 და 1 500 მეტრზე ორი ოქროს პატრონი გახდა, თანაც მან ამ უკანასკნელ დისტანციაზე აღმოსავლეთგერმანელი ასტრიდ შტრაუსის მიერ 1984 წლის იანვარში დამყარებული ევროპის რეკორდიც (16.13,55) გააუმჯობესა.

მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო დღეს იმავე მანძილზე ვაჟებს შორის ბევრად უკეთესი შედეგის მომსწრენი გავხდით. ავსტრალიელმა გრანტ ჰეკეტმა საოცარი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა და, ცხადია, ტიტულიც შეინარჩუნა. სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონი თავის საფირმო დისციპლინაში მთელი ასპარეზობის განმავლობაში ასეთი შედეგისკენ მიმავალ გზაზე შესაბამის დროში მიიწევდა. ფინალური პაექრობის დასრულებისთანავე ელექტროტაბლო გვამცნობდა, რომ ჰეკეტმა თანამემამულე კირენ პერკინსის მიერ 1994 წლის ვიქტორიაში (კანადა) დამყარებულ მსოფლიოს რეკორდს (14 წუთსა და 41,66 წამს)... შვიდი წამი ჩამოაჭრა — 14.34,56.

ალსანიშნავია, რომ ამ მიღწევას თავად პერკინსიც დაესწრო. მანაც, რომელიც ამ დისციპლინის ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია და ახლა სპორტულ კომენტატორად მუშაობს, აუზის გასწვრივ მდგომმა ოვაციების ნიშნად ცერა თითი აწია. ბრწყინვალე მსოფლიოს რეკორდის ავტორი კი გაოგნებული იყო.

„ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ მსოფლიოს რეკორდს შვიდი წამით გავაუმჯობესებდი. მეგონა, ეს მხოლოდ იან ტორპს შეეძლო. ხუთი წელიწადია, რაც ეს ჩემი დისციპლინაა. მინდოდა, ყველასთვის დამემტკიცებინა, რომ მეც შემეძლო ასეთი რამის გაკეთება. ამ მომენტს წლები ველოდი" — აღტაცებული ამბობდა 21 წლის ჰეკეტი.

ამჯერად, როგორც იქნა, ჰეკეტმა თავი დააღწია იან ტორპისა და კირენ პერკინსის ჩრდილს.

მისი რეკორდი მართლაც რომ აღტაცების ღირსია. 100-მეტრიანი მონაკვეთის შემდეგ ჰეკეტის შედეგი — 54,19 სპრინტულ დისციპლინაში რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, ჯონი დევიტის ნაჩვენებ დროზე უკეთესი იყო. 200 მეტრზე კი უფრო სწრაფად გაცურა, ვიდრე მარკ სპიცის მიერ მიუნხენის ოლიმპიადის ფინალში 200 მეტრზე „თავისუფალში" დამყარებული მსოფლიოს რეკორდია. აი, დარჩენილი 1 300 მეტრიდან 400-იანი მონაკვეთი (3.50,18) მას 1984 წლის ლოს ანჯელესის ოლიმპიადას მოაგებინებდა, ხოლო 800 მეტრზე წამზომი უკვე ისეთ შედეგს უჩვენებდა (7.44,47), რომლითაც იგი სამი თვის წინ მსოფლიოს რეკორდს დაამყარებდა. მოგეხსენებათ, ზემოხსენებული რეკორდი ამ რამდენიმე დღის წინათ გააუმჯობესა ტორპმა.

ალსანიშნავია სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ჰოლანდიელი ინგე დე ბრუინის ნაყოფიერი გარჯაც. 50 მეტრზე ბატერფლაისა და 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მოპოვებულ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულებს კვირას კიდევ ერთი შეემატა. 50 მეტრზე „თავისუფალში" 27 წლის ჰოლანდიელი ყველაზე ადრე მიიჭრა აუზის კიდესთან — 24,47, ჩამორჩენილმა შვედმა, ტერეზა ალსამარმა კი ასპარეზობის მეორე ვერცხლის მედალი მოიპოვა — 24,88. მესამე შედეგი აღმოაჩნდა გერმანელ სანდრა ფოლკერს — 24,96.

ამრიგად, დე ბრუინი ტორპის დარად სამი ინდივიდუალური დისციპლინის ჩემპიონია.

სხვათა შორის, როდესაც მესამედ ავიდა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე, ჰოლანდიელმა გადაკვრით თქვა, შესაძლოა ათენის 2004 წლის ოლიმპიადაზე ტიტულები აღარც დავიცვაო.

„ამ დროისთვის ამას გადაჭრით ვერ ვიტყვი. წლის ბოლოს ჩემს მწვრთნელ იაკო ვერხერენს მოველაპარაკები და გადაწყვეტილებასაც მაშინ მივიღებთ. მე ყველაფერი მოვიგე, რისი მოგებაც შეიძლებოდა. ...ამი წლის წინ ამას ვინ იფიქრებდა?" — კითხულობს დე ბრუინი.

მართლაც, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ახალგაზრდას უფრო მეტი წარმატებებისთვის უნდა მიეღწია, 1998 წლის პერტის მსოფლიოს ჩემპიონატზე 100 მეტრზე თავისუფალში მან მერვე შედეგი აჩვენა.

დე ბრუინმა ერთი-ორი გამამხნევებელი სიტყვა მის თანაგუნდელზე, ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ პიტერ ვან დენ ჰოგენბანდზეც თქვა:

„მეგონა, რომ 100 მეტრზე „თავისუფალში" პიტერი გაიმარჯვებდა, რადგან ვთვლი, რომ ეს მისი დისციპლინაა. ისე კი, ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, იგი ვერცხლს მოიპოვებს თუ ოქროს. იგი ჩემს თვალში ყოველთვის ჩემპიონია".

ფუკუოკას საწყალოსნო სახეობათა მე-9 მსოფლიოს ჩემპიონატის ოთხგზის ვიცე-ჩემპიონმა ძალიან განიცადა ზემოთხსენებულ დისციპლინაში ამერიკელ ენტონი ირვინთან მარცხი. ის კი არა, როგორც ამბობენ, დაჯილდოების ცერემონიალზე განზრახული ჰქონია, თავისი ვერცხლის მედალი მაყურებლებში მოესროლა.

ასეა თუ ისე, მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა. ამ შეჯიბრში ყველაზე მეტ წარმატებას მწვანე კონტინენტის წარმომადგენლებმა მიაღწიეს. მოცურავეთა 8-დღიან ასპარეზობებში ავსტრალიელებმა პირველად შეძლეს 13 ოქროს მედლის მოგება და მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ყველა ქვეყანას გაუსწრეს.

**გიგა გურასაშვილი**



გრანტ ჰეკეტი — სასწაული რეკორდის ავტორი

REUTERS ფოტოქრონიკა




ინგე დე ბრუინს სამიდან ერთ-ერთი ოქროს მედალი თვით სოკ-ის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა ჩამოჰკიდა

REUTERS ფოტოქრონიკა

### ვაჟები

**50 მ. ბატერფლაი**
1. ჯეფ ჰიუგელი (ავსტრალია) 23,50
2. ლარს ფროლანდერი (შვედეთი) 23,57
3. მარკ ფოსტერი (დიდი ბრიტანეთი) 23,62

**4X100 კომბინირებული ესტაფეტა**
1. ავსტრალია (მეტ უელში, რეგან ჰარისონი, ჯეფ ჰიუგელი, იან ტორპი) 3.35,35
2. გერმანია 3.36,34
3. რუსეთი 3.37,77

**50 მ. ბრასი**
1. ოლეგ ლისოგორი (უკრაინა) 27,52
2. რომან სლუდნოვი (რუსეთი) 27,60
3. დომენიკო ფიორავანტი (იტალია) 27,72

**1500 მ. თავისუფალი სტილი**
1. გრანტ ჰეკეტი (ავსტრალია) 14.34,56
2. გრემ სმიტი (დიდი ბრიტანეთი) 14.58,94
3. ალექსეი ფილიპეცი (რუსეთი) 15.01,43

**400 მ. კომპლექსური**
1. ალესიო ბოჯიატო (იტალია) 4.13,15
2. ერიკ ვენდტი (აშშ) 4.15,36
3. ტომ უილკენსი (აშშ) 4.15,94

### ქალები

**1500 მ. თავისუფალი სტილი**
1. ჰანა სტოკბაუერი (გერმანია) 16.01,02
2. ფლავია რიგამონტი (შვეიცარია) 16.05,99
3. დაიანა მუნცი (აშშ) 16.07,05

**100 მ. ბატერფლაი**
1. პეტრია ტომასი (ავსტრალია) 58,27
2. ოტილია იედრზეიჩაკი (პოლონეთი) 58,72
3. იუნკო ონიში (იაპონია) 58,88

**100 მ. გულაღმა**
1. ნატალი ქაუგლინი (აშშ) 1.00,37
2. დაიანა მოკანუ (რუმინეთი) 1.00,68
3. ანტჯე ბუშულტე (გერმანია) 1.01,42

**50 მ. თავისუფალი სტილი**
1. ინგე დე ბრუინი (ჰოლანდია) 24,47
2. ტერეზა ალსამარი (შვედეთი) 24,88
3. სანდრა ფოლკერი (გერმანია) 24,96

**400 მ. თავისუფალი სტილი**
1. იანა კლოჩკოვა (უკრაინა) 4.07,30
2. კლაუდია პოლი (კოსტა რიკა) 4.09,15
3. ჰანა სტოკბაუერი (გერმანია) 4.09,36

**4X100 კომბინირებული ესტაფეტა**
1. ავსტრალია (დაიანა კალუბი, ლეისელ ჯოუნსი, პეტრია ტომასი, სარა რაიანი) 4.01,50
2. აშშ 4.01,81
3. ჩინეთი 4.02,53

### წყალში ხტომა

### ვაჟები

**10 მ. კოშკურა**
1. ტიან ლიანგი (ჩინეთი) 688.77
2. ალექსანდრ დესპატი (კანადა) 670.95
3. მეტიუ ჰელმი (ავსტრალია) 670.23

### ქალები

**3 მ. ტრამპლინი**
1. გუო ჟინგჟინგი (ჩინეთი) 596.67
2. ირინა ლაშკო (ავსტრალია) 552.39
3. იულია პახალინა (რუსეთი) 543.54

## მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში

### წყალბურთი



ესპანელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: ფუკუოკაში მათი ტოლ-სწორი არავინ იყო

# ესპანელებმა თავი და ტიტული შეინახეს

**წყალბურთელ** ვაჟთა ფინალი მართლაც რომ მსოფლიოს ჩემპიონატის საკადრისი აღმოჩნდა. ერთმანეთის პირისპირ მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი ესპანეთი და ევროპის ჩემპიონი იუგოსლავია წარდგნენ.

1998 წლის პერტის მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებულებმა იუგოსლავიელებს რეტი დაასხეს. ამაში მთავარი როლი ესპანელმა თავდამსხმელმა გაბრიელ ერნანდესმა ითამაშა. მან პირველი პერიოდიდან მოყოლებული მეტოქის დაცვას მოსვენება არ მისცა. პირველი ბურთიც მან შეაგდო. ამას ევროპის ჩემპიონთა საპასუხოც მოჰყვა, თუმცა ერნანდესმა პირველი მეოთხედის დასრულებამდე 58 წამით ადრე უპირატესობა ისევ აღადგინა — 2:1.

მეორე შვიდწუთეული უფრო დაძაბულად წარიმართა. ამჯერად ყველაზე უკეთ მცველები გაისარჯნენ, რადგან თავდამსხმელებს გატანის საშუალება არ მისცეს. ასე რომ, ესპანელებმაც და იუგოსლავიელებმაც კარი მშრალად შეინახეს, მესამე მეოთხედში დანილი იკოდინოვიჩმა იუგოსლავიელებს იმედის ნაპერწკალი ჩაუსახა. მისი შეტევა გოლით დაგვირგვინდა 2:2, მაგრამ ეს იყო და ეს. ამის მერე ყველა მათი შეტევა ამაო გამოდგა. იუგოსლავიელთა მიერ დროებით აღდგენილ სტატუს-კვოს 30 წამში ყოფილმა კუბელმა, გაესპანელებულმა გოლიათმა ივან პერესმა დაუსვა წერტილი — 3:2. ამას ორ წუთში ფინალის გმირმა ერნანდესმა თავისი მესამე ბურთიც მიაყოლა 4:2.

ჰეთ თრიქის ავტორმა ესპანელები მსოფლიოს ჩემპიონის კვარცხლბეკზე აიყვანა. თუ იან ტორპს შესწევს უნარი, საცურაო აუზში თავშეყრილი მაყურებლები გააოგნოს, მაშინ ერნანდესს მათი ჰიპნოზირება ძალუძს. მან არამარტო დაატყვევა ათასობით მყვირალა გულშემატკივარი, არამედ მეტოქე იუგოსლავიას გასაქანი არ მისცა. მატჩში ნახევარზე მეტი ბურთის გამტანი თუ თავის წილად იხარჯებოდა ესპანეთის სასახელოდ, მეკარე ხესუს როლანი თავისი გარჯითა და ოსტატობით ღმერთის მარჯვნივ ყოფნას იმსახურებსო, თქვეს მათმა თანაგუნდელებმა მატჩის შემდეგ. ყოველ ამ სიტყვას საბუთიც ახლავს: ოქროს მედლებისკენ სავალ გზაზე ესპანელები ბოლო მეოთხედში ორი ბურთის უპირატესობით გადაეშვნენ აუზში. მათ მეტოქეს თამაშის თავის სასარგებლოდ შემოსაბრუნებლად ბოლო შვიდწუთეული ჰქონდა. იუგოსლავიელთა იერიშებს პირინეელებმა გააზრებული თავდაცვით უპასუხეს. ხესუს როლანის კარი აუღებელ ციხესიმაგრედ იქცა. დაცვისა და მეკარის გარჯამ ესპანეთს ოქროს მედლები არ დაათმობინა და მსოფლიოს ჩემპიონობაც შეუნარჩუნა.

„ოცნება რეალობად იქცა. ეს ფანტასტიკური რამაა ჩემი გუნდისთვის და ქვეყნისთვის. ჩვენ ბარსელონის 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს ისევ მოქმედ ჩემპიონებად დავიწყებთ. ჩემი აზრით, ბოლო 10-11 წლის განმავლობაში ესპანეთის ეროვნულმა ნაკრებმა თავის თავს აჯობა" — განაცხადა ესპანელთა მწვრთნელმა ხუან ხანემ.

მატჩის შემდეგ ორგზის მსოფლიოს ჩემპიონობით კმაყოფილი ჩანდა თავად ერნანდესი: „უკვე ორი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ვითამაშე. ასეთი მნიშვნელოვანი გოლები აქამდე არასდროს გამეტანა. ჩემთვის ეს სიზმარივით იყო და მინდა, ჩემს თანაგუნდელებს მადლობა გადავუხადო".

ამრიგად, 1986 და 1991 წლების ჩემპიონატების გამარჯვებულმა იუგოსლავიელებმა ფუკუოკას წყალს გაატანეს შანსი იმისა, რომ სამგზის მსოფლიოს ჩემპიონები გამხდარიყვნენ.

„მარცხის გამო გაწბილებული კი დავრჩი, მაგრამ ზაფხულამდე ვინმეს რომ ეთქვა ჩემთვის, ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედალოსნები გახდებით და ფუკუოკას წყლიდან ვერცხლის მედლებით ამოხვალთო, მაშინ თავს ძალიან ბედნიერად ვიგრძნობდი.

ჩვენი მარცხის მიზეზი კი სუსტი კონტრშეტევები იყო. მიუხედავად ამისა, ჩვენ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი და ამავე დროს მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეთა შორის ერთ-ერთი უძველესი გუნდი გვყავს" — მარცხი შეიფერა იუგოსლავიელთა მწვრთნელმა ნენად მანოილოვიჩმა.

**გიგა გურასაშვილი**

**ვაჟები**

ნახევარფინალი

**ესპანეთი 4:2 იტალია**

**იუგოსლავია 9:8 უნგრეთი**

მესამე ადგილი

**რუსეთი 7:6 იტალია**

ფინალი

**ესპანეთი 4:2 იუგოსლავია**



# სამპრასი მწარედ დაამარცხეს

ლოს ანჯელესი (აშშ)
„მერსედეს-ბენცის თასი"
ჰარდი. საპრიზო 400 ათასი.

არაცთუ დიდი საპრიზო ფონდის მიუხედავად, ლოს ანჯელესში მიმდინარე „მერსედეს-ბენცის" თასის გათამაშება მშვენიერი ტურნირია, რასაც მასში ჩოგბურთის თანავარსკვლავედის მონაწილეობაც მოწმობს. ის, რომ, ფინალშიც ერთმანეთს ორი ექსპირველი ჩოგანი, „მოსისხლეები" — პიტ სამპრასი და ანდრე აგასი შეერკინებიან, ერთიორად ზრდის ტურნირისადმი ინტერესს.

არსებითად ეს ფინალი ხოტორა და ხუჭუჭა ამერიკელს შორის გაჩაღებული თორმეტწლიანი ომის ერთ-ერთი ბრძოლა იყო. უთმო აგასიმ არ დათმო ამ ომში ბოლო ხანს მოპოვებული უპირატესობა და ზედიზედ მესამედ დასცა მარადიული მეტოქე. ახლა მათ შორის შეხვედრებში ანგარიშია 17:14 სამპრასის სასარგებლოდ, თუმც აგასის ქომაგები თვლიან, რომ მათი ჯილა მალე დაეწევა და გადაასწრებს საპენსიო (მათი აზრით) სამპრასს.

სამპრასი ჯერაც ბობოლათა მარაქაშია, თუმც ძველებურად უძლეველი ვეღარაა. მას აგერ ერთი წელიწადია, ტურნირი არ მოუგია, წლეულს ორ ფინალში მოასწრო წაგება. შარშან უიმბლდონის მოგების შემდეგ სამპრასმა 34 შეხვედრიდან 12 დათმო. მისი მძლეველები კი ყოველთვის არ არიან კლასიფიკაციის პირველი ასეულის მკვიდრნი.

აგასი პირიქით, შესანიშნავ ფორმაშია, წლეულს აქამდე სამი ტურნირი მოიგო, ახლა მეოთხეც მიაყოლა და, რაც მთავარია, ფინალში სამპრასს მოუგო.

სანამ მარადიულ მეტოქეს კვანტს გამოსდებდა, აგასიმ მეოთხედფინალში ბავშვობიდან მისი თაყვანისმცემელი ჟან-მაიკლ გემბილი ჩამოიშორა, ნახევარფინალში კი დღესდღეობით პირველ ჩოგანს, ბრაზილიელ გუსტავო კუერტენს აჯობა, რითაც ახლებურ კლასიფიკაციაში პირველობა აართვა და [illegible] დაუსწრო, მერე კი სამპრასის ჯერმაც მოაწია.

„სულაც არ ვფიქრობ, რომ საცოდავად ვითამაშე — თქვა სამპრასმა ფინალის 4:6, 2:6 წაგების შემდეგ — უპირატესობას ვფლობდი, პირველ სეტში, უბრალოდ, რამდენიმე გაფუჭებულმა დარტყმამ ავნო საქმეს, ხოლო პირველი ხელის წაგების შემდეგ ფსიქოლოგიური უპირატესობა ანდრეს გაუჩნდა. მოწოდება ჩემი თამაშის მნიშვნელოვანი ნაწილია. ბევრი პირველი ბურთი გავაფუჭე, რის შემდეგაც ჩემი გამარჯვების შანსები შემცირდა. ძალიან კი მსურდა ლოს ანჯელესში გამარჯვება, მაგრამ რას ვიზამ... მე მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი."

მეტოქის დამარცხებით და ტურნირის გამარჯვებულისთვის განკუთვნილი 54 ათასი დოლარის ჩაჯიბვით გახალისებულმა აგასიმ, როგორც სჩვევია, კომპლიმენტები არ დაიშურა ძლეულისთვის, ხოლო სამპრასის ქებას რომ მორჩა, ოდნავ კბილიც გაჰკრა, მის ადგილზე ამ თამაშში მე მოვნახავდი გამარჯვების გზასო.



ანდრე აგასი თასით და საყურით

**მეოთხედფინალი: გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია) — ტომი ჰაასი (8, გერმანია) 6:3, 6:3; ანდრე აგასი (3, აშშ) — ჟან მაიკლ გემბილი (5, აშშ) 6:2, 7:5; პიტ სამპრასი (4, აშშ) — მაგნუს ნორმანი (7, შვედეთი) 7:5, 7:6 (7:4); ძსავიე მალისი (ბელგია) — ტეილორ დენტი (აშშ) 3:6, 7:5, 6:3**

**ნახევარფინალი: აგასი — კუერტენი 6:7 (3:7), 6:3, 6:3; სამპრასი — მალისი 7:6 (7:4), 6:4**

**ფინალი: აგასი — სამპრასი 6:4, 6:2**

სოპოტი (პოლონეთი)
[illegible]
თიხნარი. საპრიზო 400 ათასი.

პოლონურ კურორტ სოპოტში გამართულ ღია ტურნირის პირველობისთვის ბრძოლა 20 წლის ქართველმა ირაკლი ლაბაძემ მეოთხედფინალში დაასრულა. ამ ეტაპზე ირაკლის მეტოქედ ტურნირში მესამე ნომრად განთესილი ესპანელი ტომი რობრედო ერგო. ჩვენებურმა პირველ სეტში სულ იოლად — 6:1 სწლია პირინეელს, თუმც შემდეგ უპირატესობა მას გადაულოცა და მომდევნო ორი სეტი 3:6, 2:6 დათმო. აღსანიშნავია, რომ რობრედომ ნახევარფინალში არგენტინელ დევიდ ნალბანდიანს სძლია, ფინალში კი თანამემამულე ალბერტ პორტასი გაამწარა, 19 წლისამ პირველი პროფესიული ტიტულიც ირგუნა. სოპოტური ტურნირის მოგება რობრედოს ჯიბეს 54 ათას დოლარს შეჰმატებს, ირაკლი ლაბაძეს კი მეოთხედფინალისტობამ 10 800 დოლარი და რვა საკლასიფიკაციო ქულა არგუნა.

**მეოთხედფინალი: ალბერტ პორტასი (2, ესპანეთი) — ხუან ანტონი მარინი (კოსტა რიკა) 6:3, 6:1; ტომი რობრედო (3, ესპანეთი) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 1:6, 6:3, 6:2; ოსკარ სერანო (ესპანეთი) — დევიდ ნალბანდიანი (არგენტინა) 6:2, 6:3; სარგის სარგსიანი (სომხეთი) — დევიდ სანჩესი (ესპანეთი) 6:4, 3:6, 6:4**

**ნახევარფინალი: პორტასი — სარგსიანი 6:3, 7:6; რობრედო — ნალბანდიანი 6:3, 6:2**

**ფინალი: რობრედო — პორტასი 1:6, 7:5, 7:6 (7:2)**

კიცბუელი (ავსტრია)
[illegible]
თიხნარი. საპრიზო 900 ათასი.

**მეოთხედფინალი: ნიკოლას ლაპენტი (6, ეკვადორი) — ხუან კარლოს ფერერო (1, ესპანეთი) 7:5, 6:2; გილერმო კორია (5, არგენტინა) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:4, 6:0; გალო ბლანკო (ესპანეთი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 5:7, 6:4, 6:1; ალბერტ კოსტა (ესპანეთი) — ჰუგო არმანდო (აშშ) 6:4, 6:4**

**ნახევარფინალი: კოსტა — კორია 7:5, 6:3; ლაპენტი — ბლანკო 6:2, 6:4**

**ფინალი: ლაპენტი — კოსტა 1:6, 6:4, 7:5**



ნიკოლას ლაპენტი

[illegible] (აშშ)
[illegible]
ჰარდი. საპრიზო 565 ათასი.

ამ ბოლო ხანებში ქალთა კლასიფიკაციის პირველ ათეულში დამკვიდრებულ ბელგიელ თინეიჯერს კიმ კლაისტერსს ყოველთვის უჭირდა ამერიკელ მთაქალ ლინდსი დევენპორტთან. აკი აქამდე მასთან ოთხივე პირადი შეხვედრა წაეგო და მათ შორის წლევანდელი უიმბლდონის ნახევარფინალიც, თუმც დასასრული ყველაფერს აქვს და ჯანიანი ამერიკელი დედაკაცის მომცრო ბელგიელზე ბატონობასაც მოეღო ბოლო. ფინალში კლაისტერსი მომწყვდეული ძუ ლომივით იბრძოდა, დასაკარგი არაფერი ჰქონდა და თავს თავისუფლება უბოძა, პირველი სეტი მოიგო, მეორე ტაიბრეიკში დათმო, მესამე გადამწყვეტში კი სულ კუდით ქვა ასროლინა ბობოლა მეტოქეს.

„წლეულს ეს ჩემი მეოთხე ფინალი იყო და ბედნიერი ვარ, რომ როგორც იქნა, მოვიგე. ლინდსის ფინალში ძლევა ჩემი ოცნების მწვერვალია" — ამბობდა ნამატჩევს კლაისტესი.

დევენპორტამდე კლაისტერსმა პირველ ნომრად განთესილი ვინუს უილიამსის მძლეველ მეგან შონესის სძლია. დევენპორტთან ჭიდილში მას სპორტული ფეხსაცმელიც დაეხა, ლამის ფეხის თითებიც დაისახიჩრა, იმდენად მონდომებით თამაშობდა, თუმც ბოლო სეტში კლაისტერსს გასარისკი არაფერი ჰქონდა, ვეება მასპინძელი ბალღივით იოლი წასაქცევი გახდარიყო.

**მეოთხედფინალი: მეგან შონესი (5, აშშ) — ვინუს უილიამსი (1, აშშ) 2:6, 7:5, 7:6 (7:4); ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — იანა კანდარი (გერმანია) 6:3, 6:1; კიმ კლაისტერსი (3, ბელგია) — ჩანდა რუბინი (7, აშშ) 6:3, 6:1; მონიკა სელეში (4, აშშ) — ლილია ოსტერლო (აშშ) 6:2, 7:5**

**ნახევარფინალი: კლაისტერსი — შონესი 6:3, 2:6, 6:1; დევენპორტი — სელეში 6:4, 6:2**

**ფინალი: კლაისტერსი — დევენპორტი 6:4, 6:7 (5:7), 6:1**

**ივანე ძოწიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გადაიდო



პეკინს ჩასულა კრივის გაქნილი მეუფე დონ კინგი და თან ჩაუყვანია ასოციაციის (ვბა) მძიმე წონის ჩემპიონი ჯონ რუისი (მარჯვნივ). 5 აგვისტოს პეკინს ისტორიული ჩხუბისთვის უნდა ემასპინძლა: პირველად კომუნისტური ჩინეთის ისტორიაში ეს ქალაქი მძიმე წონის საჩემპიონო ჩხუბის ალაგი ხდებოდა. მაგრამ, აი მოულოდნელობა: ჩემპიონ რუისს კისერი სტკივა და ევანდერ ჰოლიფილდის წინააღმდეგ ბრძოლა ტრავმის მოშუშებამდე არ შეუძლია. ბრძოლა ისევ პეკინში გაიმართება, ოღონდ მისი თარიღი ჯერ გარკვეული არ არის.

# რა ქალი ყოფილა!

კუბელ დებორა ანდოლოს (მარცხნივ) წყალქვეშ ჩაღწევის ახალი მსოფლიო რეკორდი დაუმყარებია. მხოლოდ წელზე შემობმული თოკი და წყალქვეშა საცურაო კოსტუმი: აი, მთელი მისი მოწყობილობა. არავითარი ჟანგბადი. დებორა ანდოლომ ისლა დე ლა ხუვენტუდის ახლოში ჩაყვინთა და 74 მეტრ სიღრმეზე ჩააღწია წყალში. აქამდე ქალთა რეკორდი 70 მეტრი ყოფილა, კაცთა კი 73 მეტრი. ასე რომ, ანდოლომ ორივე რეკორდი მოხსნა.





# შაქილმა წაივარჯიშა

გასულ უქმეებზე გერმანიის დიდი პრიზისთვის იბრძოდნენ ჰოკენჰაიმში. მეფორმულეთა ჭიდილში რალფ შუმახერმა იმარჯვა, მაგრამ იქ მყოფმა შაკილ ონილმა სულ სხვა ვიღაც აიტაცა ხელში. ზაუბერელი ნიკ ჰეიდფილდი ჩიტის წონის ვინმედ გამოჩნდა ლოს ანჯელესელი გოლიათის ხელში.



# ბრიტები და თასები

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი იამაიკაში ჩაფრენილა, იქ დიდ საფეხბურთო ტურნირს დასწრებია და თასიც გადაუცია გამარჯვებული „ნორმან გარდენსის" კაპიტან კრისტოფერ უილსონისთვის. შარშან ამ ტურნირზე პრინცი ჩარლზი ყოფილა მიწვეული და დიდი მხარდაჭერაც გამოუხატავს კინგსტონელი მობურთალებისთვის. მაგრამ წლეულს ჩარლზს იამაიკისთვის არ სცხელა. განთქმულ კოდრი პოლოქლაბში მისი საყვარელი სპორტის სახეობის, პოლოს საერთაშორისო დღეა. პრინცი სიხარულით ჩასულა დასავლეთ საზექსში და შეჯიბრის მთავარ თასსაც ხალისით ათვალიერებს. თანაც, პოლოს საერთაშორისო დღე მისი და განსვენებული პრინცესა დაიანას ქორწილის ოცი წლისთავს ემთხვევა.





# ტრაგედია

ტრაგედია დატრიალდა ტურინის ახლოს, ლანას რალის დროს: მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, გზის პირზე აცვარდა და იქ მდგომ მოსეირეებს დაეჯახა, რამდენიმე ადამიანმა მოახერხა თავის გადარჩენა, მაგრამ ერთი ოჯახი მთლიანად ამოწყდა. კატასტროფას ემსხვერპლნენ დედ-მამა და ორი შვილი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge